

უ მ ხ ე მ ი ქ ე ყ ი ს თ ა ს ა მ ა რ თ ლ ი ა

გ ა დ ა ც ყ ვ ა ტ ი ლ ე ბ ი ს შ ე რ ე ბ ა

დ ა ა ღ ს რ ე ბ ა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-
გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2017, №1**

**Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2017, №1**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2017, №1**

**Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2017, №1**

**გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ზაზა ჯაფარიძე**

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

**1. „საერთაშორისო კერძო სამართლის
შესახებ“ საქართველოს კანონით
განსაზღვრული პროცესუალური საკითხები**

სასამართლოს საერთაშორისო კომანდონა

განხილვა

№ა-2135-შ-46-2015

26 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქური,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ხ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების – შპს „ა-ისა“ და შპს ს-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე №...) სასარჩელო მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

1) შპს „ა-სა“ და შპს ს-ას“ (ს/კ ...) შპს „ხ-ის“ სასარგებლოდ (ს/კ ...) დაეკისრათ ძირითადი ვალის საერთო თანხის 10% (მათ შორის, საურავი და წლიური 3%) 22784,07 აშშ დოლარისა გადახდა;

2) შპს ს-ას“ შპს „ხ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2010 წლის 19 მაისის №33/2010 კონტრაქტით 185038 აშშ დოლარისა და 29 ცენტის ძირითადი ვალის, 14116 აშშ დოლარისა და 47 ცენტის საურავის, წლიური 3%-ის – 5901 აშშ დოლარისა და 89 ცენტის გადახდა;

3) შპს „ა-სა“ და შპს ს-ას“ შპს „ხ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო მოსაურებლის – 35998,83 გრივნის გადახდა. დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

შპს „ხ-ის“ ნარმომადგენელმა გ. უ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს

ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება შპს ს-ისათვის“ 185038 აშშ დოლარისა და 29 ცენტის, 14116 აშშ დოლარისა და 47 ცენტის, აგრეთვე, 5901 აშშ დოლარისა და 89 ცენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 30 ივლისის განჩინებით შპს „ხ-ის“ წარმომადგენელ გ. უ-ის შუამდგომლობა უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

მონინააღმდეგე მხარის შპს „ს-ის“ გენერალური დირექტორი ი. მ-ი არ დაეთანხმა წარმოდგენილ შუამდგომლობას და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა.

შუამდგომლობის ავტორის მოსაზრებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ უნდა ცნოს და აღასრულოს ზემოთალნიშნული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

შპს „ს-ის“ გენერალურმა დირექტორმა ი. მ-მა მიუთითა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, 70-ე მუხლის მე-2, მე-3 პუნქტებზე, 71-ე მუხლის მე-2 პუნქტზე და 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სწორედ აღნიშნული საფუძვლის არსებობის გამო, არ უნდა მოხდეს ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება საქართველოში.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავი განსაზღვრავს საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევებს. მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა და მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება და-ეფუძნა შპს „ხ-სა“ და შპს „ს-ას“ შორის 2010 წლის 19 მაისს დადებული №... წარდობის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც შპს „ხ-მა“, როგორც შემსრულებელმა, აიღო ვალდებულე-

ბა, რომ უზრუნველყოფდა თბილსრესის №4 ენერგობლოკის ტურბოგენერატორის TBB-165 კაპიტალურად გარემონტებას ქ. გარდაბანში, საქართველო (იხ.ხელშეკრულების 2.1 პუნქტი), ასევე მოსარჩევემ სამუშაოების შესასრულებლად აიღო ვალ-დებულება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოათავსებდა მასალას და სათადარიგო ნაწილებს ტურბოგენერატორისათვის TBB-165-№4 სადგურის შესაბამისი ნუსხის თანახმად.

შპს „ს-ის“ გენერალური დირექტორი ი. მ-ი აღნიშნავს, რომ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველო იყო, შესაბამისად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, აღნიშნულ დავაზე სწორედ საქართველოს სასამართლოს გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია.

შუამდგომლობის ავტორი მიიჩნევს, რომ სახელშეკრულებო დავების განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის დროს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტი ფაქტობრივად იმეორებს განსჯადობის იმ პრინციპს, რომელიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

შპს „ს-ის“ გენერალური დირექტორი ი. მ-ის მითითებით, მხარებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით, მხარეებმა, როცა გამოხატეს თავიანთი ნება განსჯადი სასამართლოს თაობაზე, ნათლად განსაზღვრეს, რომ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავის შეთანხმების გზით მოუგვარებლობის შემთხვევაში, დავას გადაწყვეტდა სასამართლო მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, მოპასუხის ადგილსამყოფელი ქვეყნის მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში კ, მოპასუხეს წარმოადგენდა შპს „ს-ა“, შესაბამისად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სწორედ, საქართველოს სასამართლოს უნდა განეხილა სადაც საკითხი.

შუამდგომლობის ავტორი მიუთითებს, რომ მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ შპს „ს-ასთან“ ერთად სარ-

ჩელი წარდგენილ იქნა შპს „ა-ის“ – უკრაინული სამეწარმეო საზოგადოების წინააღმდეგაც, რომელიც, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ირკვევა, თითქოს წარმოადგენდა შპს ს-ის“ თავმდებს შპს „ხ-თან“ .. წლის .. მაისს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. შპს „ს-ის“ გენერალურ დირექტორი ი. მ-ის განმარტებით, აღნიშნული კომპანიის შესახებ მათვის არაფერი იყო ცნობილი, შპს „ს-ას“ შპს „ა-თან“ რაიმე ურთიერთობა არ გააჩნდა. შუამდგომლობის ავტორს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ უკრაინული სანარმოს ამ პროცესში თავდების სახით ჩართვა განხორციელდა ხელოვნურად, მხოლოდ ერთი მიზნით, გამოგონილი მოპასუხის გამოყენებით, ისე შეეცვალათ სასამართლო განსჯადობა, რომ უკრაინის სასამართლოებს საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია წარმოშობოდათ.

შპს „ს-ის“ გენერალურ დირექტორი ი. მ-ს მიაჩნია, რომ საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია ამით მაინც არ იცვლება, ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, შპს „ს-ის“ მიმართ განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად მთავარია ძირითადი – წარდობის ხელშეკრულების შესრულების ადგილის განსაზღვრა და ასეთი ადგილი სწორედ საქართველოა.

შუამდგომლობის ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ შპს „ს-ამ“ 2014 წლის 21 ივლისს №... წერილით, შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს იმ მოთხოვნით, რომ მის მიერ ზემოაღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით არ მომხდარიყო უკრაინული კომპანიის სასარგებლოდ ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს მიერ გამოტანილი 2013 წლის 6 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, თუმცა შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რადგანაც უზენაესი სასამართლოს მიერ 2014 წლის 28 ივლისის №ა-2435-14 წერილით განემარტათ, რომ იმ პერიოდისთვის შპს „ხ-ის“ მიერ არ მომხდარა სასამართლოსათვის შესაბამისი შუამდგომლობით მომართვა სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნით, ხოლო ამგვარი განხორციელების შედეგად, შპს „ს-ას“, როგორც მოწინააღმდეგე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შპს „ს-ის“ გენერალურმა დირექტორმა ი. მ-მა მოითხოვა შპს „ხ-ის“ წარმომადგენელ გ. უ-ის შუამდგომლობის დაკმაყო-

ფილებაზე უარის თქმა, ასევე, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 3-ე ნაწილის საფუძველზე, დანიშნა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით. საქმეზე ორივე მხარის მონაწილეობით ზეპირი მოსმენა გაიმართა 2015 წლის 21 ოქტომბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ შპს „ხ-ის“ წარმომადგენელ გ. უ-ის შუამდგომლობა უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

1) შპს „ა-სა“ და შპს „ს-ას“ შპს „ხ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრათ ძირითადი ვალის საერთო თანხის 10% (მათ შორის, საურავი და წლიური 3%) 22784,07 აშშ დოლარის გადახდა;

2) შპს „ს-ას“ შპს „ხ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2010 წლის 19 მაისის №... კონტრაქტით 185038 აშშ დოლარისა და 29 ცენტის ძირითადი ვალის, 14116 აშშ დოლარისა და 47 ცენტის საურავის, წლიური 3%-ის – 5901 აშშ დოლარისა და 89 ცენტის გადახდა;

3) შპს „ა-სა“ და შპს „ს-ას“ შპს „ხ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო მოსაკრებელის – 35998,83 გრივნის გადახდა. დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ მოწინააღმდეგე მხარე სათანადო წესით ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, ასევე წარმოდგენილია ცნობა, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 23 აგვისტოს და უკრაინის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

შპს „ს-ის“ შუამდგომლობა (შესაგებელი) უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე

ცწობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ ეფუძნება ორ საფუძველს: 1) „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, აღნიშნულ დავაზე მხოლოდ საქართველოს სასამართლოს გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია. 2) შპს „ს-ას“ შპს „ა-თან“ რაიმე ურთიერთობა არ გააჩნდა. მოსარჩელის მიერ უკრაინული საწარმოს ამ პროცესში თავდების სახით ჩართვა განხორციელდა ხელოვნურად, მხოლოდ ერთი მიზნით – გამოგონილი მოპასუხის გამოყენებით, ისე შეეცვალათ სასამართლო განსჯადობა, რომ უკრაინის სასამართლოებს საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია მინიჭებოდათ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ დავასთან მიმართებით საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის დადგენა არის სამართლისა და არა ფაქტის საკითხი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა ნების ავტონომია საერთაშორისო კერძო სამართალში მნიშვნელოვან პრაქტიკულ როლს ასრულებს როგორ კოლიზიურ, ასევე, საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ კონტექსტშიც. საპროცესო სამართალში მხარეთა ნების ავტონომიის საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასურველი სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობაზე/საერთაშორისო კომპეტენციაზე შეთანხმების შესაძლებლობა. შეთანხმება სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობაზე/კომპეტენციაზე წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელ და თვითმყოფად ხელშეკრულებას, რომლის ნამდვილობა და ძალაში შესვლა წესრიგდება მატერიალური სამართლით, ხოლო მისი დასაშვებობა/ფორმა და სამართლებრივი შედეგები კი, განისაზღვრება შესაბამისი საპროცესო სამართლით. საქართველოს სინამდვილეში ფორმის საკითხი წყდება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლით, ხოლო ნამდვილობა და ძალაში შესვლაზე გამოსაყენებელი სამართალი კი, განისაზღვრება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, სწორად განიმარტოს მხარეთა შორის 2010 წლის 19 მაისს დადებული №33/2010 წლის ხელშეკრულების 12.2-ე მუხლი, კერძოდ, „იმ შემთხვევაში, თუ მხარეები

ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, მაშინ საქმე ექვემდებარება (საერთო სასამართლოების დაქვემდებარების გარდა) შესაბამის სასამართლოში გადაცემას მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით შესაბამისი სასამართლოს რეგლამენტის, მოპასუხის ქვეყნის მატერიალური და პროცესუალური სამართლის შესაბამისად“.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მხარეთა შორის .. წლის .. მაისს დადებული №... წლის ხელშეკრულების 12.2-ე მუხლის ცალკეული გამონათქვამის, კერძოდ, საერთო სასამართლოების დაქვემდებარების გარდა, ბუნდოვნებასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ ხელშეკრულებათა განმარტების თავისებურება განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსესუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული,

რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება.

ნების გამოვლენის განმარტება ემსგავსება კანონის განმარტებას: ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი, საეჭვო აზრის დაზუსტება, მაგრამ, თუ კანონის განმარტებას ზოგადი ხასიათი აქვს, ე.ი. სავალდებულოა და გამოიყენება ყველას მიმართ და მიზნად ისახავს კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიანი გაგების უზრუნველყოფას, გარიგების (ხელშეკრულების) განმარტების მიზანი უფრო ვიწროა – გარიგების (ხელშეკრულების) მონაბილე მხარეებს შორის ურთიერთობის გარევევა. ამიტომ ასეთ განმარტებას ძალა აქვს მხოლოდ გარიგების მონაბილებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ.

ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს.

„ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტება“ და „ხელშეკრულების შევსებითი განმარტება“ განსხვავებული ცნებებია. სხვადასხვანაირი, ორაზროვანი და მრავალმნიშვნელოვა-

ნი გამონათქვამების დაზუსტების აუცილებლობას ადგილი აქვს, როდესაც მხარეები ხელშეკრულების გამონათქვამების მიღმა არსებულ მნიშვნელობებზე დავობენ. ხოლო ხელშეკრულების შევსებით განმარტებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მხარეებს ხელშეკრულების ტექსტში გამორჩენილი აქვთ ცალკეულ საკითხთა მოწესრიგება ან ხელშეკრულების პირობები გარკვეული ხარვეზებითაა მოცემული.

ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისა შინაარსის დადგენაა. განმარტებას შეიძლება საჭიროებდეს, როგორც მთელი ხელშეკრულება, ასევე, მისი რომელიმე ნაწილი ან თუნდაც რომელიმე პუნქტი (პირობა). ხელშეკრულების პირობები იმგვარად უნდა იქნეს განმარტებული, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმე მათგანს წაერთვას ძალა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხარეებს .. წლის .. მაისს დადებული ხელშეკრულების 12.2-ე მუხლით არ განუსაზღვრავთ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, ამიტომაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა ექვემდებარება განსახილველად საერთო სასამართლოებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსჯადობაში/კომპეტენციაში იგულისხმება სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლების გამოყენების ფარგლები. მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი პროცესუალური ნორმების საფუძველზე განსჯადობის დადგენის შემდეგ ხდება საერთაშორისო განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა.

ქვეყნის შიგნით სასამართლო სისტემა თავად განსაზღვრავს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის ფარგლებს. არ არსებობს ეროვნული სამართლის მიერ წინასწარ დადგენილი რაიმე წესი საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ. თითოეული ქვეყნის სასამართლო თავად წყვეტს საერთაშორისო კომპეტენციის საკითხს და მას განიხილავს იმ ჩარჩოებში, რომელ ჩარჩოშიც ის მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავის განხილვა მის კომპეტენციაში შედის.

სახელმწიფოების ნაციონალურ სასამართლოთა საერთაშორისო კომპეტენციის საკითხები, როგორც წესი, რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით ანდა სპეციალური კა-

ნონებით „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ.“ საქართველოს კანონში „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის საკითხებს დათმობილი აქვს მთელი მე-2 თავი, რომელიც მოიცავს 13 მუხლს (მე-8-მე-20 მუხლები).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალი იცნობს საერთაშორისო კომპეტენციის რამდენიმე სახეს. დოქტრინა ერთმანეთისაგან განასხვავებს პირდაპირ და ირიბ, საერთაშორისო და ადგილობრივ, საერთო და განსაკუთრებულ, ფაკულტატურ და გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციის სახეებს. (უფრო დაწვრილებით იხილეთ: ზვიად გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, 2006; ბაკურ ლილუაშვილი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, 2010; ლევან გოთუა, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, 2010; Svanadze, G. Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine rechtsvergleichende Analyse, 2014; Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 6. Aufl., 2014).

საერთაშორისო კომპეტენციის ცნება იცნობს ისეთ სახეებს, როგორიცაა საერთო და განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია.

საერთო საერთაშორისო კომპეტენცია კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში დაკავშირებულია მოპასუხის საცხოვრებელ ადგილთან (ადგილმდებარეობასთან („აქტორ სექტუიტურ ფორუმ რეი“). ანალოგიურ მიდგომას ავითარებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-8 და მე-9 მუხლები, კერძოდ, კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, „საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი“.

კანონის მე-9 მუხლი კი, ითვალისწინებს საერთო საერთაშორისო კომპეტენციის ცალკეულ შემთხვევებს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც საქართველოს სასამართლოებს ენიჭებათ საერთაშორისო კომპეტენცია. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ: ა) მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს; ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართვე-

ლოა; გ) სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა; დ) დავა ეხება იმ საწარმოს ფილიალს, რომლის რეზიდენციაც საქართველოშია; ე) მამობის დადგენის ან ალიმენტის გადახდის საქმეებზე ბავშვის ან ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია; ვ) სარჩელის საგანია სამეცნიერო უფლების დადგენა, სამკვიდრო ქონების გაყოფა და მამკვიდრებლის გარდაცვალებისას საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან სამკვიდრო ქონება საქართველოში ჰქონდა.

საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრაში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის) პრინციპის გამოყენება მეტად პრაქტიკული და მომგებიან პირობებს უქმნის პროცესის ორივე მხარეს. მოპასუხეს თავის საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში გაუადვილდება თავის დაცვა, მაშინ, როცა მოსარჩელისათვის გაცილებით ადვილია პროცესის მოგების შემთხვევაში, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში მოითხოვოს მისი ქონების დაყადალება და იძულებითი აღსრულება.

საკასაციო პალატა საერთაშორისო კომპეტენციასთან ერთად, ყურადღებას ამასზეიდებს განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციაზეც. განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია („specific contracts“), ძირითადად გამოიყენება ცალკეული სახის სამოქალაქო სამართლებრივი დავების მიმართ.

განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის ცალკეულ შემთხვევებს ითვალისწინებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი. აღნიშნული მუხლის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება: ა) უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია; ბ) იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებათა ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია; გ) საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაციას; დ) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა; ე) იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, რო-

ცა მათი მოთხოვნა ან განხორციელება საქართველოში მოხდა. კანონის მიერ გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენციის დაწესება გამორიცხავს მათ მიმართ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით კომპეტენციის შეცვლის შესაძლებლობას.

გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენცია ეფექტურად გამოიყენება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულებისას, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის კანონმდებლობა კონკრეტულ სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ ადგენს გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციას, სასამართლოს უფლება აქვს, ამ მოტივით უარი განაცხადოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე.

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრისას ხშირად წარმოაშვება პრობლემა ე.წ. „კონკურირებადი „საერთაშორისო იურისდიქციის შესახებ“. ეს იმ დროს ხდება, როდესაც მოდავე მხარეებს კანონმდებლობით ენიჭებათ უფლება, რამდენიმე შესაძლო სახელმწიფო იურისდიქციიდან, თავად ამოირჩიონ ყველაზე უფრო მომგებიანი ქვეყნის იურისდიქცია. ამ მხრივ საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლში განასხვავებენ ორი სახის კონკურირებად საერთაშორისო იურისდიქციას. მათ დოქტრინაში ხშირად კომპეტენციურ კონფლიქტსაც უწოდებენ, ესენია:

ა) პოზიტიური კომპეტენციური კონფლიქტი, რომლის დროსაც ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის სასამართლოა კომპეტენტური, განიხილოს ესა თუ ის სამართლებრივი დავა.

ბ) ნეგატიური კომპეტენციური კონფლიქტი, რომლის დროსაც გამოირიცხება რომელიმე სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის გამოიყენება კერძო სამართლებრივ დავაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის სასამართლებს მინიჭებული აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, მოსარჩელე მხარეს უფლება აქვს, აირჩიოს თავისთვის უფრო მომგებიანი ქვეყნის იურისდიქცია, კონკურირებად საერთაშორისო იურისდიქციებს შორის.

პოზიტიური კომპეტენტური კონფლიქტის ყველაზე ცნობილ ფორმად უნდა იქნეს მიჩნეული ე.წ. „ფორუმ შოპინგი“. საერთაშორისო სამოქალაქო დავის მხარეებს, რასაკვირველია, დავის მოგება სურთ. მოსარჩელე მხარე ცდილობს, ისე წარმართოს პროცესი, რომ მისი სარჩელი დაკმაყოფილდეს. ამისათვის, პირველ რიგში, მან დავა იმ ქვეყნის იურისდიქციას უნდა დაუქვემდებაროს, რომელშიც გამარჯვების მეტი შანსი ექნება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო ელემენტის შემ-ცველ დავებთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოები საკუთარი კომპეტენციის დადგენისას ხელმძღვანელობენ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებებით (თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომლის ხელშემკვრელი მხარეც არის საქართველო, სხვა რამეს არ ითვალისწინებს).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქართველოს სასამართლოები განიხილვენ სამოქალაქო საქმეებს, რომელებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები და ორგანიზაციები. ასეთ საქმეებთან მიმართებით საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მაშინ, თუ მოპასუხის რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია. ასეთ საქმეებთან მიმართებით საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მაშინაც, თუ მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთი მათგანის საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაშიც, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ადგილი საქართველო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩევეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებს მოცემულ საქმეზე გააჩნდათ საერთაშორისო კომპეტენცია, თუმცა ვერ გაიზიარებს მონინააღმდეგე მხარის – შპს „ს-ის“ წარმომადგენლის მოსაზრებას, რომ დავის განმხილველი ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოსაც არ გააჩნდა ამ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს მოცემულ დავაზე გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია შემდეგ გარემოებათა გამო: „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით (ასევე, გასათვალისწინებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი).

საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების (ძალაშია 1996 წლის 6 დეკემბრიდან) 21-ე მუხლის თანახმად, „თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სასამართლოები კომპეტენტური არიან, განიხილონ სამოქალაქო საქმეები, თუ მოპასუხეს მათ ტერიტორიაზე გააჩნია საცხოვრებელი ადგილი. იურიდიულ პირთა მიმართ წარდგენილ სარჩელებზე ისინი კომპეტენტურნი არიან, თუ მოცემული მხარის ტერიტორიაზე არის იურიდიულ პირთა მმართველობის ორგანო, წარმომადგენლობა ან ფილიალი.

ამავე ხელშეკრულების 40-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ცონობენ და აღასრულებენ იუსტიციის დაწესებულებების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს სამოქალაქო საქმეებზე, ხოლო 42-ე მუხლის თანახმად კი, აღსრულების წესი რეგულირდება ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს აღსრულება.

სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის (ე.ნ. „მინსკის კონვენცია“) მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ საქმეში მონაწილეობს რამდენიმე მოპასუხე, რომელთა საცხოვრებელი ადგილი (ადგილსამყოფელი) მდებარეობს სხვადასხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე, დავა განიხილება ნებისმიერი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის მიხედვით) მოსარჩელის არჩევით. საკუთრების უფლებასთან ან სხვა სანივთო უფლებებთან დაკავშირებულ სარჩელზე კომპეტენტურნი არიან მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოები ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეში მონაწილე ორი მოპასუხის წინააღმდეგ, საკასა-

ციონ პალატას მიაჩნია, რომ უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს მოცემულ დავაზე გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია.

შპს „ს-ის“ მეორე არგუმენტთან დაკავშირებით, რომ მას შპს „ა-თან“ არანაირი ურთიერთობა არ გააჩნდა და მოსარჩელის მიერ უკრაინული სანარმოს ამ პროცესში თავდების სახით ჩართვა განხორციელდა ხელოვნურად, მხოლოდ ერთი მიზნით – გამოგონილი მოპასუხის გამოყენებით, ისე შეეცვალათ სასამართლო განსჯადობა, რომ უკრაინის სასამართლოებს გასჩენდათ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთაშორისო სამართლებრივ ბრუნვაში მრავალი ქვეყანა მისდევს revizion au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას.

საქმეში არსებული მასალების მიხედვით დასტურდება, რომ შპს „ს-ას“ სასამართლო უწყება და გზავნილი კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა, საქმის განხილვისას კანონით დადგენილი წესით ინფორმირებული იყო, აგრეთვე საქმეში მეორე მოპასუხის არსებობის თაობაზე, რის შესახებაც არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს. უფრო მეტიც, გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არ გაუსაჩივრებია გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით და არც კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მოუთხოვია საქმის ნარმოების განახლება, ამიტომაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შპს „ს-ის“ მოსაზრებას, რომ მოსარჩელის მიერ უკრაინული სანარმოს ამ პროცესში თავდების სახით ჩართვა განხორციელდა ხელოვნურად, მხოლოდ ერთი მიზნით – გამოგონილი მოპასუხის გამოყენებით, ისე შეეცვალათ სასამართლო განსჯადობა, რომ უკრაინის სასამართლოებს გასჩენდათ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებით ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს.

საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო

გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილების საპროცესო შედეგებიც შედასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყვდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოვებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები. ცნობის ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები ჩამოთვლილია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლში.

ამის საპირისპიროდ, შესაბამისი უცხოური აქტის აღსასრულებლად გამოცხადება წარმოადგენს მისთვის მოქმედების უფლების მინიჭებას. ეს იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ თავისთავად ცნობას ნაკლებად მოაქვს მოვალისათვის უშუალო სამართლებრივი შედეგები. პირიქითაა აღსრულებადად გამოცხადების შემთხვევაში, რომელსაც ესაჭიროება ე.წ. სააღსრულებო-ექსეკუტორული (exequatur) პროცესი.

ცნობილია, რომ რომელიმე ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე, ამიტომაც უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოქმედებდეს სხვა ქვეყნაში, თუ ამ უკანასკნელმა ის სცნო. მოახდინოს თუ არა სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს გადაწყვეტილების ცნობა, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, ამასთან გადაწყვეტილების ცნობის დროს, ის არ უნდა შეიქრას უცხო ქვეყნის სამართლო კომპეტენციაში.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, პირველ რიგში ემსახურება სამოქალაქო ბრუნვისა და მართლმსაჯულების საქმიანობის გამარტივებას. მოდავე მხარისათვის მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ ერთი ქვეყნის სასამართლოში შეტანილი სარჩელით ამონუროს ყველა ის სადაც საკითხი, რომლითაც ის მოპასუხეს ედავება. თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვა იმდენად როგორია, რომ ხშირად სცილდება არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ქვეყნის ფარგლებს. ამიტომ, ხშირად სასამართლო გადაწყვეტილებაც აღსრულებას რამდენიმე ქვე-

ყანაში მოითხოვს. შესაბამისად, თუ რომელიმე უცხო ქვეყანა უარს იტყვის ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულებაზე, მოდავე მხარე იძულებული იქნება, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეიტანოს სარჩელი ამ ქვეყნის სასამართლოში, რაც დამატების დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

ევროპული დოქტრინის მიხედვით, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გადაწყვეტილება წყვეტის კერძო სამართლებრივ დავას. ამასთან, აღნიშნული დავა გადაწყვეტილი უნდა იყოს ისეთ სასამართლო პროცესზე, რომელზედაც პროცესის მხარეებს თანაბრად ჰქონდათ მინიჭებული უფლებები, დაეცვათ, თავიანთი ინტერესები.

ამიტომაც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის პრობლემის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადაწყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. ამგვარი კრიტერიუმები კი, სხვადასხვაა. შესაძლებელია გადაწყვეტილების ცნობისას მოცემული ქვეყნის კანონი ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების (ძალაშია 1996 წლის 6 დეკემბრიდან) 43-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე ან აღსრულების ნებართვაზე შეიძლება უარი ითქვას: თუ შუამდგომლობის აღმდვრელ პირს ან მოპასუხეს არ მიუღია მონაწილეობა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის წარმომადგენელს დროულად და სათანადო ფორმით არ ჩაბარდა სასამართლოში გამოძახების უნიკება; თუ იმავე სამართლებრივ დავაზე იმავე მხარეებს შორის ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, სადაც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის დაწესებულებების მიერ ადრე აღძრული იყო წარმოება მოცემულ საქმეზე; თუ ამ ხელშეკრულების დებულებების თანახმად, ან ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მის დაწესებულებებითა განსაკუთრებულ კომპეტენციას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ საკითხთან მიმართებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება ჰპოვა ე.წ. „სარკისებური ასახვის პრინციპმა“, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების მცნობ სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავისი ქვეყნის წესები გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

ამ მხრივ სახელმწიფოთა მიერ სხვა ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე უარის თქმის საუკეთესო საშუალებად აღიარებულია დათქმა „საჯარო წესრიგის შესახებ“. გარდა ამისა, კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის სხვა შემთხვევებსაც. ასე, მაგალითად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება, თუ, ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დაგაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ენინა-აღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის (ე.წ. „მინსკის კონვენცია“) 51-ე მუხლის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობებით ცნობს და აღასრულებს სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე გამოტანილ იუსტიციის დაწესებულებათა გადაწყვეტილებებს სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე, ხოლო კონვენციის 53-ე მუხლი კი, ითვა-

ლისწინებს, რომ შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ წორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის ავტორის მოხვენის ფარგლებში ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის 51-ე და 53-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 2-ე და 68-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ხ-ის“ წარმომადგენლის გ. უ-ის შუამდგომლობა უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს (საქმე №...) გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ს-ას“(ს/კ ...) შპს „ხ-ის“ (ს/კ ...) სასარგებ-

ლოდ დაეკისრა .. წლის .. მაისის №... კონტრაქტით 185038 აშშ დოლარისა და 29 ცენტის ძირითადი ვალის, 14116 აშშ დოლარისა და 47 ცენტის საურავის, აგრეთვე, წლიური 3%-ის – 5901 აშშ დოლარისა და 89 ცენტის გადახდა;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-
საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის დამაბრკოლებელი გარემოები

განჩინება

№ა-952-შ-23-2016

6 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. ბაქაქური,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების
გამოყენება

აღნერილობითი ნაწილი:

1. მ. ა-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „კ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.
2. სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის აღმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილებით მ. ა-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე დაკმაყოფილდა. მ. ა-ის სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და ამ საქმეზე მთავარი სხდომა დაინიშნა 2015 წლის 16 ნოემბერს 12 საათზე. მ. ა-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და შპს „კ-ის“ უძრავ-მოძრავ ქონებასა და ფულად საშუალებებზე ყადაღის და-დების თაობაზე დაკმაყოფილდა.

3. სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის აღმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის

ის სასამართლოს მოსამართლე ე. ა-მა და მ. ა-მა შუამდგომლობებით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვეს სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ნაწილში.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 მარტის განჩინებით სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლე ე. ა-ისა და მ. ა-ის შუამდგომლობები სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ნაწილში 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

5. მოწინააღმდეგე მხარე შპს „კ-ი“ არ დაეთანხმა წარმოდგენილ შუამდგომლობას და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა.

6. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 3-ე ნაწილის საფუძველზე, დანიშნა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით. საქმეზე ორივე მხარის მონაცელობით ზეპირი მოსმენა გაიმართა 2016 წლის 6 ივლისს.

სამოტივაციო ნაწილი:

7. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლე ე. ა-ისა და მ. ა-ის შუამდგომლობები სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილების ცნობისა და აღსრულების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ნაწილში ნაწილობრივ უნდა დაქმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. დადგენილია, რომ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენ-

ტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების სა-ერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილებით მ. ა-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და შპს „კ-ის“ უძრავ-მოძრავ ქონებასა და ფულად საშუალებებზე 1.935.000 აშშ დოლარის ფარგლებში ყადაღის დადების თაობაზე დაკმაყოფილდა.

9. შპს „კ-ის“ შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ქ. ეրევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილების (ცნობა-ალსრულებაზე უარის თქმის შესახებ დამყარებულია შემდეგ საფუძვლებზე: 1) „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის („ბ“ და „ზ“ პუნქტები) შესაბამისად, საქართველო არ ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები ან/და გადაწყვეტილება ენინაალმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს“. შპს „კ-იმ“ მიიჩნია, რომ „დადგენილების“ (ცნობა-ალსრულება არ უნდა მოხდეს ორივე საფუძვლით, რადგან მათოვის სომხეთის რესპუბლიკის სასამართლოში არსებული სამართალწარმოების და, შესაბამისად, „დადგენილების“ არსებობის შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩაბარდათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 18 მარტის განჩინება და შეტყობინება; 2) „დადგენილების“ ცნობა-ალსრულების შემთხვევაში შპს „კ-ის“ უძრავ-მოძრავი ქონება/ ფულადი სახსრები, საწარმოს ძირითადი საშუალებები დაყადალდება ისე, რომ იდენტიფიცირებული არაა, თუ რა ქონებას უნდა დაედოს ყადაღა; 3) „დადგენილება“ ენინაალმდეგება როგორც საქართველოს, აგრეთვე, საერთაშორისო ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, მისი ცნობა-ალსრულება გამოიწვევს საჯარო წესრიგის დარღვევას, საფრთხეს შეუქმნის სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და გაუმართლებელ ზიანს მიაყენებს მოპასუხე მხარეს.

10. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა წების ავტონომია საერთაშორისო კერძო სამართალში მნიშვნელოვან პრაქტიკულ როლს ასრულებს როგორ კოლიზიურ, ასევე საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ კონტექ-

სტშიც. საპროცესო სამართალში მხარეთა ნების ავტონომიის საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასურველი სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობაზე/საერთაშორისო კომპეტენციაზე შეთანხმების შესაძლებლობა. შეთანხმება სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობაზე/კომპეტენციაზე წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელ და თვითმყოფად ხელშეკრულებას, რომლის ნამდვილობა და ძალაში შესვლა წესრიგდება მატერიალური სამართლით, ხოლო მისი დასაშვებობა/ფორმა და სამართლებრივი შედეგები კი განისაზღვრება შესაბამისი საპროცესო სამართლით. საქართველოს სინამდვილეში ფორმის საკითხი წყდება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლით, ხოლო ნამდვილობა და ძალაში შესვლაზე გამოსაყენებელი სამართლი კი განისაზღვრება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით.

11. საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრისას ხშირად წარმოიშობა პრობლემა ე.წ. „კონკურრირებადი საერთაშორისო იურისდიქციის შესახებ“. (ეს იმ დროს ხდება, როდესაც მოდავე მხარეებს კანონმდებლობით ენიჭებათ უფლება, რამდენიმე შესაძლო სახელმწიფო იურისდიქციიდან, თავად ამოირჩიონ ყველაზე უფრო მომგებიანი ქვეყნის იურისდიქცია). ამ მხრივ საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალში განასხვავებენ ორი სახის კონკურრირებად საერთაშორისო იურისდიქციას. მათ დოქტრინაში ხშირად კომპეტენციურ კონფლიქტსაც უწოდებენ. ესენია:

12. ა) პოზიტიური კომპეტენციური კონფლიქტი, რომლის დროსაც ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის სასამართლოა კომპეტენტური განიხილოს ესა თუ ის სამართლებრივი დავა.

13. ბ) ნეგატიური კომპეტენციური კონფლიქტი, რომლის დროსაც გამოირიცხება რომელიმე სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის გამოყენება კერძო სამართლებრივ დავაში.

14. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით. (ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის მე-7 მუხლი).

15. საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულების (საქართველოს მხრიდან რატიფიცირებულია 1997 წლის 15 მაისს) მე-2 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა დაწესებულებები უწევენ ერთმანეთს სამართლებრივ დახმარებას სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მოცემული ხელშეკრულებების დებულებათა შესაბამისად და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რაც განისაზღვრება მათი ნაციონალური კანონმდებლობით. ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარები მოთხოვნის საფუძველზე აღმოუჩენენ ერთმანეთს სამართლებრივ დახმარებას „სარჩელის უზრუნველყოფისათვის ზომების მიღების, სასამართლო და სხვა გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების გზით“.

16. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების (დადგენილების) ცნობა და აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებითაც ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს.

17. საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნას და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას.

18. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები. ცნობის ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები ჩამოთვლილია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლში.

19. ამის საპირისპიროდ, შესაბამისი უცხოური აქტის აღსასრულებლად გამოცხადება წარმოადგენს მისთვის მოქმედების

უფლების მინიჭებას. ეს იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ თავისთავად ცნობას ნაკლებად მოაქვს მოვალისათვის უშუალო სამართლებრივი შედეგები. პირიქითაა აღსრულებადად გამოცხადების შემთხვევაში, რომელსაც ესაჭიროება ე.წ. სააღსრულებო-ექსეუტორული (exequatur) პროცესი.

20. ცნობილია, რომ რომელიმე ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამიტომაც უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოქმედებდეს სხვა ქვეყანაში, თუ ამ უკანასკნელმა ის სცნო. მოახდინოს თუ არა სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს გადაწყვეტილების ცნობა, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, ამასთან, გადაწყვეტილების ცნობის დროს, ის არ უნდა შეიჭრას უცხო ქვეყნის სასამართლო კომპეტენციაში.

21. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, პირველ რიგში ემსახურება სამოქალაქო ბრუნვისა და მართლმასჯულების საქმიანობის გამარტივებას. მოდაცე მხარისათვის მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ ერთი ქვეყნის სასამართლოში შეტანილი სარჩელით ამონუროს ყველა ის სადაც საკითხი, რომლითაც ის მოპასუხეს ედავება. თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვა იმდენად რთულია, რომ ხშირად სცილდება არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ქვეყნის ფარგლებს. ამიტომ, ხშირად სასამართლო გადაწყვეტილებაც აღსრულებას რამდენიმე ქვეყანაში მოითხოვს. შესაბამისად, თუ რომელიმე უცხო ქვეყანა უარს იტყვის ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულებაზე, მოდაცე მხარე იძულებული იქნება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეიტანოს სარჩელი ამ ქვეყნის სასამართლოში, რაც დამატებით დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

22. ამიტომაც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის პრობლემის გადაწყვეტილებისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადაწყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. ამგვარი კრიტერიუმები კი სხვადასხვაა. შესაძლებელია გადაწყვეტილების ცნობისას მოცემული ქვეყნის კანონი ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად, „შემსრულებელი დაწესებულება სამართლებრივი

დახმარების აღმოჩენისას იყენებს თავისი სახელმწიფოს ნაციონალურ კანონმდებლობას. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას შემსრულებელ დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის პროცესუალური ნორმები, თუ ისინი არ ენინააღმდეგებიან ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ნაციონალურ კანონმდებლობას.

23. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უცხოქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, მითითებული ნორმის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.

24. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთ-ერთი ფორმა – ყადაღა შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს მხოლოდ მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებაზე (მათ შორის ფულად სახსრებზე). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება, ის წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონებრივი ულებების დაცვის გარანტიას და ემსახურება ამ უკანასკნელთა დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას, ანუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი იცავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს მოპასუხის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში. სარჩელის უზრუნველყოფის ზოგიერთი ღონისძიების გამოყენება უშუალოდ უკავშირდება მოპასუხის მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლების, კერძოდ – საკუთრების უფლების შეზღუდვას. ყადაღისა და მსგავსი ღონისძიებების დაწესება ნარმოადგენს კანონმდებლობის ჩარევას ადამიანის ძირითადი უფლების კონსტიტუციონურ დაცულ სფეროში, ხოლო აღნიშნული ჩარევა (შეზღუდვა) გამართლებული იქნება თანაზომიერების პრინციპის გამყენებით სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის საჯარო მიზნისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კერძო ინტერესის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მათ შორის აუ-

ცილებელი ბალანსის დადგენის მიზნით.

25. ამასთან, პალატას მიაჩნია, რომ, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა ინვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთნაირად იცავს, როგორც მოსარჩელის, ისე – მოპასუხის ინტერესებს, ანუ მოსარჩელის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხდება მოპასუხის ინტერესების გაუთვალისწინებლად. სწორედ აღნიშნული პრინციპი უდევს საფუძვლად იმ გარემოებას, რომ კანონმდებელი უშვებს სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას და არა მის სავალდებულობას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისადმი, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტისადმი, ფორმალური მიდგომა დაუშვებელია. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოთხოვნების დაქმაყოფილება უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად – სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად უნდა იმსჯელოს, გამოიყენოს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც უშუალოდ მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვისკენ არის მიმართული, ამიტომ სასამართლომ მატერიალურ-სამართლებრივ სივრცეში უნდა შეამოწმოს უფლების უზრუნველყოფის საკითხი. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს სასამართლომ შეძლებისდაგვარად უნდა გაამახვილოს ყურადღება იმ გარემოებაზეც, თუ იურიდიულად რამდენად გამართლებულია სასარჩელო მოთხოვნა.

26. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთაშორისო სამართლებრივ ბრუნვაში მრავალი ქვეყანა მისდევს რევიზიონ აუფონდ-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას.

27. სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებ-

ზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის (ე.წ. „მინსკის კონვენცია) 51-ე მუხლის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობებით ცნობს და აღასრულებს სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე გამოტანილ იუსტიციის დაწესებულებათა გადაწყვეტილებებს სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე. ხოლო კონვენციის 53-ე მუხლი კი ითვალისწინებს, რომ შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს.

28. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

29. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის აღმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილება ცნობილ უნდა იქნეს ნაწილობრივ და დაექვემდებაროს აღსრულებას, ერძოდ, ყადალა დაედოს შპს „კ-ის“ მოძრავ ნივთებსა და საბანკო ანგარიშებს 1.935.000 (ერთი მილიონ ცხრაას ოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ფარგლებში.

30. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადალის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება.

31. მოცემულ შემთხვევაში ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის აღმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილებიდან არ ირკვევა, თუ შპს „კ-ის“ რომელ უძრავ ქონებას უნდა დაედოს ყადალა. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში შუამდგომლობა უსაფუძვლოა და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

32. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება პპოვა აგრეთვე ე.წ. „სარკისებური ასახვის პრინციპმა“, რომლის მიხედვითაც, გადაწყვე-

ტილების მცნობ სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავი-სი ქვეყნის წესები გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

33. ამ მხრივ სახელმწიფოთა მიერ სხვა ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე უარის თქმის საუკეთესო საშუალებად აღა-ირებულია დათქმა „საჯარო წესრიგის შესახებ“. კანონის ყველა ნორმის დარღვევა ან/და ადგილობრივ კანონთან ყველა შეუსა-ბამობა არ წარმოადგენს საჯარო წესრიგის დარღვევას. გადაწ-ყვეტილების (დადგენილების) აღსრულებით უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი იმპერატიული ნორმების დარ-ღვევა. ცნობა-აღსრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღე-ბისას სასამართლოს არ მოეთხოვება განსაზღვროს, მთელი გა-დაწყვეტილება არღვევს თუ არა საჯარო წესრიგს, არამედ მნიშ-ვნელოვანია განისაზღვროს, რომ გადაწყვეტილების აღსრულე-ბა თავისი ხსიათით წარმოადგენს საჯარო წესრიგის დარღვე-ვას.

34. საჯარო წესრიგი წარმოადგენს ყველა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციათა (extra-national community) ეკო-ნომიკური, სამართლებრივი, მორალური, პოლიტიკური, რელი-გიური და სოციალური ფუნდამენტური სტანდარტების ერთობ-ლიობას.

35. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართვე-ლო კანონით გათვალისწინებული საჯარო წესრიგის ნორმების მოქმედების სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტალური პრინციპების დაცვით, არამედ, ასევე, საჯარო სამართლის (მაგალითად ადამიანის ძირითადი უფლებების, მათ შორის, პოლიტიკური უფლებების) დაცვაში. ამრიგად, საჯარო წესრიგის ნორმები მონოდებულია, დაიცვას ცნობა-აღმსრულებელი სასამართლოს ქვეყნის მართლწერი-გი უცხო ქვეყნის სამართლებრივი ნორმების მოქმედებისგან, რომლებიც ფუნდამენტურად შეუთავსებელია მასთან – ეკო-ნომიკური, მორალური თუ პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომ-დინარე. სასამართლო მონოდებულია, უზრუნველყოს თავისი ქვეყნის ზემოთ აღნიშული ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპების ხელშეუხებლობა ყოველგვარი გამონაკლისის გა-რეშე. სწორედ ასეთი მიდგომაა გათვალისწინებული „საერთა-შორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით, კერძოდ, „საქართველოში უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება, თუ ეს ენინააღმდეგება საქართვე-

ლოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს“.

36. საჯარო წესრიგის დიფერენცირება ხდება, ასევე, მისი ბუნებიდან გამომდინარე. საჯარო წესრიგი ქვეყნის კანონმდებლობის იმპერატიული ნორმების ერთობლიობას მოიცავს. საპროცესო-სამართლებრივი საჯარო წესრიგი დარღვეულად ითვლება, როცა სასამართლო წარმოების დროს დარღვეულია იმ ქვეყნის საპროცესო სამართლებრივი იმპერატიული ნორმები, სადაც, გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება არის მოთხოვნილი. საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო სამართალ-წარმოება ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ხოლო ამ კოდექსით გათვალისწინებული იმპერატიული ნორმების დარღვევა წარმოადგენს საჯარო წესრიგის დარღვევას.

37. საპროცესო სამართლებრივი საჯარო წესრიგი წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ყველა ძირითადი და უმნიშვნელოვანესი პრინციპის ერთობლიობას. სახელმწიფო გადაწყვეტილების აღსრულებისას შებოჭილია საპროცესო სამართლებრივი საჯარო წესრიგის იმპერატიული ნორმებით და ვალდებულია, დაიცვას „საპროცესო სამართლიანობის ფუნდამენტალური ნორმები“.

38. გარდა ამისა, კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის სხვა შემთხვევებსაც. ასე, მაგალითად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართვე-

ლოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ენინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

39. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

40. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განვითარებული მსჯელობების შედეგად, სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილება ცნობილ უნდა იქნეს ნაწილობრივ და დაქვემდებაროს აღსრულებას, კერძოდ, ყადაღა დაედოს შპს „კ-ის“ მოძრავ ნივთებსა და საბანკო ანგარიშებს 1.935.000 (ერთი მილიონ ცხრაას ოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ფარგლებში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის 51-ე და 53-ე მუხლებით, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულების მე-2,6,19,21-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე და 68-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დადგინდება:

1. სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლე ე. ა-ისა და მ. ა-ის შუამდგომლობები სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილების სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ნაწილში

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორქ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილება და ყადაღა დაედოს შპს „კ-ის“ მოძრავ ნივთებსა და საბანკო ანგარიშებს 1.935.000 (ერთი მილიონ ცხრაას ოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ფარგლებში.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცხობის დამაპროცესის გარემოები

განხილვა

№ა-3548-ქ-77-2015

25 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალვინე,

ბ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. შპს „ფ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ვ-ის“-ს მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

2. სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ფ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს „V“-ს შპს „ფ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 9200 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხეთის რესპუბლიკის დრამის გადახდა. 2013 წლის 15 მარტიდან, ვალდებულების ფაქტობრივად შესრულებამდე, შპს „V“ შპს „ფ-ის“ სასარგებლოდ დაერიცხა 9200 აშშ დოლარის ეკ-

ვივალენტი სომხეთის რესპუბლიკის დრამის სომხეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტები; ასევე შპს „V-ს“ შპს „ფ-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 76 000 სომხეთის რესპუბლიკის დრამი.

3. შპს „ფ-ს“ წარმომადგენელმა ა. გ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაპირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

4. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 9 დეკემბერს და სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით შპს „ფ-ს“ შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაპირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

6. 2015 წლის 27 ოქტომბერს უზენაესი სასამართლოს 12 ოქტომბრის განჩინება შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებთან ერთად გაეგზავნა სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაპირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებაში მონინალმდევე მხარის შპს „V-ის“ წარმომადგენლად მითითებულ ე. ბ-ას მისი საცხოვრებელი ადგილის მისამართზე, ასევე შპს „ვ-ის“ დირექტორ დ. გ-ს კომპანიის რეგისტრირებულ მისამართზე.

7. 2015 წლის 5 ნოემბერს ე. ბ-ამ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმომადგინა თავისი მოსახრებები და მიუთითა, რომ სახეზე „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არცნობის საფუძველი, რადგან ე. ბ-ა არ არის არც შპს „ვ-ის“ დამთუძნებელი და არც დირექტორი და არც არანირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ გააჩნია. მო-

საზრებას თან ერთვოდა ამონაწერი მენარმეთა და არასამეწარმე (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლის თანახმად, კომპანიის პარტნიორი და მის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის დ. გ-ი.

8. 2015 წლის 13 ნოემბერს უზენაესი სასამართლოს 12 ოქტომბრის განჩინება შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებთან ერთად განმეორებით გაეგზავნა შპს „ვ-ის“ დირექტორს დ. გ-ს.

9. 2015 წლის 24 ნოემბერს შპს „ვ-ის“ წარმომადგენელმა მ. კ-ამ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოითხოვა აღნიშნულ შუამდგომლობაზე უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ შპს „V-სათვის“ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაპკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოში შპს „ფ-ის“ სარჩელის განხილვის თაობაზე ცნობილი არ იყო და არც რაიმე დოკუმენტაცია ჩაბარებიათ ამის თაობაზე. ამავე დროს სასამართლოს გადაწყვეტილებასა და სააღსრულებო ფურცელში საწარმოს წარმომადგენლად ფიქსირდება ე. ბ-ა, რომელიც არ იმყოფება კომპანიასთან არანაირ სამართლებრივ ურთიერთობაში. ის არათუ საწარმოს წარმომადგენელი, არამედ მისი თანამშრომელიც კი არ არის.

10. 2015 წლის 27 ნოემბერს შპს „ვ-ის“ ზემოაღნიშნულ პოზიციაზე თავისი მოსაზრებები წარმოადგინა შუამდგომლობის ავტორმა და მიუთითა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არაერთგზის არის მითითებული შპს „ვ-ის“ კანონით დადგნილი წესით ინფორმირების და ამ უკანასკნელის მიერ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარმოუდგენლობის შესახებ. ასევე იმის თაობაზე, რომ შპს „ვ-ი“ მიუხედავად გაფრთხილებისა და უწყების ჩაბარებისა, სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა. შპს „ფ-ს“ დირექტორმა ნ. მ-მა ჯერ კიდევ 2014 წელს საჩივრით მიმართა თბილისის პროკურატურას, რასთან დაკავშირებითაც, შპს „ვ-ის“ წარმომადგენელი დ. გ-ი დაკითხულ იქნა და მისთვის ამ საჩივრის ფარგლებშიც ცნობილი იყო, რომ სომხეთის რესპუბლიკაში მიმდინარეობდა სამოქალაქო სამართალწარმოება. შუამდგომლობის ავტორმა დამატებით წარმოადგინა შპს „ფ-ს“ მიერ 2014 წლის 10 ივნისს შპს „ვ-ისათვის“ გაგზავნილი და ჩაბარებული შეტყობინება ვალდებულების შესრულების მოთხოვ-

ნის შესახებ, სადაც მისი განცხადებით, საკონტაქტო პირად და გ-თან ერთად მითითებულია ე. ბ-ა, როგორც და გ-ის მეუღლე, რაც ადასტურებს, რომ ე. ბ-ა კომპანიის საკონტაქტო პირი იყო.

11. 2015 წლის 25 დეკემბერს საკასაციო სასამართლომ სა-ოქმო განჩინებით შუამდგომლობის ავტორს დაავალა სასამარ-თლოსთვის წარმოედგინა დამატებითი მტკიცებულებები სომ-ხეთში მიმდინარე სასამართლო განხილვის დროისა და ადგი-ლის შესახებ მოწინააღმდეგე მხარის შპს „გ-ის“ სათანადო წე-სით ინფორმირების თაობაზე.

12. 2016 წლის 23 თებერვალს, ერთი დღის დაგვიანებით, შპს „ფ-მა“ საკასაციო სასამართლოს წარმოუდგინა დამატებითი მტკიცებულებები დაუმოწმებელი ასლების სახით.

სამოტივაციო ნაწილი:

13. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი შუ-ამდგომლობა, საქმის მასალები, მხარეთა მოსაზრებები და მათ მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნევს, რომ შპს „ფ-ს“ შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევ-ნის არაპკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რა-იონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნო-ემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნო-ბისა და აღსრულების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემ-დეგ გარემოებათა გამო:

14. დადგენილია, რომ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაპკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონე-ბის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემ-ბრის გადაწყვეტილებით შპს „ფ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს „V-ს“ შპს „ფ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 9200 აშშ დო-ლარის ეკვივალენტი სომხეთის რესპუბლიკის დრამის გადა-და. 2013 წლის 15 მარტიდან, ვალდებულების ფაქტობრივად შესრულებამდე, შპს „V-ს“ შპს „ფ-ის“ სასარგებლოდ დაერიცხა 9200 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხეთის რესპუბლიკის დრა-მის სომხეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხ-ლით გათვალისწინებული პროცენტები; ასევე შპს „V-ს“ შპს „ფ-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 76 000 სომხეთის რესპუბლიკის დრამი.

15. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 9 დეკემბერს და სომხეთის რესპუბლიკის ტერიტო-რიაზე არ აღსრულებულა.

16. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით (ასევე, გასათვალისწინებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი).

17. საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულების (საქართველოს მხრიდან რატიფიცირებულია 1997 წლის 15 მაისს) მე-2 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა დაწესებულებები უწევენ ერთმანეთს სამართლებრივ დახმარებას სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მოცემული ხელშეკრულებების დებულებათა შესაბამისად და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რაც განისაზღვრება მათი ნაციონალური კანონმდებლობით. ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარები მოთხოვნის საფუძველზე აღმოუჩენენ ერთმანეთს სამართლებრივ დახმარებას, „სასამართლო და სხვა გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისა გზით“.

18. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების (დადგენილების) ცნობა და აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებითაც ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს.

19. საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნას და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას.

20. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოვებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძ-

ვლები. ცნობის ასეთი დამაპრკოლებელი გარემოებები ჩამოთვლილია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლში.

21. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, პირველ რიგში ემსახურება სამოქალაქო ბრუნვისა და მართლმსაჯულების საქმიანობის გამარტივებას. მოდავე მხარისათვის მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ ერთი ქვეყნის სასამართლოში შეტანილი სარჩელით ამონუროს ყველა ის სადავო საკითხი, რომლითაც ის მოპასუხეს ედავება. თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვა იმდენად როტულია, რომ ხშირად სცილდება არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ქვეყნის ფარგლებს. ამიტომ, ხშირად სასამართლო გადაწყვეტილებაც აღსრულებას რამდენიმე ქვეყნაში მოითხოვს. შესაბამისად, თუ რომელიმე უცხო ქვეყანა უარს იტყვის ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულებაზე, მოდავე მხარე იძულებული იქნება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეიტანოს სარჩელი ამ ქვეყნის სასამართლოში, რაც დამატებით დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

22. ამიტომაც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის პრობლემის გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უავშირებს გადაწყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. ამგვარი კრიტერიუმები კი სხვადასხვაა. შესაძლებელია, გადაწყვეტილების ცნობისას მოცემული ქვეყნის კანონი ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად, „შემსრულებელი დაწესებულება სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას იყენებს თავისი სახელმწიფოს ნაციონალურ კანონმდებლობას. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას შემსრულებელ დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის პროცესუალური ნორმები, თუ ისინი არ ენინააღმდეგებიან ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ნაციონალურ კანონმდებლობას“.

23. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების

შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, მითითებული ნორმის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.

24. სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, 52-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების ცნობისა და ალსრულების ხებართვის გაცემაზე შეიძლება უკარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე არ მონაწილეობდა პროცესში იმის გამო, რომ იგი ან მისი რჩმუნებული დროულად ან ჯეროვნად არ იყო ინფორმირებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე.

25. იგივე დათქმას შეიცავს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები.

26. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სომხეთის რესუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიკციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებაში შპს „ვ-ის“ წარმომადგენლად მითითებულია ე. ბ-ა, ხოლო კომპანიის მისამართად მითითებულია: ქ. თბილისი, ვ-ის შემოსავალი №... . ასევე, სასამართლოს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მოვალის შპს „ვ-ის“ წარმომადგენლად მითითებულია ე. ბ-ა, ხოლო მისამართად ქ. თბილისი, ვ-ის შემოსავალი №.... .

27. საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ მისამართი: ქ. თბილისი, ვ-ის შემოსავალი №... არის ე. ბ-ას საცხოვრებელი მისამართი; ხოლო შპს „ვ-ის“ სარეგისტრაციო მისამართია: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, გ-ის შესახვევი №... ; ხოლო კომპანიის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია კომპანიის დირექტორი დ. გ-ი.

28. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის

არაპკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლომ შპს „ფ-ს“ სარჩელი წარმოებაში მიიღო 2013 წლის 10 ოქტომბერს. სასამართლოს მიერ შპს „ვ-ს“ სარეგისტრაციო მისამართზე პირველი შეტყობინება გაიგზავნა 2013 წლის 10 ოქტომბერს, მეორე შეტყობინება – 2014 წლის 5 მარტს, ხოლო მესამე შეტყობინება – 2014 წლის 29 მაისს.

29. სამივე შეტყობინებით სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაპკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს შპს „ვ-ს“ ატყობინებდა წინასწარი სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ. კერძოდ, 2013 წლის 10 ოქტომბრის შეტყობინებით ატყობინებდა, რომ წინასწარი სასამართლო სხდომა დანიშნულია 2013 წლის 18 დეკემბერს; 2014 წლის 5 მარტის შეტყობინებით სასამართლო ატყობინებდა, რომ წინასწარი სასამართლო სხდომა დანიშნულია 2014 წლის 29 მაისს, ხოლო 2014 წლის 29 მაისის შეტყობინებით სასამართლო ატყობინებდა რომ წინასწარი სასამართლო სხდომა დანიშნულია 2014 წლის 29 ივლისს. აღნიშნული დოკუმენტებით ირკვევა, რომ შპს „ვ-ის“ მის სარეგისტრაციო მისამართზე ვერცერთი შეტყობინება ვერ ჩაბარდა.

30. საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაპკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2014 წლის 6 ნოემბრის მთავარ ხდომაზე. მხარის სათანადო წესით ინფორმირების შესახებ სომხეთის სასამართლოს ცნობის თანახმად, აღნიშნული სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე ეცნობა ე. ბ-ას, როგორც შპს „ვ-ის“ წარმომადგენელს მისამართზე, თბილისი, ვ-ის შემოსავალი №... აღნიშნული შეტყობინება ე. ბ-ას ჩაბარდა 2014 წლის 2 სექტემბერს.

31. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ 2014 წლის 2 სექტემბერს სასამართლო უწყების ჩაბარებისას ე. ბ-ა იყო შპს „ვ-ის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. ამ პერიოდისათვის შპს „ვ-ის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა კომპანიის დირექტორი დ. გ-ი. არ დასტურდება, ასევე რომ 2014 წლის 2 სექტემბერისათვის ე. ბ-ა იყო კომპანიის თანამშრომელი ან რაიმე სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა კომპანიასთან ან მის დირექტორთან. შპს „ვ-ის“ მიერ წარმოდგენილი ქორწინების მოწმების თანახმად, ე. ბ-ა დ.

გ-თან რეგისტირებულ ქორწინებაში იმყოფება მხოლოდ 2014 წლის 24 ოქტომბრიდან.

32. ამრიგად, სასამართლოს მთავარი სხდომის დროისა და ადგილის შესახებ დადგენილი წესით ეცნობა არა შპს „V-ს“, „არა-მედ ე. ბ-ას, რომელიც არ არის არც დაგამი მონაწილე მხარე და არც მოპასუხის უფლებამისილი წარმომადგენელი.

33. ყველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ფ-ს“ შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის განაჩენის ცნობისა და აღსრულების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ფ-ის“ შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ქალაქ ერევნის არაბკირ და ქანაქერ-ზეითუნ ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცენტრის დამაპრკოლებელი გარემოები

განჩინება

№ა-458-შ-7-2016

7 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ.ალავიძე,
ნ.ბაქაქური

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. შპს „ფ-მა“ სარჩელი აღმრა სასამართლოში მოპასუხე შპს „V-ს“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

2. სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანა-ქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურის-დიქციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ფ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს „V-ს“ შპს „ფ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 9200 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხეთის რესპუბლიკის დრამის გადახდა. 2013 წლის 15 მარტიდან, ვალდებულების ფაქტობრივად შესრულებამდე, შპს „V-ს“ შპს „ფ-ის“ სასარგებლოდ დაერიცხა 9200 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხეთის რესპუბლიკის დრამის სომხეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტები, ხოლო დაკისრებული თანხის 2 პროცენტი შპს „V-ს“ სახელმწიფო ბაჟის სახით დაეკისრა სომხეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ.

3. სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანა-ქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურის-დიქციის სასამართლოს მოსამართლე რ. ბ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანა-ქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში.

4. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 9 დეკემბერს და სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 თებერვლის განჩინებით სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანაქერ-ზეითუნისა ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლე რ. ბ-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

6. მოწინააღმდეგე მხარე შპს „V-ის“ წარმომადგენელმა ნ. გ-ამ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოითხოვა აღნიშნულ შუამდგომლობაზე უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ შპს „V-სათვის“ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოში შპს „ფ-ის“ სარჩელის განხილვის თაობაზე ცნობილი არ იყო და არც რაიმე დოკუმენტაცია ჩაბარებიათ ამის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

7. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლე რ. ბ-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. დადგენილია, რომ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონე-

ბის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ფ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს „V-ს“ შპს „ფ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 9200 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხეთის რესპუბლიკის დრამის გადახდა. 2013 წლის 15 მარტიდან, ვალდებულების ფაქტობრივად შესრულებამდე, შპს „V-ს“ შპს „ფ-ის“ სასარგებლოდ დაერიცხა 9200 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხეთის რესპუბლიკის დრამის სომხეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტები, ხოლო დაკისრებული თანხის 2 პროცენტი შპს „V-ს“ სახელმწიფო ბაჟის სახით დაეკისრა სომხეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 9 დეკემბერს და სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

9. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით. (ასევე, გასათვალისწინებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი).

10. საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სამქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულების (საქართველოს მხრიდან რატიფიცირებულია 1997 წლის 15 მაისს) მე-2 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა დაწესებულებები უნევენ ერთმანეთს სამართლებრივ დახმარებას სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მოცემული ხელშეკრულებების დებულებათა შესაბამისად და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რაც განისაზღვრება მათი ნაციონალური კანონმდებლობით. ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებების მონაწილე მხარეები მოთხოვნის საფუძველზე აღმოუჩენენ ერთმანეთს სამართლებრივ დახმარებას „სასამართლო და სხვა გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების გზით“.

11. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების (დადგენილების) ცნობა და აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებითაც ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავი-

სუფლებით სარგებლობს.

12. საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნას და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყვდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას.

13. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოვებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები. ცნობის ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები ჩამოთვლილია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლში.

14. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, პირველ რიგში ემსახურება სამოქალაქო ბრუნვისა და მართლმასჯულების საქმიანობის გამარტივებას. მოდავე მხარისათვის მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ ერთი ქვეყნის სასამართლოში შეტანილი სარჩელით ამონუროს ყველა ის სადავო საკითხი, რომლითაც ის მოპასუხეს ედავება. თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვა იმდენად რთულია, რომ ხშირად სცილდება არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ქვეყნის ფარგლებს. ამიტომ, ხშირად სასამართლო გადაწყვეტილებაც აღსრულებას რამდენიმე ქვეყანაში მოითხოვს. შესაბამისად, თუ რომელიმე უცხო ქვეყანა უარს იტყვის ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულებაზე, მოდავე მხარე იძულებული იქნება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეიტანოს სარჩელი ამ ქვეყნის სასამართლოში, რაც დამატებით დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

15. ამიტომაც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის პრობლემის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადაწყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. ამგვარი კრიტერიუმები კი სხვადასხვაა. შესაძლებელია, გადაწყვეტილების ცნობისას მოცემული ქვეყნის კანონი ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. საქართველოს და სომხეთის რეს-

პუბლიკას შორის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად, „შემსრულებელი დაწესებულება სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას იყენებს თავისი სახელმწიფოს ნაციონალურ კანონმდებლობას. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას შემსრულებელ დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის პროცესუალური ნორმები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ნაციონალურ კანონმდებლობას“.

16. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, მითითებული ნორმის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დაგენილი ნორმებით.

17. სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, 52-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე არ მონაწილეობდა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის რნმუნებულს დროულად ან ჯეროვნად არ გადასცეს სასამართლოში გამოძახება.

18. იგივე დათქმას შეიცავს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები.

19. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბერისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე ეცნობა არა შპს „V-ს“, არამედ ვინმე ე. ბ-ას, რომელიც არ არის

არც დაგაში მონაწილე მხარე და არც მოპასუხის უფლებამისი-ლი წარმომადგენელი.

20. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასა-ციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციუ-ლი რაიონების საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამარ-თლე რ. ბ.-ის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო, სა-ოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონ-ვენციის 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, სა-ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანა-ქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურის-დიქციის სასამართლოს მოსამართლე რ. ბ.-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის არაბკირისა და ქანაქერ-ზეითუნის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქ-ციის სასამართლოს 2014 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში საქართველოს ტე-რიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილ-დეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაცევისათვის აღსრულება

განცილება

№ა-864-შ-19-2016

1 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღნერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის, პანკოვის/თეთრი ზღვის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით 2012 წლის 11 ივნისს თბილისის მმარის ბიუროს რეგისტრატორის ნინაშვილი, რეგისტრირებულ №... ქორწინებაში მყოფი მხარეები: გერმანიის მოქალაქე ლ. ლ-ი და საქართველოს მოქალაქე მ. ლ-ი (დაბ: კ-ი) განქორწინდნენ.
2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მ. ლ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება (იხ. №ა-1462-16 განცხადებით დაზუსტებული მოთხოვნა).
3. შუამდგომლობისა და მასზე დართული მასალების შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ:
 - 3.1. მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე, შუამდგომლობის ავტორი წარმოადგენს მოპასუხე მხარეს, ამასთან, მხარეთა ადვოკატები ესწრებოდნენ საქმის განხილვას;
 - 3.2. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2014 წლის 24 ოქტომბერს.
 - 3.3. მ. ლ-ი არის საქართველოს მოქალაქე, ხოლო თავად ქორწინება რეგისტრირებულია ქ. თბილისში.
 - 3.4. ხარვეზის დადგენის შესახებ საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 18 მარტის განჩინების პასუხად მხარემ განმარტა, რომ განქორწინების ნაწილში ზემოხსენებული გადაწყვეტილე-

ბის საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის იურიდიული ინტერესი არის ის, რომ მხარემ დროულად აიღოს საქართველოში განქორნინების მოწმობა, აპირებს ხელახალ ქორნინებას და სურს დოკუმენტების დროული მოწესრიგება.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2016 წლის 25 აპრილის განჩინებით მ. ლ-ის შუამ-დგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ლ-ის შუამდგომლობა განქორნინების ნაწილში გერმანი-ის, პანკოვის/თეთრი ზღვის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვე-ტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულე-ბის შესახებ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარე-მოებათა გამო:

1. გერმანიის, პანკოვის/თეთრი ზღვის საოლქო სასამარ-თლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2014 წლის 18 სექტემ-ბრის გადაწყვეტილებით 2012 წლის 11 ივლისს თბილისის მმა-ჩის ბიუროს რეგისტრატორის წინაშე, რეგისტრირებულ №8... ქორნინებაში მყოფი მხარეები: გერმანიის მოქალაქე ლ. ლ-ი და საქართველოს მოქალაქე მ. ლ-ი (დაბ: კ-ი) განქორნინდნენ.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მ. ლ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტი-ლების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება (იხ. №ა-1462-16 განცხადებით დაზუსტებული მოთხოვნა).

3. შუამდგომლობისა და მასზე დართული მასალების შესწავ-ლის საფუძველზე დასტურდება, რომ:

3.1. მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თა-ობაზე, შუამდგომლობის ავტორი წარმოადგენს მოპასუხე მხა-რეს, ამასთან, მხარეთა ადვოკატები ესწრებოდნენ საქმის გან-ხილვას;

3.2. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2014 წლის 24 ოქტომბერს.

3.3. მ. ლ-ი არის საქართველოს მოქალაქე, ხოლო თავად ქორ-ნინება რეგისტრირებულია ქ. თბილისში.

3.4. ხარვეზის დადგენის შესახებ საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 18 მარტის განჩინების პასუხად მხარემ განმარტა, რომ განქორნინების ნაწილში ზემოხსენებული გადაწყვეტილე-

ბის საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის იურიდიული ინტრესი არის ის, რომ მხარემ დროულად აიღოს საქართველოში განქორნინების მოწმობა, აპირებს ხელახალ ქორწინებას და სურს დოკუმენტების დროული მოწესრიგება.

4. საკასაციო პალატა მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აქმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკამაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: а) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უნიკების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დაგაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

5. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედევად მიაჩნია, რომ, მო-

ცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის, პანკოვის/თეთრი ზღვის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც 2012 წლის 11 ივლისს თბილისის მმაჩის ბიუროს რეგისტრატორის წინაშე, რეგისტრირებულ №... ქორნინებაში მყოფი მხარეები: გერმანიის მოქალაქე ლ. ლ-ი და საქართველოს მოქალაქე მ. ლ-ი (დაბ: კ-ი) განქორნინდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

6. რაც შეეხება ამავე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევას, ამ საკითხს არეგულირებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. განსახილველ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორი გადაწყვეტილების აღსრულებას ასაბუთებს განქორნინების მოწმობის ადების სურვილით, რაც საკასაციო სასამართლოს მხრიდან ვერ იქნება მიჩნეული ნამდვილ იურიდიულ ინტერესად (სსსკ-ის 180-ე მუხლი), რადგანაც ზემოხსენებული კანონის 69-ე მუხლით მოწესრიგებულია ქორნინების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი და ნორმის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა. მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც განქორნინების თაობაზე გერმანიის, პანკოვის/თეთრი ზღვის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობით მიიღწევა ის იურიდიული შედეგი, რომლის დადგომაც სურს მხარეს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნის მიმართ მხარეს არ გააჩნია ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რაც ამ ნაწილში შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერ-

ძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით,
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი,
180-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ლ-ის შუამდგომლობა გერმანიის, პანკოვის/თეთრი
ზღვის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილე-
ბის 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართვე-
ლოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ნაწი-
ლობრივ დაკმაყოფილდეს.

2. მეუღლეთა განქორწინების ნაწილში ცნობილ იქნას საქარ-
თველოს ტერიტორიაზე გერმანიის, პანკოვის/თეთრი ზღვის სა-
ოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2014
წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება, ხოლო გადაწყვეტილე-
ბის საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის
მოთხოვნის ნაწილში შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდეს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-
რდება.

2. ვალდებულებითი სამართალი

თანხის დაკისრება

განერიცვა

№ა-154-შ-2-2015

29 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საბაჟო გადასახდელების გადახდევინება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსის რესპუბლიკის ქალაქ გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კ. ზ-ს დაეკისრა საბაჟო გადასახდელების გადახდა 19 749 400 ბელორუსული რუბლის ოდენობით და სახელმწიფო სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 987 470 ბელორუსული რუბლის ოდენობით.

ბელორუსის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის ქალაქ გომელის საბაჟო ტერმინალმა და ბელორუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს მოსამართლემ ე. ც-ამ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობებით მოითხოვეს ბელორუსის რესპუბლიკის ქალაქ გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბელორუსის რესპუბლიკის ქალაქ გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის წარმოების თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე კ. ზ-ი. 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მისი აღსრულება ბელორუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვერ განხორციელდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2015 წლის 2 თებერვლის განჩინებით ბელორუსის რესპუბლიკის სახელმწიფო საპატიო კომიტეტის ქალაქ გომელის საპატიო ტერმინალისა და ბელორუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს მოსამართლე ე. ც-ას შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე კ. ზ-ს, გაეგზავნა 2015 წლის 25 თებერვალს, 6 მარტს და 7 მაისს და ჩაბარდა კ. ზ-ის რძალს შ. გ-ეს გადასაცემად 2015 წლის 8 მაისს, თუმცა კ. ზ-ს განჩინებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნულ შუამდგომლობაზე აზრი არ გამოუთქვამს, ასევე, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმა-

ყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ ბელორუსის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის გომელის საბაჟოსა და ბელორუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს მოსამართლე ე. ც-ას შუამდგომლობა იმავე სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენასმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბელორუსის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის გომელის საბაჟოსა და ბელორუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს მოსამართლე ე. ც-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და დაექვემდებაროს აღსრულებას ბელორუსის რესპუბლიკის ქალაქ გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც: კ. ზ-ს დაეკისრა საბაჟო გადასახდელების გადახდა 19 749 400 ბელორუსული რუბლის ოდენობით და სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 987 470 ბელორუსული რუბლის ოდენობით;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანხის დაკისრება

განჩინება

№ა-1296-შ-31-2015

24 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება და სახელმწიფო ბაჟის
დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის საბჭოთა რაიონის სა-
სამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის განაჩენით რ. თ-ე ცნო-
ბილ იქნა დამნაშავედ ბელარუსის რესპუბლიკის სისხლის სა-
მართლის კოდექსის 209-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალის-
წინებული ქმედების ჩადენაში და ბელარუსის რესპუბლიკის
სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის თა-
ნახმად, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, მთელი ქო-
ნების კონფისაციით. ამავე განაჩენით რ. თ-ეს ა. პ-ის სასარ-
გებლოდ დაეკისრა დანაშაულით მიყენებული ზიანის – ბელა-
რუსის რესპუბლიკის ნაციონალური ბანკის მიერ განაჩენის გა-
მოტანის დღისათვის დადგენილი კურსით 13 000 აშშ დოლარის
ეკვივალენტი 109 590 000 რუბლის გადახდა, რ. თ-ეს ასევე და-
ეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 5 479 500 რუბლის გადახდა. აღ-
ნიშნული განაჩენი არ გასაჩინორებულა და კანონიერ ძალაში შე-
ვიდა 2012 წლის 9 იანვარს, ამასთან, ბელარუსის რესპუბლიკის
ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის საბჭოთა რაიონის სა-
სამართლოს მოსამართლე ი. ვ-ომ და ა. პ-მა შუამდგომლობით
მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ზიანის ანაზ-
ღაურებისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ბელა-
რუსის რესპუბლიკის ქ. გომელის საბჭოთა რაიონის სასამარ-
თლოს 2011 წლის 22 დეკემბრის განაჩენის საქართველოს ტე-
რიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

შუამდგომლობის ავტორების მიერ ნარმოდგენილი მტკიცე-

ბულებებით ირკვევა, რომ განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული 2012 წლის 9 იანვრიდან და ექვემდებარება აღსრულებას, მონინააღმდეგე მხარე დადგენილი წესით იყო ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე და ჩაბარდა განაჩენის ასლი, დასტურდება, რომ სამოქალაქო ზიანისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში გაცემული სააღსრულებო ფურცელი განაჩენის გამომტანი ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ამასთან, დგინდება საქართველოს საერთო სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაც.

რ. თ-ემ შესაგებლით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომლითაც ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს მოთხოვნის ნაწილში აღიარა ვალდებულების შეუსრულებლობა, ხოლო ა. პ-ს მოთხოვნას არ დაეთანხმა იმ საფუძვლით რომ მასთან ფულადი ვალდებულება გაქვითულია, ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნია და ნარმოადგენს მოგვიანებით, შესაბამისად, ითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივნისის განჩინებით რ. თ-ის მოთხოვნა საქმის მხარეთა დასწრებით განხილვის თაობაზე დაკმაყოფილდა და სასამართლო სხდომა დაინიშნა 2015 წლის 21 ივლისს, 14:00 საათზე, რის შესახებაც მხარეებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ეცნობათ.

საკასაციო სასამართლოს წერილობით მომართა ა. პ-მა და ითხოვა საქმის შუამდგომლობის ავტორთა გამოუცხადებლად განხილვა, ხოლო რ. თ-ე სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა. 2015 წლის 21 ივლისის საოქმო განჩინებით საქმის განხილვა გადაინიშნა 2015 წლის 24 ივლისს ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოსა და ა. პ-ის შუამდგომლობები საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით განსაზღვრულია უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის წინაპირო-

ბები და დადგენილია ის კანონისმიერი მოთხოვნები, რომელ-თაც შუამდგომლობა უნდა აკმაყოფილებდეს. მითითებული ნორმის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. ამავე კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი, დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმებში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, რამდენადაც საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის განაჩენით რ. თ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ ბელარუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში და ბელარუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, მთელი ქონების კონფისკაციით. ამავე განაჩენით რ. თ-ეს ა. პ-ას სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაულით მიყენებული ზიანის – ბელარუსის რესპუბლიკის ნაციონალური ბანკის მიერ განაჩენის გამოტანის დღისათვის დადგენილი კურსით 13 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი 109 590 000 რუბლის გადახდა, რ. თ-ეს ასევე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 5 479 500 რუბლის გადახდა. აღნიშნული განაჩენი არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 9 იანვარს. ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს მოსამართლე ი. ვ-ომ და ა. პ-მა შუამდგომლობით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ზიანის ანაზღაურებისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული 2012 წლის 9 იანვრიდან და ექვემდებარება აღსრულებას, მონინააღმდეგე მხარე დადგენილი წესით იყო ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე და ჩაბარდა განაჩენის ასლი, დასტურდება, რომ სამოქალაქო ზანისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში გაცემული სააღსრულებო ფურცელი განაჩენის გამომტანი ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ამასთან, დგინდება საქართველოს საერთო სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაც.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა, მხედველობაში იღებს მონინააღმდეგე მხარის შესაგებელში მითითებულ გარემოებებს, რომლითაც, რ. თ-ემ, ერთი მხრივ, სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში აღიარა, რომ განაჩენით დადგენილი ვალდებულება არ შეუსრულებია, ხოლო, მეორე მხრივ, ა. პ-ის მოთხოვნის ნაწილში აღნიშნა, რომ ფულადი ვალდებულებები გაქვითული ჰქონდა ა. პ-ის და არ არსებობდა შუადგომლობის დაკამაყოფილების საფუძველი. მონინააღმდეგე მხარის წერილობითი შესაგებლით ირკვევა, რომ ამ ეტაპზე განაჩენით დაკისრებული ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების არარსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ გააჩნია და ითხოვა, როგორც საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა, ისე მტკიცებულებების სასამართლო სხდომაზე წარმოდგენა.

საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 9 ივნისის განჩინებით საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, თუმცა რ. თ-ეს სხდომაზე არ გამოცხადებულა, ხოლო მონინააღმდეგე მხარემ მათი დასწრების გარეშე საქმის განხილვა ითხოვა (იხ. 21.07.2015 წ. სხდომის ოქმი, ასევე, ა. პ-ის განცხადება).

საკასაციო პალატა მოხმობს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტს, რომლის თანახმადაც, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. ამავე კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყა-

რეპს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

ამდენად, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარე დაეთანხმა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანება (სახელმწიფო ბაჟი) არ არის გადახდილი, პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის უპირობოდ დაკმაყოფილების საფუძველი, ამასთანავე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, სწორედ, რ. თ-ე იყო ვალდებული, სათანადო მტკიცებულების წარდგენის გზით დაედასტურებინა ის გარემოება, რომ მას გაქვითვის გზით აქვს შესრულებული ფულადი ვალდებულება ა.პ.ს მიმართ. ამგვარი მტკიცებულება კი, მას საკასაციო სასამართლოსათვის არ წარმოუდეგენია, შესაბამისად, მისი პოზიცია 13 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი რუბლის ნაწილში უცხო ქვეყნის განაჩენის საქართველოს ტრიტორიაზე ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო პალატის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც რ. თ-ეს ა. პ-ის სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაულით მიყენებული ზიანის – (ბელარუსის რესპუბლიკის ნაციონალური ბანკის მიერ განაჩენის გამოტანის დღისათვის დადგენილი კურსის შესაბამისად) 13 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი 109 590 000 რუბლის, ასევე ბელარუსის რესპუბლიკის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 5 479 500 რუბლის ანაზღაურება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

- ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის საბჭოთა რაიონის

სასამართლოსა და ა. პ-ის შუამდგომლობები ზიანის ანაზღაურებისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ამავე სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილ-დეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც რ. თ-ეს ა. პ-ის სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაულით მიყენებული ზიანის – (ბელარუსის რესპუბლიკის ნაციონალური ბანკის მიერ განაჩენის გამოტანის დღი-სათვის დადგენილი კურსით) 13 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი 109 590 000 რუბლის, ხოლო ბელარუსის რესპუბლიკის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 5 479 500 რუბლის გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის დაკისრება

განჩინება

№ა-1297-შ-32-2015

23 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს №1 ადმინისტრაციულ-ეკონომიკური სასამართლოს 2014 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით ლს „ა. – რ. ა-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე – შპს „ა-ს“ (საქართველო) მოსარჩელის – ლს „ა. – რ. ა-ის“ (რუსეთის ფედერაცია) სასარგებლოდ 43325 (ორმოცდასამი ათას სამას ოცდახუთი) აზერბაიჯანული მანათისა და ოცდაცხრამე-

ტი გიაკაპიკის გადახდა დაეკისრა.

ლს „ა. – რ. ა-მა“ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს №1 ადმინისტრაციულ-ეკონომიკური სასამართლოს 2014 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება თანხის დაკისრების თაობაზე.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს №1 ადმინისტრაციულ-ეკონომიკური სასამართლოს 2014 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის წარმოების თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე შპს „ა-ი“, მას გაეგზავნა საქმის მასალები ქ. თბილისში, ფ-ის ქ. ...-ში. 2014 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული ამავე წლის 18 სექტემბერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 24 აპრილის განჩინებით დას „ა. – რ. ა-ის“ შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე შპს „ა-ს“ გაეგზავნა 2015 წლის 19 მაისს და ჩაბარდა 2015 წლის 20 მაისს.

2015 წლის 27 მაისს მოსაზრება წარმოადგინა შპს „ა-მა“, რომელმაც იშუამდგომლა მოცემული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ. აღნიშნული შუამდგომლობა მოტივირებულია იმით, რომ შპს „ა-ის“ მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აზერბაიჯანული კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული იყო დამოუკიდებელი იურიდიული პირი, შვილობილი კომპანია შპს „ა-ი“, რომელსაც მხოლოდ საფირმო სახელწოდებაში აქვს მითითებული რომ ის არის ფილიალი. ამდენად აზერბაიჯანში რეგისტრირებული შპს „ა-ი“ წარმოადგენს არა ფილიალს, არამედ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, რაც დასტურდება აზერბაიჯანული კომპანიის წეს დედოფლის 1.2. პუნქტის ჩანაწერით, რომლის თანახმად, მას გააჩნია დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი. რაც შეეხება ფილიალის მითითებას სახელწოდებაში, ეს გამოყენებული იყო როგორც აბრევიატურა და კავშირი არა აქვს იურიდიული პირის იურიდიულ სტატუსთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ლს „ა. – რ. ა-ის“ შუამდგომლობა უნდა დაკმაყო-

ფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს №1 ადმინისტრაციულ-ეკონომიკური სასამართლოს 2014 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით დას „ა. – რ. ა-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე – შპს „ა-ს“ (საქართველო) მოსარჩელის – ღსს „ა. – რ. ა-ის“ (რუსეთის ფედერაცია) სასარგებლოდ 43325 (ორმოცდასამი ათას სამას ოცდასუთი) აზერბაიჯანული მანათისა და ოცდაცხრამეტი გიგაპიკის გადახდა დაეკისრა.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს №1 ადმინისტრაციულ-ეკონომიკური სასამართლოს 2014 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის წარმოების თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე შპს „ა-ი“, მას გაეგზავნა საქმის მასალები ქ. თბილისში, ფ-ის ქ. ...-ში. 2014 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული ამავე წლის 18 სექტემბერს. აღნიშნულ გარემოებებს მოწინააღმდეგე მხარე სადაცოდა არ ხდის.

უზენაესი სასამართლო ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგა მხარის მოსაზრებას, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს №1 ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ სასამართლოს 2014 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, რადგან გადაწყვეტილებით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული შპს „ა-ის“, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის, ვალდებულება დაეკისრა საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ შპს „ა-ს“, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორ კომპანიას წარმოადგენს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს №1 ადმინისტრაციულ-ეკონომიკური სასამართლოს 2014 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილების შინაარსიდან ირკვევა, რომ აღნიშნული საფუძვლით მოწინააღმდეგე მხარეს შესაგებელი წარდგენილი ჰქონდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს №1 ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ სასამართლოშიც. სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დაადგინა, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კომპანია „ა-ი“ წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიიაზე რეგისტრირებული შპს „ა-ის“ ფილიალს. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-

ე მუხლი კი უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების მა-
ტერიალურ სამართლებრივი საფუძვლების შემონმებას არ ით-
ვალისწინებს.

უზენაესი სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ვერც
საკუთარ ნერილობით მოსაზრებაზე დართული მტკიცებულე-
ბებით და ვერც საქმის ზეპირი განხილვის დროს, მოწინააღმდე-
გე მხარემ მის მიერ მითითებული გარემოება (რომ შპს „ა-ის“
აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ფილიალი,
ნარმოადგენს არა ქართული კომპანიის ფილიალს, არამედ შვი-
ლობილ კომპანიას და დამოუკიდებელ იურიდიულ პირს) ვერ და-
ადასტურა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს
კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქარ-
თველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასა-
მართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომ-
ლებიც გათვალისწინებულია 68-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4
პუნქტებით. უზენაეს სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ
შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბ-
რკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითე-
ბული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრუ-
ლებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს
შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი,
ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქარ-
თველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,
სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის
სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება
იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე
კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა
შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. უზე-
ნაესი სასამართლო საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე
მიიჩნევს, რომ განსაზილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსე-
ნებული დანაწესები დაცულია. ამდენად, აზერბაიჯანის რეს-
პუბლიკის ბაქოს №1 ადმინისტრაციულ-ეკონომიკური სასამარ-
თლოს 2014 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება საქართველოს
უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ
უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართვე-
ლოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლსს „ა. – რ. ა-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და დაექვემდებაროს აღსრულებას აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს №1 ადმინისტრაციულ-ეკონომიკური სასამართლოს 2014 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც: ლსს „ა. – რ. ა-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე – შპს „ა-ს“ (საქართველო) მოსარჩელის – ლსს „ა. – რ. ა-ის“ (რუსეთის ფედერაცია) სასარგებლოდ 43325 (ორმოცდასამი ათას სამას ოცდახუთი) აზერბაიჯანული მანათისა და ოცდაცხრამეტი გიაკაპიკის გადახდა დაეკისრა;
3. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანხელი დაკისრება

განხილვა

№ა-3389-შ-71-2015

22 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „დ-გ“-ს სარჩელი დაკ-

მაყოფილდა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნ-ს“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დ-გ“-ს სა-სარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანება 67 790 აშშ დო-ლარი, აგრეთვე 2 490.4 აშშ დოლარი პირგასამტებლო, 38.72 აშშ დოლარი – წლიური 3%, ასევე საარბიტრაჟო განხილვის ხარჯის 5012.27 აშშ დოლარის ანაზღაურება, სულ 75 331.39 აშშ დოლა-რი; არ დაემაყოფილდა შპს „ნ-ს“ შეგებებული სარჩელი შპს „დ-გ“-ს წინააღმდეგ 23 915.43 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

შპს „დ-გ“-ს წარმომადგენელმა პ. კ-მა საქართველოს უზე-ნაეს სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერ-თაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება თანხის დაკისრების თაობაზე; აგრეთვე მის მიერ გადაწყვეტი-ლების ცნობისა და აღსრულების პროცედურებთან დაკავშირე-ბულ საქმის წარმოებაზე განეული ხარჯების, კერძოდ, სახელ-მწიფო ბაჟის 150 ლარის, დოკუმენტების თარგმნასა და სანო-ტარო დამონმებაზე განეული ხარჯის 430 ლარისა და იურიდი-ულ მომსახურებაზე განეული ხარჯის 8583 ლარის მოწინააღ-მდეგე მხარეზე დაკისრება.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის წარ-მოების თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე შპს „ნ-ი“, აღ-ნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2014 წლის 17 ნოემბერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინებით შპს „დ-გ“-ს შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდარ-თული მასალების ასლები მოპასუხე შპს „ნ-ს“ გაეგზავნა 2015 წლის 6 ოქტომბერს და ჩაბარდა 2015 წლის 4 ნოემბერს.

2015 წლის 9 ნოემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლო-ში მოსაზრება წარმოადგინა შპს „ნ-მა“, რომელმაც იშუამდგომ-ლა მოცემული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ. აღნიშნული შუამდგომლობა მოტივირებულია იმით, რომ უკრა-ინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშო-რისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტი-

ლება გარკვეულ ნაწილში ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, კერძოდ პირგასამტებლოს სახით გადაუხდელი თანხის 0,5%-სა და დამატებით გადაუხდელი თანხის ნლიური 3%-ის დარიცხვის ნაწილში (არბიტრაჟის გადაწყვეტილების პუნქტი №7).

სამოტივაციო ნაწილი:

უზენაესი სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, სასამართლო სხდომაზე მოუსმინა შუამდგომლობის ავტორს და მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „დ-გ“-ს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება ცნობილ იქნას და აღსასრულებლად მიეცეს საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

უზენაესი სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „დ-გ“-ს სარჩელი დაკმაყოფილდა; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნ-ს“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დ-გ“-ს სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანება 67 790 აშშ დოლარი, აგრეთვე 2 490.4 აშშ დოლარი პირგასამტებლო, 38.72 აშშ დოლარი – ნლიური 3%, ასევე საარბიტრაჟო განხილვის ხარჯის 5012.27 აშშ დოლარის ანაზღაურება, სულ 75 331.39 აშშ დოლარი; არ დაეტანონ დადგენილების შპს „ნ-ის“ შეგებებული სარჩელი შპს „დ-გ“-ს წინააღმდეგ 23 915.43 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2014 წლის 17 ნოემბერს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 731-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვე-

ტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლო-ში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის მიზნებისათვის უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლო, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს სახით გადაუხდელი თანხის 0,5%-ისა და დამატებით, გადაუხდელი თანხის წლიური 3%-ის დაკისრების ნაწილში არ ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. გადაწყვეტილება აწესრიგებს კერძო სამართლებრივ დავას მენარმე სუბიექტების სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში და თავისი იურიდიული არსით გადაწყვეტილების შესაბამისად გამოყენებულ პასუხისმგებლობის ზომას გააჩნია დარღვეული უფლების აღდგენითი ხასიათი.

ამდენად, უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამავდროოულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, მოცემული თვალსაზრისით შუამდგომლობა ასევე აკმაყოფილებს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გა-

დახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „დ-გ“-ს შუამდგომლობაზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი – 150 ლარი, ასევე დოკუმენტების თარგმნისა და ნოტარიულად დამოწმების ხარჯი – 430 ლარი, რაც უნდა დაეკისროს შპს „ნ-ს“.

რაც შეეხება იურიდიული მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას, საქმის მასლებით დასტურდება, რომ შუამდგომლობის ავტორს იურიდიული მომსახურების სახით გადახდილი აქვს 76 635,20 უკრაინული გრივნა, რაც არის 8583 ლარის ექვივალენტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისთვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს 4%-ისა. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიაჩნია, რომ მოწინააღმდეგი მხარეს უნდა დაეკისროს იურიდიული მომსახურებისთვის განეული ხარჯის გადახდა 5000 ლარის ოდენობით

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 731-ე მუხლით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე, 45-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „დ-გ“-ს შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც

შპს „დ-გ“-ს სარჩელი დაკმაყოფილდა; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნ-ს“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დ-გ“-ს სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანება 67 790 აშშ დოლარი, აგრეთვე 2 490.4 აშშ დოლარი პირგასამტებლო, 38.72 აშშ დოლარი – წლიური 3%, ასევე საარბიტრაჟო განსხილვის ხარჯის 5012.27 აშშ დოლარის ანაზღაურება, სულ 75 331.39 აშშ დოლარი; არ დაკმაყოფილდა შპს „ნ-ის“ შეგებებული სარჩელი შპს „დ-გ“-ს წინააღმდეგ 23 915.43 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე;

3. შპს „ნ-ს“ შპს „დ-გ“-ს სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის, დოკუმენტების თარგმნასა და სანოტარო დამოწმებაზე განეული ხარჯის – 430 ლარისა და იურიდიულ მომსახურებაზე განეული ხარჯის – 5 000 ლარის გადახდა;

4. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანხის დაკისრება

განჩინება

№ა-41-შ-2-2016

16 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმითა პალატა
შემადგენლობა:** ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. ბაქაქური,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ვლადიმირსკის საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „გ-ს“ ფედერალური სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულება „ც-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 294000 აშშ დოლარის ეკვივალენტი რუბლისა (რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ გადახდის მომენტისათვის დადგენილი კურსის მიხედვით) და გადახდის მომენტისათვის დადგენილი კურსის მიხედვით)

დახდილი სახელმწიფო ბაჟის – 73065,55 რუბლის გადახდა. ასე-ვე შპს „გ-ს“ ფედერალური ბიუჯეტის სასამართლოდ დაეკისრა 355 რუბლისა და 45 კაპიკის გადახდა.

ფედერალური სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულება „ც-ის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მ. შ-მა შუამ-დგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ვლადიმირსკის საარბიტ-რაჟო სასამართლოს 2015 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება 294000 აშშ დოლარის ეკვივალენტი რუბლისა და 73065,55 რუბლის დაკის-რების ნაწილში.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება კანონი-ერ ძალაში შევიდა 2015 წლის 13 აპრილს და რუსეთის ფედერა-ციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2016 წლის 2 მარტის განჩინებით ფედერალური სა-ხელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულება „ც-ის“ დირექტორის მო-ვალეობის შემსრულებელ მ. შ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფე-დერაციის ვლადიმირსკის საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტო-რიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ 294000 აშშ დოლარის ეკვივალენტი რუბლისა და 73065,55 რუბლის დაკისრების ნა-წილში მიღებულ იქნას განსახილველად.

აღნიშნული განჩინების ასლი, ფედერალური სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულება „ც-ის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ მ. შ-ის შუამდგომლობა და თანდართული მასა-ლები კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა მოწინააღმდეგი მხარეს. შპს „გ-ს“ გზავნილი ჩაბარდა კანონით დადგენილი წე-სით და მას არ წარმოუდგენია არც მოსაზრება და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს საკასაციო სასამართლოსათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მი-იჩევს, რომ ფედერალური სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესე-ბულება „ც-ის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ მ. შ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ვლადიმირსკის სა-არბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 13 აპრილის გადაწყვეტი-ლების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების

შესახებ 294000 აშშ დოლარის ეკვივალენტი რუბლისა და 73065,55 რუბლის დაკისრების ნაწილში უნდა დაქმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ რუსეთის ფედერაციის ვლადიმირსკის საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „გ-ს“ ფედერალური სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულება „ც-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 294000 აშშ დოლარის ეკვივალენტი რუბლისა (რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ გადახდის მომენტისათვის დადგენილი კურსის მიხედვით) და გადახდილი სახელმწიფო ბაზის – 73065,55 რუბლის გადახდა. ასევე შპს „გ-ს“ ფედერალური ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 355 რუბლისა და 45 კაპიკის გადახდა.

ფედერალური სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულება „ც-ის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მ. შ-მა შუამ-დგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ვლადიმირსკის საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე (ცნობა და აღსრულება 294000 აშშ დოლარის ეკვივალენტი რუბლისა და 73065,55 რუბლის დაკისრების ნაწილში).

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 13 აპრილს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის ვლადიმირსკის საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება 294000 აშშ დოლარის ეკვივალენტი რუბლისა და 73065,55 რუბლის დაკისრების ნაწილში ცნობილ

უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსას-
რულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო
კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხ-
ლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე
მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ფედერალური სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულება
„ც-ის“ დირექტორის მოგალეობის შემსრულებელ მ. შ-ის შუამ-
დგომლობა რუსეთის ფედერაციის ვლადიმირსკის საარბიტრა-
ჟო სასამართლოს 2015 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების სა-
ქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ
294000 აშშ დოლარის ეკვივალენტი რუბლისა და 73065,55 რუბ-
ლის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს
აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ვლადიმირსკის საარ-
ბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 13 აპრილის გადაწყვეტი-
ლება, რომლითაც შპს „გ-ს“ ფედერალური სახელმწიფო საბიუ-
ჯეტო დაწესებულება „ც-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 294000
აშშ დოლარის ეკვივალენტი რუბლისა (რუსეთის ფედერაციის
ცენტრალური ბანკის მიერ გადახდის მომენტისათვის დადგე-
ნილი კურსის მიხედვით) და გადახდილი სახელმწიფო ბაჟის –
73065,55 რუბლის გადახდა

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-
საჩივრდება.

თანხის დაკისრება

განჩინება

№ა-1648-შ-39-2016

15 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქური,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ღია სააქციო საზოგადოება „მ-ამ“ სარჩელი აღძრა მოპასუ-
ხე შპს „E-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

ბელარუსის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული
საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 4 სექ-
ტემბრის გადაწყვეტილებით ღია სააქციო საზოგადოება „მ-ის“
სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს „E-ს“ (... №.., 0108 ქ. თბილისი,
საქართველო) ღია სააქციო საზოგადოება „მ-ის“ (... №.., 212798,
ქ. მოგილევი, ბელარუსის რესპუბლიკა) სასარგებლოდ დაეკის-
რა ძირითადი ვალის – 51000 აშშ დოლარის, საურავის – 5600 აშშ
დოლარისა და საარბიტრაჟო მოსაკრებელის – 3151,69 ევროს
გადახდა.

ღია სააქციო საზოგადოება „მ-ის“ გენერალურმა დირექტორ-
მა ბ. კ-იმ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს
სასამართლოს და მოითხოვა ბელარუსის სავაჭრო-სამრეწველო
პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამარ-
თლოს 2015 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართვე-
ლოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ძირითადი ვალის –
43500 აშშ დოლარის, საურავის – 5600 აშშ დოლარისა და საარ-
ბიტრაჟო მოსაკრებელის – 3151,69 ევროს დაკისრების ნაწილ-
ში.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით
ირკვევა, რომ ზემოთმითითებული გადაწყვეტილება კანონიერ
ძალაში შევიდა 2015 წლის სექტემბერში და ბელარუსის რეს-
პუბლიკის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ ძირითადი
ვალის – 7500 აშშ დოლარის ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით ღია სააქციო საზოგადოება „მ-ის“ შუამდგომლობა ბელარუსის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნას განსახილველად.

აღნიშნული განჩინების ასლი, ღია სააქციო საზოგადოება „მ-ის“ გენერალური დირექტორი პ. კ-ის შუამდგომლობა და თანდართული მასალები კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა მოწინააღმდეგ მხარეს.

2016 წლის 18 მაისს შპს „E-ის“ დირექტორმა ლ. ჩ-ემ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და აღნიშნა, რომ შუამდგომლობის ავტორთან წლების განმავლობაში შპს „E-ს“ გააჩნია საქმიანი უთიერთობა და არსებული დავალიანება წარმოქმნილია იმ მიზეზით, რომ წლების განმავლობაში დაყადალებულია შპს-ს ქონება და ანგარიშები, ხოლო სასამართლოში არსებული დავა ჯერ არ განხილულა. ასევე მიუთითა, რომ რეალური ვალი დღეისათვის შეადგენს 42000 აშშ დოლარს.

2016 წლის 25 მაისს ღია სააქციო საზოგადოება „მ-ის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ს. ჩ-მა შუამდგომლობით მომართა საკასაციო პალატას და დააზუსტა მოთხოვნა, კერძოდ, დაადასტურა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ გადაიხადა 1500 აშშ დოლარი, შესაბამისად, ძირითადი ვალი შეადგენს 42000 აშშ დოლარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ღია სააქციო საზოგადოება „მ-ის“ შუამდგომლობა ბელარუსის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ნაწილობრივ ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესანავლით დასტურდება, რომ ბელარუსის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით ღია სააქციო საზოგადოება „მ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს „E-ს“ (... №..., 0108 ქ. თბილისი, საქართვე-

ლო) ღია სააქციო საზოგადოება „მ-ის“ (... №.., 212798, ქ. მოგი-ლევი, ბელარუსის რესპუბლიკა) სასარგებლოდ დაეკისრა ძი-რითადი ვალის – 51000 აშშ დოლარის, საურავის – 5600 აშშ დო-ლარისა და საარბიტრაჟო მოსაკრებელის – 3151,69 ევროს გა-დახდა.

ღია სააქციო საზოგადოება „მ-ის“ გენერალურმა დირექტორ-მა ბ. კ-იმ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ბელარუსის საგაფრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამარ-თლოს 2015 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართვე-ლოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ძირითადი ვალის – 43500 აშშ დოლარის, საურავის – 5600 აშშ დოლარისა და საარ-ბიტრაჟო მოსაკრებელის – 3151,69 ევროს დაკისრების ნაწილ-ში.

2016 წლის 25 მაისს ღია სააქციო საზოგადოება „მ-ის“ გენე-რალური დირექტორის მოგალეობის შემსრულებელმა ს. ჩ-მა შუ-ამდგომლობით მომართა საკასაციო პალატას და დააზუსტა მოითხოვნა, კერძოდ, დაადასტურა, რომ მოწინააღმდეგე მხა-რემ გადაიხადა 1500 აშშ დოლარი, შესაბამისად, ძირითადი ვა-ლი შეადგენს 42000 აშშ დოლარს.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება კანონი-ერ ძალაში შევიდა 2015 წლის სექტემბერს და ბელარუსის რეს-პუბლიკის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ ძირითადი ვალის – 9000 აშშ დოლარის ნაწილში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს სა-ქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნა-წილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანო-ნიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვე-ვაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, ღია სააქციო საზოგა-დოება „მ-ის“ შუამდგომლობა ბელარუსის საგაფრო-სამრეწვე-ლო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სა-სამართლოს 2015 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება 42000

აშშ დოლარის, საურავის – 5600 აშშ დოლარისა და საარბიტრაჟო მოსაკრებელის – 3151,69 ევროს დაკისრების ნაწილში ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ღია სააქციო საზოგადოება „მ-ის“ შუამდგომლობა ბელარუსის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ნაწილობრივ ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 2015 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება შპს „E-საოვის (... №..., 0108 ქ. თბილისი, საქართველო) ღია სააქციო საზოგადოება „მ-ის“ (... №..., 212798, ქ. მოგილევი, ბელარუსის რესპუბლიკა) სასარგებლოდ ძირითადი ვალის – 42000 აშშ დოლარის, საურავის – 5600 აშშ დოლარისა და საარბიტრაჟო მოსაკრებელის – 3151,69 ევროს დაკისრების ნაწილში.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის დაკისრება

განჩინება

№ა-3708-შ-102-2016

16 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქური,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევსკის ოლქის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით ღია სააქციო საზოგადოება „ქ.-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. შპს „P-ს“ (საქართველო, ... №...) ღია სააქციო საზოგადოება „ქ.-ის“ (ბელარუსის რესპუბლიკა, ...) სასარგებლოდ, 2015 წლის 24 მარტის №... კონტრაქტის საფუძველზე, დაეკისრა ძირითადი ვალის – 38997,96 ევროს გადახდა. ასევე შპს „P-ს“ რესპუბლიკის ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 1359,55 ევროს (ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის 15.07.2016 კურსით ეკვივალენტი 3011,53 ბელარუსის რუბლის) გადახდა.

ღია სააქციო საზოგადოება „ქ.-მა“ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევსკის ოლქის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება თანხის დაკისრების ნაწილში.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემოთმითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2016 წლის 8 აგვისტოს და ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით ღია სააქციო საზოგადოება „ქ.-ის“ შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევსკის ოლქის ეკონომიკური სასამართლოს 2016

წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნას განსახილველად.

აღნიშნული განჩინების ასლი, ლია სააქციო საზოგადოება „ქ-ის“ შუამდგომლობა და თანდართული მასალები კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა მონინააღმდეგე მხარე შპს „P-ს“, რომელსაც გზავნილი ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, თუმცა მას არ ნარმოუდგენია არც მოსაზრება და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს საკასაციო სასამართლოსათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ლია სააქციო საზოგადოება „ქ-ის“ შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევსკის ოლქის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ნაწილობრივ ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესანავლით დასტურდება, რომ ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევსკის ოლქის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით ლია სააქციო საზოგადოება „ქ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. შპს „P-ს“ (საქართველო, ... №...) ლია სააქციო საზოგადოება „ქ-ის“ (ბელარუსი რესპუბლიკა, ...) სასარგებლოდ, 2015 წლის 24 მარტის №... კონტრაქტის საფუძველზე, დაეკისრა ძირითადი ვალის – 38997,96 ევროს გადახდა. ასევე შპს „P-ს“ რესპუბლიკის ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 1359,55 ევროს (ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის 15.07.2016წ. კურსით ეკვივალენტი 3011,53 ბელარუსის რუბლის) გადახდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ ნარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2016 წლის 8 აგვისტოს და ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3

და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევსკის ოლქის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება ძირითადი ვალის – 38997,96 ევროს დაკისრების ნაწილში ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ადგინდა:

1. ღია სააქციო საზოგადოება „ქ-ის“ შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევსკის ოლქის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ნაწილობრივ ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევსკის ოლქის ეკონომიკური სასამართლოს 2016 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც ღია სააქციო საზოგადოება „ქ.-ის“ სარჩელი და კმაყოფილდა სრულად. შპს „P-ს“ (საქართველო, ... №...) ღია სააქციო საზოგადოება „ქ-ის“ (ბელარუსი რესპუბლიკა, ...) სასარგებლოდ, 2015 წლის 24 მარტის №... კონტრაქტის საფუძვლზე, დაეკისრა ძირითადი ვალის – 38997,96 ევროს გადახდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თანხის დაკისრება

განჩინება

№ა-1983-შ-48-2016

5 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ნარიმანის რაიონუ-
ლი სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით:

– მოპასუხე ლ. დ-ს მოსარჩელე გ. ა-ას სასარგებლოდ დაე-
კისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი ვალის – 5 500 მანათის და
ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 30 მა-
ნათის ანაზღაურება.

2. გ. ა-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენა-
ეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტი-
ლების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალე-
ბით ირკვევა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ნარი-
მანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გა-
დაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 25 იანვარს,
ამასთან, გადაწყვეტილება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ
აღსრულებულა. გარდა ამისა, გადაწყვეტილებით დგინდება,
რომ მოპასუხე მხარე, ლ. დ-ი დროულად და სათანადო წესით
იყო გაფრთხილებული სასამართლო განხილვის დროისა და ად-
გილის თაობაზე.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განჩინებით გ. ა-ას შუამ-
დგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

5. შუამდგომლობა, თანდართული მასალებით, გაეგზავნა და
2016 წლის 18 ნოემბერს ჩაბარდა წინააღმდეგე მხარის ოჯახის
წევრს, მეუღლეს, შ. დ-ს.

სამოტივაციო ნაწილი:

6. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

7. დადგენილია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ნარიმანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით:

– მოპასუხე ლ. დ-ს მოსარჩელე გ. ა-ას სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი ვალის – 5 500 მანათის და ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 30 მანათის ანაზღაურება.

8. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

9. ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აქმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

10. ამდენად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ნარიმანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხე ლ. დ-ს მოსარჩელე გ. ა-ას სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი ვალის – 5 500 მანათის და ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 30 მანათის ანაზღაურება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

11. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშო-

რისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ა-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ნარიმანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის ვადანყვეტილება, რომლითაც მოპასუხე ლ. დ-ს მოსარჩელე გ. ა-ას სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი ვალის – 5 500 მანათის და ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 30 მანათის ანაზღაურება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნასყიდობა

განერიცხა

№ა-3566-შ-78-2015

29 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის
შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. შპს „რ-ისა“ (შემდეგში შუამდგომლობის ავტორი ან გამყიდველი) და შპს „F“-ს (შემდეგში მოწინააღმდეგე მხარე ან მყიდველი) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც გამყიდველმა იკისრა ვალდებულება, მყიდველისათვის გადაეცა საქონელი, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, მიელო იგი და გადაეხადა საფასური.

2. მყიდველმა დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა მიღებული საქონლის საფასურის გადახდაზე, რაც საფუძვლად დაედო გამყიდველის მიმართვას საარბიტრაჟო სასამართლოსთვის მყიდველის წინააღმდეგ. სარკინიგზო ზედნადებებით დადასტურებულია, რომ გამყიდველმა მყიდველს 141 555,2 ევროს ღირებულების საქონლი მიაწოდა. მყიდველს მიღებული საქონლის სრული ღირებულება არ გადაუხდია და დავალიანებამ შეადგინა 32 989 ევრო.

3. რუსეთის ფედერაციის კემეროვის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე № 27-18246.2013), მყიდველს დაეკისრა წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტში მითითებული დავალიანების – 32 989 ევროს გადახდა გამყიდველის სასარგებლოდ. ასევე, პირგასამტებლოს გადახდა, მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების 9.2.1. ქვეპუნქტის მიხედვით, შუამდგომლობის ავტორის სასარგებლოდ. ხელშეკრულების მიხედვით, თანხის გადახდის ვადის დავიანებისათვის, პირგასამტებლო შეადგენს, 0,01%-ს თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის, რაც იანგარიშება გადასახდელი დავიანებული დავალიანებიდან, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს. შესაბამისად, 2012 წლის 6 აგვისტოდან 2013 წლის 6 დეკემბრამდე, დარიცხულმა პირგასამტებლომ შეადგინა 1606, 56 ევრო, რაც დაეკისრა მყიდველს. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სახელმწიფო ბაჟის სახით, მონინააღმდეგე მხარეს დაეკისრა 28 572, 02 რუბლის გადახდა.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2015 წლის 1 ოქტომბერს №7490 ნერილით (რეგისტრირებულია 30.09.2015) მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციისა და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 70-ე მუხლების შესაბამისად, წარმოადგინა შპს „რ-ის“ შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის კემეროვის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 13 მაისის № 27-18246/2013 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე.

5. შუამდგომლობაზე დართული ცნობებით დასტურდება,

რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2014 წლის 17 ივნისს და იგი არ არის აღსრულებული რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულია განსახილველად. ამავე განჩინებით, შუამდგომლობა თანდართული მასალებით 16 ოქტომბერს, ხოლო 3 ნოემბერს – განმეორებით, გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს საკუთარი მოსაზრების გამოთქმისა და, ზეპირი განხილვით, საქმის მოსმენის მოთხოვნის შესაძლებლობის შეტყობინების მიზნით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 70-ე-78-ე მუხლები). მას ორივე შემთხვევაში არ ჩაპირდა სასამართლოს გზავნილი იმ მიზნით, რომ ადრესატის მისამართი არასწორი იყო.

7. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებაშია მითითებული, მოდავე მხარეები სათანადო წესით იყვნენ ინფორმირებული საქმის განხილვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, თუმცა, ისინი არ გამოცხადებულან, ამდენად, მათი გადაწყვეტილება მათი მონაწილეობის გარეშეა მიღებული.

8. საქმის მასალებში არ მოიპოვება მოწინააღმდეგე მხარის რაიმე აღტერნატიული მისამართი, რომელზეც საკასაციო სასამართლო უზრუნველყოფდა მისთვის შუამდგომლობისა და მასალების გაგზავნას. საკასაციო სასამართლომ 2015 წლის 26 ნოემბრის განჩინებით, მოწინააღმდეგე მხარისათვის გაავრცელა საჯარო შეტყობინება, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი შუამდგომლობის თაობაზე; მოწინააღმდეგე მხარეს, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განესაზღვრა ვადა, საკასაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარებისა და მოსაზრებების გამოსათვემელად.

9. მე-8 პუნქტში მითითებული განჩინება 27 ნოემბერს განთავსდა საკასაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე, მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება სასამართლოსათვის უცნობია, თუმცა, საჯარო შეტყობინების გავრცელებიდან, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, მოწინააღმდეგე მხარისათვის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება (სსსკ-ის 78-ე მუხლი).

სამოტივაციო ნაწილი:

10. საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობისა და თანდართული მასალების შესწავლის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „რ-ის“ შუამდგომლობა, რუსეთის ფედერაციის კემეროვის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების № 27-18246/2013 საქართველოს ტერიტორიაზე ცნობსა და აღსრულების შესახებ, დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

11. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ მხარეები კანონით დადგენილი წესით იყვნენ ინფორმირებული საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვის შესახებ (იხ. წინამდებარე განჩინების მე-7 პუნქტი);

12. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას ითხოვს შუამდგომლობის ავტორი, შესულია კანონიერ ძალაში და არ არის აღსრულებული რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი);

13. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაძლებლობა გამოიყენა მონინაალმდეგ მხარის ინფორმირებისათვის მის მიმართ წარმოდგენილი შუამდგომლობის თაობაზე (იხ. ამ განჩინების მე-6, მე-8, მე-9 პუნქტები);

14. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

15. მოხმობილი ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

16. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის 70-ე მუხლის საფუძველზე, წარმოდგენილ შუამ-დგომლობაზე გადაწყვეტილების მიღება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, ამავე კანონის 71-ე მუხლის თანახმად, დაცულია 68-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 69-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „რ-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და აღსასრულებლად მიექცეს რუსეთის ფედერაციის კემეროვის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება №ა27-18246/2013, რომლითაც შპს „F...“-ს შპს „რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ფულადი თანხის 32 989 ევროსა და პირგასამტებლოს 1 606.56 ევროს გადახდა; შპს „F...“-ს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 28 572.02 რუბლის გადახდა;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნასყიდობა

განვითარება

№ა-1756-შ-42-2016

1 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოლდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. შპს „მ-სა“ (შემდეგში: შუამდგომლობის ავტორი ან მყიდველი) და შპს „კ“-ს (შემდეგში: მოწინააღმდეგე მხარე ან გამყიდველი) შორის, 2013 წლის 4 აპრილს, გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება (№040413), რომლითაც გამყიდველმა იქისრა ვალდებულება, მყიდველისათვის გადაეცა საკუთრებაში და მიენიდებინა საკაბელო-გამტარი პროდუქცია (შემდეგში – საქონელი), ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, მიეღო იგი და გადაეხადა საფასური კონტრაქტით დადგენილი პირობებისა და წესების მიხედვით.

2. გამყიდველმა დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა. გამყიდველის მიერ მიწოდებული 2013 წლის 4 აპრილის № 1 ინვოისის საფუძველზე, ამ უკანასკნელის ანგარიშზე მყიდველმა იმავე დღეს გადარიცხა 18 100 აშშ დოლარი, თუმცა, სანაცვლოდ, გამყიდველს საქონელი არ მიუწოდებია მყიდველისათვის, გადარიცხული თანხიდან კი მხოლოდ ნაწილი – 6 900 აშშ დოლარი დააბრუნა.

3. აღნიშნული საფუძვლად დაედო მყიდველის მიმართვას უკრაინის საგაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული სასამართლოსთვის გამყიდველის წინააღმდეგ. მიუხედავად კანონით გათვალისწინებული სათანადო წესით შეტყობინებისა, მოპასუხე არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც წარმომადგენელი გაგზავნა. შესაბამისად, მოსარჩელის სასარჩელო განცხადების საფუძველზე, უკრაინის საგაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულმა საერთაშორისო კომერციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამ-

ყიდველმა დაარღვია მყიდველის წინაშე კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულება.

4. უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილებით (№AC-208გ/2013) გამყიდველს, მყიდველის სასარგებლოდ, დაკეისრა 11 200 აშშ დოლარის – მიუწოდებელი საქონლის წინასწარი გადახდის თანხისა და 1 497,90 აშშ დოლარის – საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის ხარჯების ასანაზღაურებლად, ჯამში – 12 697 (თორმეტი ათას ექსას ოთხმოცდაწვიდმეტი) აშშ დოლარისა და 90 ცენტის გადახდა.

5. მყიდველის წარმომადგენელმა 2016 წლის 10 მაისს მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 731-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 35622-ე მუხლის და „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის საფუძველზე, წარმოადგინა შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილების (№AC-208გ/2013) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე.

6. შუამდგომლობაზე დართული ცნობით დასტურდება, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2014 წლის 5 მარტიდან, ამასთან, საქმეზე მოპასუხე საზოგადოებას ეცნობა საარბიტრაჟო განხილვის ყველა სტადიაზე. გადაწყვეტილება არ არის აღსრულებული.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 მაისის განჩინებით მყიდველის შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსაზილველად. ამავე განჩინების საფუძველზე, შუამდგომლობა თანდართული მასალებით გაეგზავნა მონინაალმდეგე მხარეს საკუთარი მოსაზრების გამოთქმისა და, ზეპირი განხილვით, საქმის მოსმენის მოთხოვნის შესაძლებლობის შეტყობინების მიზნით (სსსკ-ი 70-ე-78-ე მუხლები, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლი). საქმეში არსებული გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული განჩინება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, 2016 წლის 30 მაისს ჩაპბარდა შპს „კ-ის“ დირექტორს – ვ. დ-ს.

8. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ

გამყიდველი სათანადო წესით იყო ინფორმირებული საქმის განხილვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, თუმცა, ის პირადად არ გამოცხადებულა სხდომაზე და არც წარმომადგენელი მიუვლენია, ამდენად, გადაწყვეტილება მისი მონაწილეობის გარეშემა მიღებული.

9. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული განჩინებით განსაზღვრული უფლებისა, მოვასუხეს 5 დღის ვადაში წარმოედგინა საკუთარი მოსაზრება, აგრეთვე, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, მას საქართველოს უზენაესი სასამართლოსთვის არ მოუმართავს რაიმე შუამდგომლობით.

სამოტივაციო წანილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობისა და თანდართული მასალების შესწავლის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ მყიდველის შუამდგომლობა, უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილების (№AC-208გ/2013) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემობათა გამო:

10. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ მხარეები კანონით დადგენილი წესით იყვნენ ინფორმირებული უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ კომერციულ სასამართლოში საქმის განხილვის შესახებ (იხ. წინამდებარე განჩინების მე-7 პუნქტი);

11. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას ითხოვს შუამდგომლობის ავტორი, შესულია კანონიერ ძალაში და არ არის აღსრულებული (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი);

12. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყო მოწინააღმდეგე მხარის ინფორმირება მის მიმართ წარმოდგენილი შუამდგომლობის თაობაზე (იხ. ამ განჩინების მე-6, მე-8, მე-9 პუნქტები);

13. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის

სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს სა-ქართველოს უზენაესი სასამართლო.

14. მოხმობილი ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კა-ნონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსე-ბობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ ასეთი დამაბ-რკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უც-ხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

15. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის 70-ე მუხლის საფუძველზე, წარმოდგენილ შუამ-დგომლობაზე გადაწყვეტილების მიღება საქართველოს უზე-ნაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, ამავე კა-ნონის 71-ე მუხლის თანახმად, დაცულია 68-ე მუხლით გათვა-ლისწინებული წინაპირობები.

16. საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამო-ქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელ-შეკრულების (ძალაშია 1996 წლის 6 დეკემბრიდან) მე-40 მუხ-ლის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეები ცნობენ და აღასრუ-ლებენ იუსტიციის დაწესებულებების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს სამოქალაქო საქმეებზე, ხოლო 42-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილით, აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯე-ბის ნაწილში გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს აღ-სრულება.

17. შუამდგომლობის ავტორს სახელმწიფო ბაჟის სახით წი-ნასწარ გადახდილი აქეს 150 ლარი, ვინაიდან შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის (შემდეგში სსსკ) 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახ-მად, შუამდგომლობაზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბა-ზი, 150 ლარის ოდენობით, მონინააღმდეგე მხარეს უნდა დაე-კისროს.

18. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ არ არსებობს წინამდებარე განჩინების მე-16 პუნქტში მითითებული ორმხრივი ხელშეკრულების 43-ე მუხ-

ლით გათვალისწინებული წინაპირობები, რაც უცხო ქვეყნის სა-სამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე ან აღსრულების ნებარ-თვაზე უარის თქმის საფუძველი გახდებოდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, 68-ე, 69-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 53-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „მ-ს“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და აღსას-რულებლად მიექცეს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატას-თან არსებული საერთაშორისო კომერციული სასამართლოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება №AC-208გ/2013, რომ-ლითაც შპს „მ-ს“ საარბიტრაჟო სარჩელი თანხის დაკისრების თაობაზე შპს „კ-ს“ მიმართ დაკმაყოფილდა; შპს „კ“-ს შპს „მ-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 12 697.9 აშშ დოლარის გადახდა (11 200 აშშ დოლარი მიუნდებული საქონლის წინასწარი გადახდის თანხა და 1 497.9 აშშ დოლარი საარბიტრაჟო მოსაკრებლის გა-დახდის ხარჯი);
3. შპს „კ-ს“ შპს „მ-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს საქმის გან-ხილვასთან დაკავშირებული ხარჯის (სახელმწიფო ბაჟის) 150 ლარის გადახდა;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნასყიდობა

განჩინება

№ა-1757-შ-43-2016

28 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოლდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. უკრაინის საგაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული
საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014
წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით:

1. შპს „კ. მ-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა;
2. მოპასუხე შპს „კ-ს“ (საქართველო, ქ.თბილისი, რ. ჯ-ის 1-
ლი შესახვევი ..., საიდენტიფიკაციო №...), შპს „კ. მ-ს“ (61022,
უკრაინა, ... ქ.სახლი ...-ა, სახელმწიფო რეესტრი ...) სასარგებ-
ლოდ, დაეკისრა 24 342 აშშ დოლარისა (მიუწოდებელი საქონ-
ლის წინასწარი გადახდის თანხა) და 2 176.42 აშშ დოლარის (სა-
არბიტრაჟო მოსაკრებლის ხარჯების ასანაზღაურებლად), სულ
26 518.42 აშშ დოლარის გადახდა.
3. 10.05.2016 წელს შპს „კ. მ-ს“ წარმომადგენელმა შოთა ან-
დლულაძემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენა-
ეს სასამართლოს და მოითხოვა უკრაინის საგაჭრო-სამრეწვე-
ლო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული სა-
არბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტი-
ლების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. შუ-
ამდგომლობის ავტორი მოითხოვს, ასევე, რომ შპს „კ“-ს, შპს „კ.
მ-ს“ სასარგებლოდ, დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ შუამ-
დგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გა-
დახდა.
3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალე-
ბით ირკვევა, რომ უკრაინის საგაჭრო-სამრეწველო პალატას-
თან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სა-
სამართლოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება კანონიერ

ძალაში შევიდა 2014 წლის 5 მარტს.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩინებით შპს „კ. მ-ს“ შუ-
ამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

5. შუმდგომლობა, თანდართული მასალებით, გაეგზავნა და
2016 წლის 13 ივნისს ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარეს – შპს
„კ“-ს, რომელსაც რაიმე შუამდგომლობით ან განცხადებით სა-
კასაციო სასამართლოსათვის არ მოუმართავს.

სამოტივაციო ნაწილი:

6. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მი-
იჩნევს, რომ შპს „კ. მ-ს“ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილ-
დეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

7. დადგენილია, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალა-
ტასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო
სასამართლოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით მოპა-
სუებ შპს „კ“-ს (საქართველო, ქ.თბილისი, ..., საიდენტიფიკაციო
№...), შპს „კ. მ-ს“ (61022, უკრაინა, ..., სახელმწიფო რეესტრი ...)
სასარგებლოდ, დაეკისრა 24 342 აშშ დოლარისა (მიუწოდებელი
საქონლის წინასწარი გადახდის თანხა) და 2 176.42 აშშ დოლა-
რის (საარბიტრაჟო მოსაკრებლის ხარჯების ასანაზღაურებ-
ლად), სულ 26 518.42 აშშ დოლარის გადახდა.

8. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართვე-
ლოს კანონის 731 მუხლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს
გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და
აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანო-
ნით დადგენილი წესით. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს
კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის
მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვე-
ტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლო-
ში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნ-
და აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებუ-
ლებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწ-
ყვეტილებებთან დაკავშირებით ამ მუხლისა და ამ კანონის 45-
ე მუხლის მიზნებისათვის უფლებამოსილ სასამართლოდ ით-
ვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს
ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავში-
რებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო.

9. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემ-

თხვევაში, არ არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც გათვალისწინებულია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით, შესაბამისად, შუამდგომლობა უნდა დაემაყოფილდეს და საქართველოს ტრიტორიაზე აღსასრულებლად უნდა მიექცეს უკრაინის საგაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება.

10. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

11. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „კ-ს“ შუამდგომლობაზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი – 150.00 ლარი. აქედან გამომდინარე – შპს „კ“-ს, შპს „კ. მ-ს“ სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150.00 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 53-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „კ. მ-ს“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხე შპს „ე“-ს (საქართველო, ქ.თბილისი, ..., საიდენტიფიკაციი №...), შპს „კ. მ-ს“ (ბ1022, უკრაინა, ..., სახელმწიფო რეესტრი ...) სასარგებლოდ, დაეკისრა 24 342 აშშ დოლარისა (მიუწოდებელი საქონლის წინასწარი გადახდის თანხა) და 2 176.42 აშშ დოლარის (საარბიტრაჟო მოსაკრებლის ხარჯების ასანაზღაურებლად), სულ 26 518.42 აშშ დოლარის გადახდა;

3. შპს „ე“-ს, შპს „კ. მ-ს“ სასარგებლოდ, დაეკისროს 150.00 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ შუამდგომლობაზე გადასდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სესხი

განერინება

№ა-863-შ-20-2015

10 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; მ. ფ-ეს ა. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ხელშეკრულების შესაბამისად არსებული ძირითადი ვალის თანხა 2 500 000 რუბლის ოდენობით, სესხით სარგებლობისთვის პროცენტის თანხა – 34 588 რუბლისა და 65 კაპიკის ოდენობით, 2010 წლის 24 მაისიდან 2013 წლის

15 აპრილამდე პერიოდში სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისთვის პროცენტის თანხა – 605 572 რუბლისა და 92 კაპიკის ოდენობით, 2013 წლის 15 აპრილიდან 2014 წლის 18 აგვისტომდე პერიოდში სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისთვის პროცენტის თანხა – 280 730 რუბლისა და 80 კაპიკის ოდენობით, სულ 3 420 892 (სამი მილიონ ოთხას ოცი ათას რვაას ოთხმოცდათორმეტი) რუბლი და 37 კაპიკი.

ა. შ-ის წარმომადგენელმა დ. კ-მა საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება თანხის დაკისრების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 მარტის განჩინებით ა. შ-ის შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხებ. ფ-ეს გაეგზავნა 2015 წლის 22 აპრილს და ჩაბარდა 2015 წლის 3 მაისს.

2015 წლის 8 მაისს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსაზრება წარმომადგინა მ. ფ-ის წარმომადგენელმა თ. წ-მა სადაც მიუთითა, რომ რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის პროცესის თაობაზე მისი მარწმუნებელი ინფორმირებული არ იყო, ასევე, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, მ. ფ-ეს სასამართლოსგან არ მიუღია სარჩელი თანდართული მტკიცებულებებით. მ. ფ-ის წარმომადგენლის განცხადებით ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებაში მითითებული ინფორმაცია, რომ 2014 წლის 12 და 21 აგვისტოს მ. ფ-ეს მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაეგზავნა სასამართლო უწყება და საქმის მასალები, სიმართლეს არ შეესაბამება. ელექტრონულ ფოსტაზე მ. ფ-ეს არაფერი მიუღია გარდა 2014 წლის 27 ივნისს გაგზავნილი უწყებისა, რომელიც ეხებოდა 2014 წლის 21 ივლისის პროცესს. ასევე, სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებაში მითითებული პირი ვინჩე დ-ე, რომელმაც, სასამართლოს ინფორმაციით, მ. ფ-ისათვის სოფ. აში გაგზავნილი სასამართლო უწყება ჩაიბარა, არ წარმოადგენს მ. ფ-ის წათესავს. მ. ფ-ეს არ ჩაბარებია ასევე 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება, რის გამოც მან ეს გადაწყვეტილე-

ბა ვერ გაასაჩივრა.

2015 წლის 8 მაისს თ. წ-მა წარმოადგინა ასევე განცხადება მოსამართლის აცილების შესახებ.

2015 წლის 9 ივლისს მ. ფ-ის წარმომადგენელმა დამატებით წარმოადგინა განცხადება, რომლითაც ითხოვა მოსამართლის აცილების შუამდგომლობის განუხილველად დატოვება.

მ. ფ-ის წარმომადგენელს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა არ მოუთხოვია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს და მივიღა დასკვნამდე, რომ მ. ფ-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა მოსამართლის აცილების შუამდგომლობის განუხილველად დატოვების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

უნდა დაკმაყოფილდეს, აგრეთვე, ა. შ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების ცნობისა და საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; მ. ფ-ეს ა. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ხელშეკრულების შესაბამისად არსებული ძირითადი ვალის თანხა 2 500 000 რუბლის ოდენობით, სესხით სარგებლობისთვის პროცენტის თანხა – 34 588 რუბლისა და 65 კაპიკის ოდენობით, 2010 წლის 24 მაისიდან 2013 წლის 15 აპრილამდე პერიოდში სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისთვის პროცენტის თანხა – 605 572 რუბლისა და 92 კაპიკის ოდენობით, 2013 წლის 15 აპრილიდან 2014 წლის 18 აგვისტომდე პერიოდში სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისთვის პროცენტის თანხა – 280 730 რუბლისა და 80 კაპიკის ოდენობით, სულ 3 420 892 (სამი მილიონ ოთხას ოცი ათას რვაას ოთხმოცდათორმეტი) რუბლი და 37 კაპიკი.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების გამოტანამდე, 2014 წლის 9 აპრილს მ. ფ-ემ განცხა-

დებით მიმართა ორენბურგის სასამართლოს და მოითხოვა 2013 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. ასევე, მიუთითა თავისი მისამართი და ელექტრონული ფოსტის მისამართი. ქ. ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის განჩინებით მ. ფ-ეს უკან დაუპუნდა მის მიერ წარდგენილი განცხადება. ქ. ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 ივნისს განჩინებით ა. შ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, განახლდა საქმის წარმოება და დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2014 წლის 21 ივლისს 14.00 საათზე. 2014 წლის 27 ივნისს მ. ფ-ეს სასამართლომ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაუგზავნა უწყება, რომლითაც აცნობა აღნიშნული პროცესის თაობაზე. 2014 წლის 17 ივლისს მ. ფ-ემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მისთვის სარჩელისა და საქმის მასალების გაგზავნა. ქ. ორენბურგის ცენტრალურმა რაიონულმა სასამართლომ 2014 წლის 21 ივლისს მიიღო განჩინება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებისა და მოპასუხისათვის საქმის მასალების გაგზავნის თაობაზე. აღნიშნული განჩინებით სასამართლომ წინასწარი სასამართლო სხდომა დაინიშნა 2014 წლის 18 აგვისტოს. 2014 წლის 21 ივლისს მ. ფ-ეს გაეგზავნა სასამართლო უწყება, რომლითაც ეცნობა, რომ სასამართლო სხდომა დაინიშნა 2014 წლის 18 აგვისტოს 11.00 საათზე.

რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით დგინდება, რომ 2014 წლის 12 აგვისტოს ცენტრალურმა რაიონულმა სასამართლომ მ. ფ-ეს მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაუგზავნა ა. შ-ის მიერ წარმოდგენილი სარჩელი და შეტყობინება იმის შესახებ, რომ 2014 წლის 18 აგვისტოს 11.00 საათზე დაიწყება სამოქალაქო საქმის განხილვა. ასევე, 2014 წლის 21 აგვისტოს მ. ფ-ეს ელექტრონულ ფოსტაზე გაეგზავნა დაზუსტებული სარჩელი და შეტყობინება საქმის განხილვის შესახებ 2014 წლის 9 სექტემბერს 14.00 საათზე, რაც სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, დასტურდება სქრინშოტით ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს ოფიციალური საიტიდან, ასევე საქმის მასალებში წარმოდგენილი დოკუმენტით. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მ. ფ-ეს ასევე გაეგზავნა სასამართლო უწყება, სარჩელი და დოკუმენტაცია მის მიერ მითითებულ საცხოვრებელი ადგილის მისამართზე – ...-ის რაიონი, სო-

ფელი ა-ი. სასამართლოს განცხადებით, აღნიშნული დოკუმენტები ჩაპარდა მ. ფ-ის ნათესავს დ. დ-ეს.

მოწინააღმდეგე მხარე სადავოდ ხდის სასამართლოს მიერ 12 და 21 აგვისტოს მ. ფ-ისათვის ელ. ფოსტით უწყებისა და საქმის მასალების გაგზავნის ფაქტს, ასევე დ. დ-ის ნათესაურ კავშირს მ. ფ-ესთან.

საკასაციო სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებაში არსებული პირდაპირი მითითება 12 და 21 აგვისტოს მ. ფ-ისათვის ელ. ფოსტით სასამართლო უწყებებისა და საქმის მასალების გაგზავნის თაობაზე, ასევე სასამართლოდან წარმოდგენილი უწყებები 2014 წლის 18 აგვისტოსა და 9 სექტემბრის სასამართლო პროცესებზე მ. ფ-ის მოწვევის შესახებ, ქმნის პრეზუმაციას, რომ მოპასუხე მ. ფ-ე მის საქმესთან დაკავშირებული სასამართლო პროცესის თაობაზე დროულად ინფორმირებული იყო. აღნიშნული პრეზუმაციის გაქარნებულების ტვირთი ეკისრება მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც განცხადების გარდა, რომ საქმის მასალები და სასამართლო უწყებები არ მიუღია, არ მიუთითებია რაიმე გარემოებაზე, რომელიც ეჭვევეშ დააყენებდა ან გააქარნებდა ზემოაღნიშნულ პრეზუმაციას. პირიქით, მოწინააღმდეგე მხარის მიერ მითითებული ფაქტები, რომ იგი სასამართლოს მიერ საქმის განახლების შემდეგ მუდმივ კომუნიკაციაში (წერილობით, ელექტრონულ, სატელეფონო) იმყოფებოდა სასამართლოსთან, არაერთხელ ესაუბრა ტელეფონით სასამართლო მოხელეებს, მათ შორის 2014 წლის 5 სექტემბერს, ადასტურებს მხარის ინფორმირებულობას სასამართლოში მიმდინარე საქმის განხილვის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარე სასამართლოს მიერ დანიშნულ არცერთ პროცესზე არ გამოცხადებულა (მათ შორის, არც 2014 წლის 21 ივლისის პროცესზე, რომლის თაობაზეც მისივე ახსნა-განმარტების თანახმად, ინფორმირებული იყო) და არც საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესახებ რაიმე ინფორმაცია წარუდგენია სასამართლოსთვის. მ. ფ-ის წარმომადგენელი უზენაეს სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციაში გამგზავრებას ხელს უშლიდა მკაცრი სავიზო რეგულაციები, თუმცა იგი არ მიუთითებს, რომ აღნიშნულის შესახებ მან თრენბურგის რაიონულ სასამართლოს წარუდგინა შესაბამისი ინფორმაცია. მოწი-

ნააღმდეგე მხარე არ მიუთითებს ასევე, 2014 წლის 5 სექტემბრის შემდეგ ორენბურგის რაიონულ სასამართლოსთან რაიმე კომუნიკაციაზე სასამართლო პროცესის მსვლელობასთან ან შედეგთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია მოწინააღმდეგე მხარის მითითება, რომ სასამართლოში პროცესის მიმდინარეობის დროს მის მიმართ განხორციელდა საპროცესო-სასამართლებრივი დარღვევები, ასევე მისთვის უცნობი იყო 2014 წლის 9 სექტემბრის სასამართლოს სხდომის თარიღი და საქმის მასალები.

საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2014 წლის 17 ოქტომბერს და მისი აღსრულება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ განხორციელდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია 68-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ასრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დაგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრა-

ლური რაიონული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 70-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ფ-ის წარმომადგენლის თ. წ-ის 2015 წლის 9 ივლისის შუამდგომლობა მოსამართლის აცილების შესახებ 2015 წლის 8 მაისის შუამდგომლობის განუხილველად დატოვების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. ა. შ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

3. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და დაექვემდებაროს აღსრულებას რუსეთის ფედერაციის ქალაქ ორენბურგის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც: ა. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; მ. ფ-ეს ა. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ხელშეკრულების შესაბამისად არსებული ძირითადი ვალის თანხა 2 500 000 რუბლის ოდენობით, სესხით სარგებლობისთვის პროცენტის თანხა – 34 588 რუბლისა და 65 კაპიკის ოდენობით, 2010 წლის 24 მაისიდან 2013 წლის 15 აპრილამდე პერიოდში სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისთვის პროცენტის თანხა – 605 572 რუბლისა და 92 კაპიკის ოდენობით, 2013 წლის 15 აპრილიდან 2014 წლის 18 აგვისტომდე პერიოდში სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისთვის პროცენტის თანხა – 280 730 რუბლისა და 80 კაპიკის ოდენობით, სულ 3 420 892 (სამი მილიონ ოთხას ოცი ათას რვაას ოთხმოცდათორმეტი) რუბლი და 37 კაპიკი;

4. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სესხი

განრიცხვა

№ა-1192-შ-28-2016

7 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის კუზმინსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. ი-ას სარჩელი სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა. 6. მ-ს გ. ი-ას სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძრით თანხის – 3914400 რუბლის, სხვისი ფულადი საშუალებების არამართლზომიერი გამოყენებისათვის პროცენტის – 894897 რუბლისა და 56 კაპიკის, სულ 4 809 297 რუბლისა და 56 კაპიკის გადახდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ 6. მ-ს ჩაბარდა სარჩელის ასლი, იგი დროულად და სათანადო წესით გაფრთხილებული იქნა სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე. ზემოთმითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 18 იანვარს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

გ. ი-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოთხოვა რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის კუზმინსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მაისის განჩინებით გ. ი-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის კუზმინსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღ-

სრულების შესახებ მიღებულ იქნას წარმოებაში და მოწინააღმდეგ მხარეს განემარტა, რომ მოცემული განჩინების ჩაპარებიდან 5 დღის განმავლობაში აქვს თავისი აზრის გამოთქმის უფლება, ასევე მას შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. აღნიშნული შუამდგომლობა, საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 16 მაისის განჩინებისა და შუამდგომლობაზე დართული მასალების ასლები 6. მ-ს ორჯერ გაეგზავნა საქმეში მითითებულ მისამართზე, მაგრამ სასამართლოში დაბრუნებული საფოსტო შეტყობინებიდან ირკვევა, რომ 6. მ-ი არ დახვდათ აღნიშნულ მისამართზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განჩინება განთავსდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე საჯაროდ გაცნობის მიზნით.

სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოწინააღმდეგ მხარე 6. მ-ს თავისი მოსაზრება არ წარმოუდგენია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს უზენაესი სასამართლოსათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ გ. ი-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის კუზმინსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის კუზმინსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. ი-ას სარჩელი სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაკისრების თაობაზე დაემაყოფილდა. 6. მ-ს გ. ი-ას სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირი თანხის – 3914400 რუბლის, სხვისი ფულადი საშუალებების არამართლზომიერი გამოყენებისათვის პროცენტის – 894897 რუბლისა და 56 კაპიკის, სულ 4 809 297 რუბლისა და 56 კაპიკის გადახდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ზემოთმითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 18 იანვარს და რუსეთის ფედერაცი-

ის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ნ. მ-ს თავისი მოსაზრება არ წარმოუდგენია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს უზენაესი სასამართლოსათვის.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის კუზმინსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დადგინდება:

1. გ. ი-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის კუზმინსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის კუზმინსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ი-ას სარჩელი სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა. ნ. მ-ს გ. ი-ას სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირი თანხის –

3914400 რუბლის, სხვისი ფულადი საშუალებების არამართლზო-
მიერი გამოყენებისათვის პროცენტის – 894897 რუბლისა და 56
კაპიკის, სულ 4 809 297 რუბლისა და 56 კაპიკის გადახდა;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-
საჩივრდება.

3. საოჯახო სამართლი

ქორწინების შეცვალა

განხილვა

№ა-3197-შ-65-2015

20 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღნერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის ქ. მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით განქორწინდნენ ქ. ც-ძე და კ-ჰ-ბ-ი, რომელთა ქორწინებაც რეგისტრირებული იყო 2006 წლის 30 მაისს მიუნხენის მმაჩის ბიუროს მიერ (ქორწინების სარეგისტრაციო №1246/2006).

2. გერმანიის ქ. მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2013 წლის 27 ივლისს.

3. 2015 წლის 25 აგვისტოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ქ. ც-ძემ და მოითხოვა გერმანიის ქ. მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა განქორწინების ნაწილში.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 სექტემბრის განჩინებით ქ. ც-ძის შუამდგომლობა გერმანიის ქ. მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების (განქორწინების ნაწილში) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ წარმოებაში იქნა მიღებული განსახილველად.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 სექტემბრის განჩინების ასლი და ქ. ც-ძის შუამდგომლობა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად ჩაბარა კ-ჰ-ბ-ს 2015 წლის 22 სექტემბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

7. გერმანიის ქ. მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით განქორწინდნენ ქ. ც-ძე და კ-ჰ-ი, რომელთა ქორწინებაც რეგისტრირებული იყო 2006 წლის 30 მაისს მიუნხენის მმაჩის ბიუროს მიერ (ქორწინების სარეგისტრაციო №1246/2006).

8. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

9. სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, გერმანიის ქ. მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება განქორწინების ნაწილში ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

10. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

11. ქ. ც-ძის შუამდგომლობა გერმანიის ქ. მიუნხენის პირვე-

ლი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების განქორწინების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

12. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ქ. მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება ქ. ცძისა და კ-პ-ბ-ის განქირწინების ნაწილში, რომელთა ქორწინებაც რეგისტრირებული იყო 2006 წლის 30 მაისს მიუნხენის მმარის ბიუროს მიერ (ქორწინების სარეგისტრაციო №1246/2006).

13. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ქორწინების შეცვალა

განცილება

№ა-4261-შ-86-2015

18 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: განქორწინება

აღნერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის ქ. ვეზელის საოლქო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2014 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებით შეწყვეტილ იქნა 2003 წლის 19 ივნისს საქართველოში რეგისტრირებული ქორწინება ა. დ-სა და ლ. ი-ს შორის.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ა. დ-მა და მოითხოვა ნინამდებარე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ:

ა) საქმე განხილულია ზეპირი მოსმენით და მოპასუხე ლ. ი-ი ინფორმირებული იყო განხილვის თარიღის შესახებ;

ბ) გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2014 წლის 16 ივნისიდან;

გ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოცემულ საქმეზე გააჩნია საერთაშორისო კომპეტენცია, კერძოდ, მოდავე მხარეები არიან საქართველოს მოქალაქეები;

დ) შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც იგი მოითხოვს, აღსრულებულია მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ა. დ-ის შუამდგომლობა გერმანიის ვეზელის საოლქო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2014 წლის 26 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, რის თაობაზეც მხარეებს ეცნობათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლო გაეცნ საქმის მასალებს და თვლის, ა. დ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ვეზელის საოლქო სასამართლოს (საოჯახო სასამართლო) 2014 წლის 26 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. გერმანიის ქ. ვეზელის საოლქო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2014 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებით შეწყვეტილ იქნა 2003 წლის 19 ივნისს საქართველოში რეგისტრირებული ქორწინება ა. დ-სა და ლ. ი-ს შორის.

3. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ა. დ-მა და მოითხოვა წინამდებარე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

4. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ:

ა) საქმე განხილულია ზეპირი მოსმენით და მოპასუხე ლ. ი-ი ინფორმირებული იყო განხილვის თარიღის შესახებ;

ბ) გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2014 წლის

16 ივნისიდან;

გ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოცემულ საქმეზე გააჩნია საერთაშორისო კომპეტენცია, კერძოდ, მოდავე მხარეები არიან საქართველოს მოქალაქეები;

დ) შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც იგი მოითხოვს, აღსრულებულია გერმანიაში, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის მომართვა განპირობებულია ამ გადაწყვეტილების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ორგანოში რეგისტრაციით.

5. საკასაციო პალატა მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

6. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გა-

დაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სა-
მართლებრივ პრინციპებს.

7. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართვე-
ლოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დად-
გენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამარ-
თლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩინია, რომ, მო-
ცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული
დამაპრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად,
გერმანიის ქ. ვეზელის საოლქო სასამართლოს (საოჯახო სასა-
მართლო) 2014 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს
უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ
უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერ-
ძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით
და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. დ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ. ვეზელის საოლქო
სასამართლოს (საოჯახო სასამართლო) 2014 წლის 26 მაისის გა-
დაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ
დაკაყაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ქ.
ვეზელის საოლქო სასამართლოს (საოჯახო სასამართლო) 2014
წლის 26 მაისის გადაწყვეტილება რომლითაც 2003 წლის 19 ივ-
ნისს საქართველოში, ქ.თბილისში სამოქალაქო რეესტრის №3
სააგენტოში ა. დ-სა და ლ. ი-ს შორის რეგისტრირებული ქორწი-
ნება ... შეწყდა განქორწინებით.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-
რდება.

ქორმის შეცვალა

განცილება

№ა-3809-შ-80-2015

23 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. ბაქაქური,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღნერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ. აბაკანის №3 სასამართლო უბნის 2007 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ასა და ბ. კ-ას შორის 1994 წლის 5 აგვისტოს ტივას რესპუბლიკის კიზილსკის საქალაქო მმართველობის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება (სა-აქტო ჩანაწერი №...) შეწყდა.

გ. კ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ქ. აბაკანის №3 სასამართლო უბნის 2007 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ ორივე მხარე ესწრებოდა სასამართლო სხდომას (განხილულია ზეპირი მოსმენით), დასტურდება, რომ გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2007 წლის 20 ნოემბერს, ამასთან, შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, იგი აღსრულებულია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

შუამდგომლობაზე დართული პირადობის მოწმობის ასლით დასტურდება, რომ გ. კ-ა კვლავ საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით გ. კ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. აბაკანის №3 სასამართლო უბნის 2007 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მი-

იჩნევს, რომ გ. კ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. აბაკანის №3 სასამართლო უბნის 2007 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაქმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ქ. აბაკანის №3 სასამართლო უბნის 2007 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ასა და პ. კ-ას შორის 1994 წლის 5 აგვისტოს ტივას რესპუბლიკის კიზილსკის საქალაქო მმაჩის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №...) შეწყდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 20 ნოემბერს და შუამდგომლობის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. შუამდგომლობაზე დართული პირადობის მოწმობის ასლით დასტურდება, რომ შუამდგომლობის ავტორი კვლავ საქართველოს მოქალაქეა.

გ. კ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ქ. აბაკანის №3 სასამართლო უბნის 2007 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის ქ. აბაკანის №3 სასამართლო უბნის 2007 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. კ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. აბაკანის №3 სასამართლო უბნის 2007 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაქმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას რუსეთის ფედერაციის ქ. აბაკანის №3 სასამართლო უბნის 2007 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც გ. კ-ასა და პ. კ-ას შორის 1994 წლის 5 აგვისტოს ტივას რესპუბლიკის კიზილსკის საქალაქო მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №...) შეწყდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ქორწინების შეცვალა

განვითარება

№ა-4299-შ-88-2015

15 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ოოღუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ქორწინების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

1. აშშ-ის პენსილვანიის შტატის პოთერის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 7 იანვრის გადაწყვეტილებით ს. ო-ო და ს. ს-ა განქორწინდნენ.

2. მხარეები სათანადო წესით გაფრთხილებულები იყვნენ სასამართლოს თაობაზე.

3. აშშ-ის პენსილვანიის შტატის პოთერის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 7 იანვრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

4. ს. ო-ომ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოითხოვა ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ნოემბრის განჩინებით წარმოდგენილი შუამდგომლობა მიღებული იქნა წარმოებაში.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ნოემბრის განჩინება და ს. ო-ოს შუამდგომლობა თანდართულ მასალებთან ერთად ს. ს-ას გაეგზავნა აშშ-ში საქმეში მითითებულ მისამართზე და დაევალა გზავნილის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში წარმოედგინა მისი პოზიცია.

7. ს. ს-ას გზავნილი ჩაბარდა 2015 წლის 17 დეკემბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკაყიფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

9. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

10. სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის პენსილვანიის შტატის პოთერის თლექის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 7 იანვრის გადაწყვეტილების ცნობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, სამოქა-

ლაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ო-ოს შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის პენსილვანიის შტატის პოლერის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 7 იანვრის გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის პენსილვანიის შტატის პოლერის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 7 იანვრის გადაწყვეტილება ს. ო-ოსა და

ს. ს-ას განქირნინების თაობაზე.

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ქორწინების შეცვეტა

განჩინება

№ა-4741-შ-96-2015

15 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ქორწინების შეწყვეტა

აღნერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიუნჰენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა 2002 წლის 6 ნოემბერს მიუნჰენის/პასინგის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის მიერ რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის №398/2002) ლ. კ. რ-სა და გ. ა-ს შორის.

2. სასამართლოს გადაწყვეტილება ქორწინების ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული 2009 წლის 9 თებერვლიდან.

3. გ. ა-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენა-

ეს სასამართლოს და მოითხოვა ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა ქორწინების გაუქმების ნაწილში.

4. ლ. კ. რ-ი თანხმობას აცხადებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ცნობილი იქნეს მიუნდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინებით წარმოდგნილი შუამდგომლობა მიღებულია წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

7. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

8. სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა და, შესაბამისად, შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზე მიუნდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების (ქორწინების გაუქმების ნაწილში) ცნობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ადგინდება:

1. გ. ა-ის შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე გერ-

მანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიუნკენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების (ქორნინების გაუქმების ნაწილში) ცნობის თაობაზე დაკამაყოფილდეს;

2. ცნობილი იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიუნკენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების ნაწილი, რომლის შესაბამისადაც გაუქმდა 2002 წლის 6 ნოემბერს მიუნკენის/პასინგის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის მიერ რეგისტრირებული ქორნინება (რეგისტრაციის №398/2002) ლ. კ. რ-სა და გ. ა-ს შორის.

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ქორნინების შეცვეტა

განჩინება

№ა-4803-შ-98-2015

5 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ქლიერიშვილი,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: განქორნინქა

აღნერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის, ნიურბჰერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2013 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით გ. ც-სა და ნ. ქ-ე-ც-ს შორის 2011 წლის 1 მარტს ნიურბჰერგის მმაჩის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული №E ... ქორნინება შეწყდა განქორნინებით, მეუღლეთა შორის წილების გათანაბრება არ მომხდარა, ხოლო პროცესის ხარჯი დაეკისრა ორივე მხარეს.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა გ. ც-მა და მოითხოვა მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილების თანახმად:

4. საქმე განხილულია ზეპრი მოსმენით და განხილვაში წარმოდგენილის მეშვეობით მონაწილეობას იღებდა გ. ც-ი;

5. გადაწყვეტილება 2013 წლის 1 ოქტომბრიდან კანონიერ ძალაშია შესული;

6. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია.

7. გ. ც-ის მიერ წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის სხდომის ოქმითა და დოკუმენტის გადაცემის შესახებ შეტყობინებით, დასტურდება, რომ ნ. ქ-ე-ც-ი ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე დადგენილი წესით.

8. მოწინააღმდეგე მხარე – ნ. ქ-ე-ც-ი საქართველოს მოქალაქეა.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 იანვრის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში, რის თაობაზეც ეცნობა მოწინააღმდეგე მხარეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. ც-ის შუამდგომლობა გერმანიის, ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2013 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. გერმანიის, ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2013 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით გ. ც-სა და ნ. ქ-ე-ც-ს შორის 2011 წლის 1 მარტს ნიურნბერგის მმარის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული №E ... ქორწინება შეწყდა განქორწინებით, მუშლეთა შორის წილების გათანაბრება არ მომხდარა, ხოლო პროცესის ხარჯი დაეკისრა ორივე მხარეს.

3. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა გ. ც-მა და მოითხოვა მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

4. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტი-

ლით დამოწმებული გადაწყვეტილების თანახმად:

5. საქმე განხილულია ზეპირი მოსმენით და განხილვაში წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობას იღებდა გ. ც-ი;

6. გადაწყვეტილება 2013 წლის 1 ოქტომბრიდან კანონიერ ძალაშია შესული;

7. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია.

8. გ. ც-ის მიერ წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის სხდომის ოქმითა და დოკუმენტის გადაცემის შესახებ შეტყობინებით, დასტურდება, რომ ნ. ქ-ე-ც-ი ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე დადგენილი წესით.

9. მონინააღმდეგე მხარე – ნ. ქ-ე-ც-ი საქართველოს მოქალაქეა.

10. საკასაციო პალატა მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აქმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

11. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: а) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენ-

ტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

12. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის, ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2013 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ც.-ის შუამდგომლობა გერმანიის, ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს 2013 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის, ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს 2013 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება რომლითაც გ. ც.-სა და ნ. ქ-ე-ც-ს შორის ნიურნბერგის მმაჩის ბიუროს მოხელის წინაშე 2011 წლის 1 მარტს რეგისტრირებული №E ... ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

არასრულმდობარი შვილთან ურთიერთობის წესის განხილვა

განხილვა

№ა-1285-ჭ-29-2016

29 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: არასრულნლოვანი შვილთან ურთიერთობის
წესის განსაზღვრა

აღწერილობითი ნაწილი:

1. თურქეთის რესპუბლიკის, ქ. ანკარის მე-10 სამოქალაქო
სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მო-
პასუხე მამას (ვ. ს-ი) უფლება მიეცა, წაიყვანოს ბავშვი თავის-
თან და დაამყაროს პიროვნული ურთიერთობა ყოველი თვეს პირ-
ველ და მესამე შაბათ დღეს დილის 09:00 საათიდან კვირა დღის
17:00 საათამდე; რელიგიური დღესასწაულების მეორე დღის დი-
ლის 10:00 საათიდან მესამე დღის საღამოს 17:00 საათამდე; სას-
წავლო პერიოდის სემესტრული არდადეგების პირველი კვირის
შაბათ დილის 09:00 საათიდან მომდევნო პარასკევის 17:00 საა-
თამდე, ასევე, ყოველწლიურად, პირველი ივლისს დილის 09:00
საათიდან 30 ივლისის საღამოს 17:00 საათამდე; წყვილ წლებში
ბავშვის დაბადების დღეს, დილის 10:00 საათიდან საღამოს 20:00
საათამდე; წყვილ წლებში 31 დეკემბერს 12:00 საათიდან მომ-
დევნო დღეს – პირველ იანვარს 12:00 საათამდე; ყოველწლიუ-
რად, მამის დღეს, დილის 10:00 საათიდან საღამოს 20:00 საა-
თამდე. გადაწყვეტილების თანახმად, მხარეს, რომელსაც მიე-
ცა მეურვეობა, დაევალა, მეორე მხარეს წერილობით მიაწოდოს
ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: ბავშვის ჯანმრთელობის
მდგომარეობასთან; განათლებასთან (სემესტრული და სასწავ-
ლო წლის დასრულებისას, ბავშვის სწავლის მდგომარეობის შე-
სახებ წერილობითი ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია ნიშნების
ფურცლის ასლთან ერთად); ბავშვის საცხოვრებელი მისამარ-
თისა და მასთან დასაკავშირებელი ტელეფონის ნომრის შესა-

ხებ, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარისგან დამოუკიდებლად შეეძლება ბავშვს საუბარი. ამავე გადაწყვეტილებით განემარტიათ მხარეებს, რომ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, მეურვეობასთან და პიროვნულ ურთიერთობასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, მოხდეს მეურვეობისა და პიროვნული ურთიერთობის შეცვლა, ასევე, განისაზღვრა საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. გადაწყვეტილების შინაარსიდან ირკვევა, რომ არასრულწლოვნის მეურვეობა მინიჭებული აქვს ა. ქ-ის.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ვ. ს-მა და აღნიშნა, რომ მას უფლება მიენიჭა, იქონიოს ურთიერთობა ყოფილ მეულელესთან თანაცხოვრებისას შეძენილ შვილთან – ო. ს-თან, შესაბამისად, მხარემ მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც იგი მოითხოვს, შესულია კანონიერ ძალაში, მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე (საქმის განხილვაში მონაწილეობდა წარმომადგენლის მეშვეობით), ასევე, დასტურდება, რომ არასრულწლოვნის/მისი კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილი საქართველოშია.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 აპრილის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად, რის თაობაზეც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ეცნობა მოწინააღმდეგე მხარეს, რომელიც არ დაეთანხმა შუამდგომლობას და, ერთი მხრივ, სადაც გახადა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საკითხი, ხოლო, მეორე მხრივ, იმ პირობებში, როდესაც არასრულწლოვნის მეორე მშობელს – მამას საქართველოში არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულება არ იქნება შესაბამისი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისათვის. საკასაციო სასამართლოს მიერ დანიშნულ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელშა აღნიშნა, რომ შუამდგომლობის ავტორმა თავად მიმართა სასამართლოს მეურვეობის სა-

კითხის შეცვლის მოთხოვნით, რის დასადასტურებლადაც მოგვიანებით წარმოდგენილ იქნა თურქეთის რესპუბლიკის, ქ. ანკარის №9 საოჯახო სასამართლოდან საქმის მასალები, თუმცა გადაწყვეტილების გაუქმებისა თუ მის კანონიერ ძალაში არყოფნის ფაქტი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობააღსრულებასაც ვ.ს-ი მოითხოვს, მონინააღმდეგე მხარის მიერვერ იქნა დადასტურებული. გარდა აღიშნულისა, მხარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები – ელექტრონული მიმოწერის ასლები იმის თაობაზე, რომ მამა-შვილს აქვთ ურთიერთობა და ამას ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი, დედა – ა.ქ-ი (ქ-უ) ხელს არ უშლის.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მხარეთა მოსაზრებებს და მიიჩნევს, რომ ვ. ს-ის შუამდგომლობა ა. ქ-ის (ქ-უს) მიმართ თურქეთის რესპუბლიკის, ქ. ანკარის მე-10 საამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:
2. თურქეთის რესპუბლიკის, ქ. ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მოპასუხე მამას (ვ. ს-ი) უფლება მიეცა, წაიყვანოს ბავშვი თავის-თან და დაამყაროს პიროვნული ურთიერთობა ყოველი თვის პირველ და მესამე შაბათ დღეს დილის 09:00 საათიდან კვირა დღის 17:00 საათამდე; რელიგიური დღესასწანულების მეორე დღის დილის 10:00 საათიდან მესამე დღის საღამოს 17:00 საათამდე; სასწავლო პერიოდის სემესტრული არდადეგების პირველი კვირის შაბათ დღილის 09:00 საათიდან მომდევნო პარასკევის 17:00 საათმდე, ასევე, ყოველწლიურად, პირველი ივლისს დილის 09:00 საათიდან 30 ივლისის საღამოს 17:00 საათამდე; წყვილ წლებში ბავშვის დაბადების დღეს, დილის 10:00 საათიდან საღამოს 20:00 საათმდე; წყვილ წლებში 31 დეკემბერს 12:00 საათიდან მომდევნო დღეს – პირველ იანვარს 12:00 საათამდე; ყოველწლიურად, მამის დღეს, დილის 10:00 საათიდან საღამოს 20:00 საათმდე. გადაწყვეტილების თანახმად, მხარეს, რომელსაც მიეცა მეურვეობა, დაევალა, მეორე მხარეს წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან; განათლებასთან (სემესტრული და სასწავ-

ლო წლის დასრულებისას, ბავშვის სწავლის მდგომარეობის შესახებ წერილობითი ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია ნიშნების ფურცლის ასლთან ერთად); ბავშვის საცხოვრებელი მისამართისა და მასთან დასაკავშირებელი ტელეფონის ნომრის შესახებ, რომლითაც მონინააღმდეგე მხარისგან დამოუკიდებლად შეეძლება ბავშვს საუბარი. ამავე გადაწყვეტილებით განემარტათ მხარეებს, რომ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, მეურვეობასთან და პიროვნულ ურთიერთობასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, მოხდეს მეურვეობისა და პიროვნული ურთიერთობის შეცვლა, ასევე განისაზღვრა საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. გადაწყვეტილების შინაარსიდან ირკვევა, რომ არასრულწლოვნის მეურვეობა მინიჭებული აქვს ა. ქის.

3. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ვ. ს-მა და აღნიშნა, რომ მას უფლება მიენიჭა, იქონიოს ურთიერთობა ყოფილ მეულეესთან თანაცხოვრებისას შეძენილ შვილთან – ო. ს-თან, შესაბამისად, მხარემ მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

4. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვა კანონის ფორმალურ დანაწესებთან ამ გადაწყვეტილების შემოწმების გზით ხორციელდება, იმგვარად, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს ან შესწორება შეიტანოს თავად გადაწყვეტილებაში ან მისი სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტში. გადაწყვეტილების ცნობის საკითხი რეგულირებულია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, რომლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ის საკითხი, სახეზე ხომ არ გვაქვს მოთხოვნის გამომრიცხავი კანონით გათვალისწინებუ-

ლი რომელიმე წინაპირობა. გადაწყვეტილების ცნობის საკითხის განხილვის თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო, ბუნებრივია, მხედველობაში იღებს ქვეყნის მიერ ამა თუ იმ საერთაშორის შეთანხმებით (ორმხრივი/მრავალმხრივი) წაკისრ ვალდებულებებსაც. ამ შემთხვევაში პალატა ითვალისწინებს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის მე-19-მე-20 მუხლებით რეგულირებულია სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების საკითხი. მითითებული საერთაშორისო ხელშეკრულების მე-20 მუხლის „ზ“ 2. და „ზ“ 3. ქვეპუნქტები, მოთხოვნის გამომრიცხავ წინაპირობად, მსგავსად „საერთაშორის კერძი სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა, მიიჩნევს შემთხვევას, როდესაც გამოყენებული კანონი/გადაწყვეტილება პრინციპულად განსხვავდება მეორე მხარის კანონმდებლობისაგან ან ეწინააღმდეგება კანონმდებლობის ძირითად პრინციპებსა და საჯარო წესრიგს.

4.1. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს დავის საგანზე, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, არასრულწლოვან შვილთან ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობის წესის განსაზღვრა და მხედველობაში იღებს საკითხის მომზესრიგებელ საერთაშორისო თუ შიდა კანონმდებლობის შემდეგ ნორმებს:

4.1.1. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ეგროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინდადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავად-

ვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ უნდა იქნას არასრულნლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“.

4.1.2. მითითებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულნლოვნი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულნლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შეიღები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის პარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნაა და ამ კუთხით მისა-ლები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას უპირატესობა არასრულნლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმისი უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთა-დერთ სწორ და მისაღებ გადაწყვეტილებას არასრულნლოვნის/ მცირენლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფ-

ლებიანი და ლირსეული წევრის, განვითარებაში.

4.1.3. საკასაციო სასამართლო, ბუნებრივია, ვერანაირ დაბრკოლებას ვერ ხედავს იმაში, რომ მამამ იქონიოს ყოველდღიური ან დროის ხანმოკლე ინტერვალებით ურთიერთობა არასრულწლოვან შვილთან, რომელიც მასთან არ ცხოვრობს, ამგვარი მიდგომა, პალატის მოსაზრებით, ბავშვის ინტერესების შესაბამისიც კი არის, თუმცა, როგორც წინამდებარე განჩინების სამოტივაციო ნაწილის მე-4 პუნქტში აღინიშნა, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-ალსრულების საკითხის განხილვისას საკასაციო პალატა ამ გადაწყვეტილებით დადგენილა სამართლებრივი წესრიგის გადასინჯვას ვერ განახორციელებს. როგორც საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მხარეთა წარმომადგენლებმაც დაადასტურეს, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ შეიცვალა ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლისა და შესაბამისად, თავად ო. სის ძირითად საცხოვრებელ ადგილს ამჟამად საქართველო წარმოადგენს, ხოლო თურქეთის რესპუბლიკის ქ. ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება არ შეიცავს რაიმე განმარტებას მიმა-შეილის ურთიერთობის იმ წევბის თაობაზე, რომლებიც ხანმოკლე, ერთდღიან ურთიერთობას შეეხება, კერძოდ, იგი უნდა განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზე, თუ შესაძლებელია ბავშვის ქვეყნის ტერიტორიიდან გაყვანა. ამასთანავე, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოც ვერ განმარტავს გადაწყვეტილებას, ამ თვალსაზრისით მივიღებთ შემთხვევას, როდესაც მართლმასჯულების აქტი პრაქტიკულად, ალუსრულებელი გახდება, ანუ სახეზე გვექნება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.“

4.1.4. გარდა აღნიშნულისა, პალატის მოსაზრებით, როდესაც საკითხი სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმინევნით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო

ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (ბავშვის უფლებათა კონვენციის 3.1 მუხლი). ბავშვი არ უნდა განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. მონაბილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქმნიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ენინააღმდეგება (ამავე კონვენციის 9.1. და 9.3. მუხლები).

4.1.5. საკასაციო პალატა მოხმობილი მსჯელობიდან გამომდინარე, განმარტავს იმასაც, რომ თურქეთის რესპუბლიკის ქ. ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ცნობაზე უარი, ბუნებრივია, არ უკრძალავს მამას შესაძლებლობას, ინახულოს არასრულწლოვანი შვილი, აღნიშნულით არ შეიძლება დაირღვეს ბავშვის ოჯახთან გაერთიანების უფლება, რადგანაც, მშობლისა და შვილის ურთიერთობა სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება. საკასაციო სასამართლო ამ შემთხვევაში ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებას, რომლის თანახმადაც: ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტილისა, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტილისა, ანგარიშგასანევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი (ECHR, Judgement: Johansen v. Norway).

way).

4.1.6. სწორედ ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვ. ს-ს უარი უნდა ეთქვას თურქეთის რესპუბლიკის ქ. ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების იმ ნაწილის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაზე, რომლითაც განსაზღვრულია მისი უფლება, წაიყვანოს ბავშვი თავისთან და დაამყაროს პირვენული ურთიერთობა:

- ა) ყოველი თვის პირველ და მესამე შაბათ დღეს დილის 09:00 საათიდან კვირა დღის 17:00 საათამდე;
- ბ) რელიგიური დღესასწაულების მეორე დღის დილის 10:00 საათიდან მესამე დღის საღამოს 17:00 საათამდე;
- გ) წყვილ წლებში ბავშვის დაბადების დღეს, დილის 10:00 საათიდან საღამოს 20:00 საათამდე;
- დ) წყვილ წლებში 31 დეკემბერს 12:00 საათიდან მომდევნო დღეს – პირველ იანვარს 12:00 საათამდე;
- ე) ყოველწლიურად, მამის დღეს, დილის 10:00 საათიდან საღამოს 20:00 საათამდე.

5. რაც შეხება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წინამდებარე განჩინებით თურქეთის რესპუბლიკის, ქ. ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი წანილი აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე 71-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობების, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება რომ:

- ა) გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში;
- ბ) მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე (საქმის განხილვაში მონაწილეობდა წარმომადგენლის მეშვეობით);
- გ) არასრულწლოვნის/მისი კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილი საქართველოშია.

6. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვ. ს-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის ქ. ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრუ-

ლებლად საქართველოს ტერიტორიაზე იმ ნაწილში, რომლითაც:

ა) ვ. ს-ს უფლება მიეცა, წაიყვანოს ბავშვი – ო. ს-ი თავისთან და დაამყაროს პიროვნული ურთიერთობა:

ა.ა) სასწავლო პერიოდის სემესტრული არდადეგების პირველი კვირის შაბათ დილის 09:00 საათიდან მომდევნო პარასკევის 17:00 საათამდე;

ა.ბ) ყოველწლიურად, პირველ ივლისს დილის 09:00 საათიდან 30 ივლისის საღამოს 17:00 საათამდე;

ბ) მხარეს, რომელსაც მიეცა მეურვეობა, დაევალა, მეორე მხარეს წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია:

ბ.ა) ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერიოზულ საკითხებზე;

ბ.ბ) სემესტრული და სასწავლო წლის დასრულებისას ბავშვის განათლებასთან დაკავშირებით (სწავლის მდგომარეობის შესახებ) ნიშნების ფურცლის ასლთან ერთად;

ბ.გ) ბავშვის საცხოვრებელი მისამართისა და მასთან დასაკავშირებელი ტელეფონის ნომრის შესახებ, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარისგან დამოუკიდებლად შეეძლება ბავშვს საუბარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ს-ის შუამდგომლობა ა. ქ-ის მიმართ თურქეთის რესპუბლიკის ქ. ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად თურქეთის რესპუბლიკის ქ. ანკარის მე-10 სამოქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც:

ა) ვ. ს-ს უფლება მიეცა, წაიყვანოს ბავშვი – ო. ს-ი თავისთან და დაამყაროს პიროვნული ურთიერთობა:

ა.ა) სასწავლო პერიოდის სემესტრული არდადეგების პირ-

ველი კვირის შაბათ დილის 09:00 საათიდან მომდევნო პარასკე-
ვის 17:00 საათამდე;

ა.ბ) ყოველწლიურად, პირველ ივლისს დილის 09:00 საათი-
დან 30 ივლისის საღამოს 17:00 საათამდე;

ბ) მხარეს, რომელსაც მიეცა მეურვეობა, დაევალა, მეორე
მხარეს წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია:

ბ.ა) ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერიოზულ
საკითხებზე;

ბ.ბ) სემესტრული და სასწავლო წლის დასრულებისას ბავ-
შვის განათლებასთან დაკავშირებით (სწავლის მდგომარეობის
შესახებ) ნიშნების ფურცლის ასლთან ერთად;

ბ.გ) ბავშვის საცხოვრებელი მისამართისა და მასთან დასა-
კავშირებელი ტელეფონის ნომრის შესახებ, რომლითაც მოწი-
ნააღმდეგე მხარისგან დამოუკიდებლად შეეძლება ბავშვს სა-
უბარი.

3. დანარჩენ ნაწილში შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვას
მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-
რდება.

გვილად აყვანა

განჩინება

№ა-1117-გ-27-2016

7 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: შვილება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის ქ. ჰამის პირველი ინსტანციის სასამართლოს
საოჯახო საქმეების განმხილველი განყოფილების 2015 წლის
11 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ:

– მცირენლოვანი ბავშვები: ა. და რ. მ-ები, ორივე დაბადებული 2013 წლის 4 თებერვალს, შვილად აიყვანოს ქ-მა ი. გ-მა, კრულმანშტარ., ..., შპენგე.

– ამავდროულად, დადგინდა, რომ ბავშვები მიიღებენ მეუღლების: ი. გ-ის, დაბ. 09.08.1970 და მ. მ-ის, დაბ. 24.01.1971, როგორც საერთო შვილების სამართლებრივ მდგომარეობას, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის აბზ. 1, &1754-ის თანახმად. ბავშვების ნათესაური ურთიერთობა (მხოლოდ) მათი ღვიძლი დედისადმი ამით გაუქმებულია, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის აბზ. 1, &1755-ის თანახმად. პროცესის ხარჯებს იღებს მშვილებელი.

2. ი. გ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება შვილად აყვანის ნაწილში.

სამოტივაციო ნაწილი:

3. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიზნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. დადგენილია, რომ გერმანიის ქ. ჰამის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეების განმხილველი განყოფილების 2015 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ:

– მცირენლოვანი ბავშვები: ა. და რ. მ-ები, ორივე დაბადებული 2013 წლის 4 თებერვალს, შვილად აიყვანოს ქ-მა ი. გ-მა, კრულმანშტარ., ..., შპენგე.

– ამავდროულად, დადგინდა, რომ ბავშვები მიიღებენ მეუღლების: ი. გ-ის, დაბ. 09.08.1970 და მ. მ-ის, დაბ. 24.01.1971, როგორც საერთო შვილების სამართლებრივ მდგომარეობას, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის აბზ. 1, &1754-ის თანახმად. ბავშვების ნათესაური ურთიერთობა (მხოლოდ) მათი ღვიძლი დედისადმი ამით გაუქმებულია, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის აბზ. 1, &1755-ის თანახმად.

5. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კა-

ნონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

6. ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის ქ. ჰამის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეების განმხილველი განყოფილების 2015 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

8. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. გ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის ქ. ჰამის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეების განმხილველი განყოფილების 2015 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ:

– მცირენლოვანი ბავშვები: ა. და რ. მ-ები, ორივე დაბადებული 2013 წლის 4 თებერვალს, შვილად აიყვანოს ქ-მა ი. გ-მა, კრულმანშტარ., ..., შპენგე;

– ამავდროულად, დადგინდა, რომ ბავშვები მიიღებენ მეუღლების: ი. გ-ის, დაბ. 09.08.1970 და მ. მ-ის, დაბ. 24.01.1971, როგორც საერთო შვილების სამართლებრივ მდგომარეობას, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის აბზ. 1, & 1754-ის თანახმად.

ბავშვების ნათესაური ურთიერთობა (მხოლოდ) მათი ღვიძლი დედისადმი ამით გაუქმებულია, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის აბზ. 1, &1755-ის თანახმად.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შვილად აყვანა

განჩინება

№ა-1850-შ-46-2016

11 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ქლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: შვილად აყვანა

აღნერილობითი ნაწილი:

მ. რ-მ და ნ. ჯ-მა განცხადებით მიმართეს საბერძნების ათენის მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს და მოითხოვეს მ. რ-ს მიერ ნ. ჯ-ის შვილად აყვანა.

საბერძნების ათენის მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით განცხადება დაკმაყოფილდა, ნ. ჯ-ი (დაბადებული საქართველოში, ქ. სამტრედიაში 16.09.1989წ.-ს) გამოცხადდა მ. ლ. ქ. რ-ს მიერ აყვანილ შვილად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ დალაში. ამასთან, მხარის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილება ლეგალიზებულია კანონით დადგენილი წესით.

2016 წლის 18 მაისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ნ. ჯ-მა, რომელმაც მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა. შუამდგომლობის ავტორმა განმარტა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საბერძნების ათენის მრა-

ვალნევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის გარეშე შვილების ფაქტის რეგისტრაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში ვერ ხერხდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩინებით ნ. ჯ-ის შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე მ. რ-ს გაეგზავნა 2016 წლის 10 ივნისს და ჩაბარდა 2016 წლის 21 ივნისს, თუმცა მას განჩინებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნულ შუამდგომლობაზე აზრი არ გამოუთქვამს, ასევე, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ 6. ჯ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, საბერძნეთის ათენის მრავალნევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საბერძნეთის ათენის მრავალნევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით განცხადება დაკმაყოფილდა, 6. ჯ-ი (დაბადებული საქართველოში, ქ. სამტრედიაში 16.09.1989წ.-ს) გამოცხადდა მ. ლ. ქ. რ-ს მიერ აყვანილ შვილად.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საბერძნეთის ათენის მრავალნევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ირკვევა ისიც, რომ გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარ-

და იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, საბერძნებელის ათენის მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ჯ-ის შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე საბერძნების ათენის მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე საბერძნების ათენის მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც განცხადება დაკმაყოფილდა, ნ. ჯ-ი (დაბადებული საქართველოში, ქ. სამტრედიაში 16.09.1989წ.-ს) გამოცხადდა მ. ლ-ს ქ-ს მიერ აყვანილ შვილად;

3. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შვილად აყვანა

განრიცხვა

№ა-3108-შ-80-2016

25 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: შვილება

აღნერილობითი ნაწილი:

1. საბერძნეთის ქ. კიპარისისიას პირველი ინსტანციის სასა-
მართლოს 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით:

– ა. ღ-ა (დაბადებული 1... წლის ... ივნისს, საქართველოში, ნ-
ოში) ცნობილ იქნა 6. ღ-ოს შვილად.

2. ა. ღ-ამ, წარმომადგენელ 6. ა-ის მეშვეობით, შუამდგომ-
ლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მო-
ითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს
ტერიტორიაზე ცნობა.

სამოტივაციო ნაწილი:

3. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მი-
იჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკაყოფილდეს, შემდეგ
გარემოებათა გამო:

4. დადგენილია, რომ საბერძნეთის ქ. კიპარისისიას პირველი
ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვე-
ტილებით:

– ა. ღ-ა (დაბადებული 1... წლის ... ივნისს, საქართველოში, ნ-
ოში) ცნობილ იქნა 6. ღ-ოს შვილად.

5. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართვე-
ლოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, უცხო ქვეყ-
ნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს
საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი
ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კა-
ნონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარ-
და იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2,

მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნას საბერძნების ქ. კიბარისსას პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

7. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დაადგინდეთ:

1. ა. ღ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას საბერძნების ქ. კიბარისსას პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ღ-ა (დაბადებული 1... წლის ... ივნისს, საქართველოში, წ-ოში) ცნობილ იქნა 6. ღ-ოს შვილად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მამობის ჩანაცერის პათილად ცერება

განხილვა

№ა-1508-შ-36-2016

1 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მამობის ჩანაცერის ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

1. რუსეთის ფედერაციის ქ. ეკატერინბურგის უელეზნოდოროვნის რაიონული სასამართლოს მიმართა ე. ბ-მა, პ/ნ ..., (შემდეგში მოწინააღმდეგე მხარე), მოითხოვა ლ. მ-ოის (შემდეგში მცირენლოვანი ან ბავშვი), დაბადებული 2011 წლის 19 თებერვალს, ბოლნისში, საქართველოში, პ/ნ ..., სააქტო ჩანაცერის №... ბათილად ცნობა.

2. უელეზნოდოროვნის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 16 ოქტომბრის №2-3369/2013 გადაწყვეტილებით, ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული მცირენლოვანის სააქტო ჩანაცერი ცნობილი იქნა ბათილად და ჩანაცერიდან ამოირიცხა მონაცემი მოწინააღმდეგის, როგორც ბავშვის მამის, შესახებ. შესაბამისად, 2013 წლის 2 აგვისტოს, ოდესაში, საქართველოს გენერალურმა საკონსულომ გასცა დაბადების მოწმობა №... ბავშვის მამობის მონაცემების ნაწილში.

3. ქ. ეკატერინბურგის უელეზნოდოროვნის რაიონის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანერის განყოფილებამ, 2016 წლის 8 აპრილს, შუამდგომლობით მიმართა ბოლნისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს და ითხოვა უელეზნოდორუზნის რაიონული სასამართლოს 16.10.2013 წლის №2-3369/2013 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

4. 2016 წლის 20 აპრილს, ბოლნისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მომართა, წარმოადგინა ქ. ეკატერინბურგის უელეზნოდოროვნის რაიონის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანერის განყოფი-

ლების შუამდგომლობა და ითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ნამდვილად ცნობა.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლი 3 მაისის განჩინებით ქ. ეკატერინბურგის უელეზნოდოროჟნის რაიონის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანერის განყოფილების შუამდგომლობა, იმავე რაიონული სასამართლოს 16.10.2013 წლის №2-3369/2013 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა განსახილველად, შუამდგომლობა და თანდართული მასალები გადაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს და განემარტა, რომ განჩინების ჩაბარებიდან, 5 დღის ვადაში, შეეძლო, მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა.

6. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს რაიმე სახის შუამდგომლობით სასამართლოსთვის არ მოუმართავს.

სამოტივაციო ნანილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ შუამდგომლობა უელეზნოდოროჟნის რაიონული სასამართლოს 16.10.2013 წლის №2-3369/2013 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

7. შუამდგომლობით წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებით უდავოდაა დადგენილი შუამდგომლობის ავტორის განცხადების საფუძველზე, რომ ბავშვის ბიოლოგიური მამა არ არის მოწინააღმდეგე მხარე.

8. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ საქმეში მოწინააღმდეგე მხარის მიერ წერილობით გაცემული თანხმობა გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე არ არის გაცემული სანოტარო წესით, თუმცა, მიუხედავად ამისა, მის მიერ გამოვლენილი ნება ნამდვილად უნდა ჩაითვალოს, რადგან უტყუარადაა დადგენილი, რომ სასამართლოში საქმის წარმოება, მცირენლოვანის დაბადების სააქტო ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე, უელეზნოდოროჟნის რაიონულ სასამართლოში სწორედ მოწინააღმდეგე მხარის მიმართვის საფუძველზე დაიწყო (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი). საკასაციო სასამართლო იმასაც აღნიშნავს, რომ განსახილველი შუ-

ამდგომლობა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 3 მაისის განჩინება, კანონით გათვალისწინებული წესით ჩატბარდა მოწინააღმდეგებს, თუმცა, მას არ მოუმართავს საკა-საციო სასამართლოსათვის და შუამდგომლობის ან საქმისათ-ვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებების თაობაზე რაიმე სახის მოთხოვნა არ დაუყენებია.

9. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესა-ბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს სა-ქართველოს უზენაესი სასამართლო.

10. ამ განჩინების მე-9 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინა-პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გა-დაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მი-აჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები, საქმის მასა-ლების მიხედვით არ არის წარმოდგენილი და არც შუამდგომლო-ბაში მითითებული მხარე ეწინააღმდეგება უელეზნოდოროუნის რაიონული სასამართლოს 16.10.2013 წლის №2-3369/2013 გადაწ-ყვეტილების ცნობასა და აღსრულებას საქართველოს ტერიტო-რიაზე (იხ. წინამდებარე განჩინების 7-8 პუნქტები).

11. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართვე-ლოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

- ლ. მ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
- საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და აღსას-რულებლად მიექცეს რუსეთის ფედერაციის ქ. ეკატერინბურ-გის უელეზნოდოროუნის რაიონული სასამართლოს 16.10.2013

წლის №2-3369/2013 გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. მ-ას, დაბადებული 2011 წლის 19 თებერვალს, ბოლნისში, საქართველოში, პ/ნ ..., სააქტო ჩანაწერი №..., შედგენილი 2011 წლის 22 თებერვალს, ცნობილი იქნა ბათილად, რომლის საფუძველზე 2013 წლის 2 აგვისტოს ოდესაში, საქართველოს გენერალურმა საკონსულომ გასცა დაბადების მოწმობა №... ბავშვის მამობის მონაცემების ნაწილში. 2011 წლის 22 თებერვალს შედგენილი №... დაბადების სააქტო ჩანაწერიდან ამოირიცხა მონაცემი ე. ბ-ის შესახებ (პ/ნ ...), როგორც ლ. მ-ას მამა;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საალიგენტო მოვალეობაზე

განჩინება

№ა-04-შ-1-2016

9 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ს. ხ-ას სარჩელი და გ. ი-ს დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილების ა. ი-ასა (დაბ. 19.11.2010) და ა-ზ ი-ას (დაბ. 29.10.2011) სრულწლოვანების მიღწევამდე თითოეულისათვის თვეში 108 მანათის ოდენობით, რაც ჯამში 216 მანათს შეადგენს.

2. მხარეები სათანადო წესით გაფრთხილებულები იყვნენ სასამართლოს თაობაზე.

3. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება კანონიერ დალაში შევიდა 2015 წლის 20 აპრილს.

4. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასა-

მართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის ცნობის შესაბამისად გადაწყვეტილების აღსასრულებლად გაცემული სააღსრულებო ფურცელი დაუბრუნდა სასამართლოს მოპასუხის საქართველოში ცხოვრების გამო აღსასრულებლად საქართველოში გადაგზავნის მიზნით.

5. ს. ხ-ამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ითხოვა საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 იანვრის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 იანვრის განჩინება და ს. ხ-ას შუამდგომლობა თანდართულ მასალებთან ერთად გ. ი-ს გაეგზავნა შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებულ მისამართზე – საქართველო, ..., სოფელი ა-ი და დაევალა გზავნილის ჩაბარებიდან 5 დღის გადაში წარმოედგინა მისი პოზიცია.

8. გ. ი-ზე გაეგზინილი გზავნილი სასამართლოს უკან დაუბრუნდა მითითებით, რომ ადრესატი აღნიშნულ მისამართზე ვერ მოიძებნა.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 იანვრის განჩინებით დადგინდა გ. ი-ისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 იანვრის განჩინებისა და ს. ხ-ას შუამდგომლობის თაობაზე ინფორმირება საჯარო შეტყობინების გზით, რაც გამოქვეყნდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე 2016 წლის 27 იანვარს.

10. სსსკ-ის 78-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად გ. ი-ისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 იანვრის განჩინებისა და ს. ხ-ას შუამდგომლობის თაობაზე საჯარო შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება 2016 წლის 3 თებერვლიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა

დაქმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

12. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2 პუნქტით.

13. სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების ცნობა.

14. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე გადაწყვეტილების მიღება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე 71-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ხ-ას შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაქმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც დაქმაყოფილდა ს. ხ-ას სარჩელი და გ. ი-ს დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილების ა. ი-ასა (დაბ. 19.11.2010) და ა. ი-ას (დაბ. 29.10.2011) სრულწლოვანების მიღწევამდე თითოეულისათვის თვეში 108 მანა-

თის ოდენობით, რაც ჯამში 216 მანათს შეადგენს.

3. საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიექცეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუმგაითის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა ს. ხ-ას სარჩელი და გ. ი-ს დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილების ა. ი-ასა (დაბ. 19.11. 2010) და ა-ნ გ-ზ კ-ი ი-ას (დაბ. 29.10.2011) სრულწლოვანების მიღწევამდე თითოეული-სათვის თვეში 108 მანათის ოდენობით, რაც ჯამში 216 მანათს შეადგენს.

4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საალიგენტო მოვალეობაზე

განჩინება

№ა-726-შ-12-2016

7 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის პირველი ინსტანციის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღნერილობითი ნაწილი:

1. სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის პირველი ინსტანციის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით:

– ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნ. ფ-ს ასული ე-ის სარჩელი მოპასუხე ს. კ-ს ძე ჩ-ის მიმართ, ალიმენტის დაკისრების თაობაზე;

– ს. კ-ს ძე ჩ-ს ნ. ფ-ს ასული ე-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად 20 000 სომხური დრამის, მთლიანობაში – ყოველთვიურად 40 000 სომხუ-

რი დრამის გადახდა;

– ალიმენტები გათვალისწინებულია: 2000 წლის 16 ივნისს დაბადებული ს. ს-ს ასული ჩ-ისა და 2002 წლის 17 დეკემბერს დაბადებული კ. ს-ს ძე ჩ-ის მოთხოვნილებების დასაქმაყოფილებლად და გადახდას ექვემდებარებიან 2014 წლის 24 ნოემბრიდან;

– დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

– დადგინდა, რომ ს. კ-ს ძე ჩ-ს ნ. ფ-ს ასული ე-ის სასარგებლოდ დაკისროს 50 000 სომხური დრამი, ადვოკატის გონივრული გასამრჯელოს სახით, ხოლო სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად, სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ – 9 600 სომხური დრამი.

2. სომხეთის რესპუბლიკის ოლქის პირველი ინსტანციის საერთო იურისდიქციის სასამართლომ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და ალსრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

3. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. დადგენილია, რომ სომხეთის რესპუბლიკის ოლქის პირველი ინსტანციის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით:

– ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნ. ფ-ს ასული ე-ის სარჩელი მოპასუხე ს. კ-ს ძე ჩ-ის მიმართ, ალიმენტის დაკისრების თაობაზე;

– ს. კ-ს ძე ჩ-ს ნ. ფ-ს ასული ე-ის სასარგებლოდ დაკისრა ალიმენტის, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად 20 000 სომხური დრამის, მთლიანობაში – ყოველთვიურად 40 000 სომხური დრამის გადახდა;

– ალიმენტები გათვალისწინებულია: 2000 წლის 16 ივნისს დაბადებული ს. ს-ს ასული ჩ-ისა და 2002 წლის 17 დეკემბერს დაბადებული კ. ს-ს ძე ჩ-ის მოთხოვნილებების დასაქმაყოფილებლად და გადახდას ექვემდებარებიან 2014 წლის 24 ნოემბრიდან;

– დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

– დადგინდა, რომ ს. კ-ს ძე ჩ-ს ნ. ფ-ს ასული ე-ის სასარგებ-

ლოდ დაეკისროს 50 000 სომხური დრამი, ადვოკატის გონივრული გასამრჯელოს სახით, ხოლო სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად, სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ – 9 600 სომხური დრამი.

5. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, ამასთან, იგი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

6. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

7. ამდენად, სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის პირველი ინსტანციის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

8. ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის პირველი ინსტანციის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

10. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის პირველი ინსტანციის საერთო იურისდიქციის სასამართლოს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის პირველი ინსტანციის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც:

– ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნ. ფ-ს ასული ე-ის სარჩელი მოპასუხე ს. კ-ს ძე ჩ-ის მიმართ, ალიმენტის დაკისრების თაობაზე;

– ს. კ-ს ძე ჩ-ს ნ. ფ-ს ასული ე-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად 20 000 სომხური დრამის, მთლიანობაში – ყოველთვიურად 40 000 სომხური დრამის გადახდა;

– ალიმენტები გათვალისწინებულია: 2000 წლის 16 ივნისს დაბადებული ს. ს-ს ასული ჩ-ისა და 2002 წლის 17 დეკემბერს დაბადებული კ. ს-ს ძე ჩ-ის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და გადახდას ექვემდებარებიან 2014 წლის 24 ნოემბრიდან;

– დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

– დადგინდა, რომ ს. კ-ს ძე ჩ-ს ნ. ფ-ს ასული ე-ის სასარგებლოდ დაეკისროს 50 000 სომხური დრამი, ადვოკატის გონივრული გასამრჯელოს სახით, ხოლო სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად, სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის საარგებლოდ – 9 600 სომხური დრამი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საალიგენტო მოვალეობაზე

განხილვა

№ა-1579-შ-37-2016

14 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრების თაობაზე აზერბაი-
ჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ხათაის რაიონის სასამართლოს
2015 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტე-
რიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

აღნერილობითი ნაწილი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ხათაის რაიონის სასა-
მართლოს 2015 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ს. ა-ს
სარჩელი დაკმაყოფილდა. ე. ა-ს დაეკისრა ალიმენტის გადახდა
მისი შვილის მ. ა-ის სრულწლოვანების მიღწევამდე ყოველთვი-
ურად 108 მანათის ოდენობით.

ს. ა-მ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით,
შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამარ-
თლოს, ალიმენტის დაკისრების თაობაზე აზერბაიჯანის რეს-
პუბლიკის ქ. ბაქოს ხათაის რაიონის სასამართლოს 2015 წლის 5
ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე
ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მო-
მართა ს. ა-მ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტიორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, სათანა-
დოდ დამონშებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მო-
ბასუხეს საქართველოში გააჩნია საცხოვრებელი ადგილი; ის ჯე-
როვნად იყო ინფორმირებული საქმის განხილვის დროისა და ად-
გილი თაობაზე, თუმცა სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადე-
ბულა; ირკვევა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ხა-
თაის რაიონის სასამართლოს 2015 წლის 5 ოქტომბრის გადაწ-
ყვეტილება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალში,

ამასთანავე, გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2016 წლის 5 მაისის განჩინებით ს.ა.ს შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში, რის თაობაზეც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, ეცნობა მოწინააღმდეგე მხარეს, მასვე ჩაბარდა ს.ა.ს შუამდგომლობა თანდართული მასალებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ო. ა-ს შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ხათაის 2015 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ხათაის სასამართლოს 2015 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ს. ა-ს სარჩელი ე. ა-ს მიმართ, არასრულწლოვანი შეილის რჩენისათვის ალიმენტის დაკისრების თაობაზე, დაქმაყოფილდა, ე. ა-ს ს. ა-ს სასარგებლოდ არასრულწლოვანი მ. ა-ის რჩენისათვის ყოველთვიურად, დაკისრისა ალიმენტის გადახდა 108 მანათის ოდენობით შვილის სრულწლოვანებამდე.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ს. ა-მ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტიორიაზე ცნობა და აღსრულება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის

თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებლად მიქცევა.

საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, აზებაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ხათაის სასამართლოს 2015 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ა-ს შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ხათაის სასამართლოს 2015 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ხათაის სასამართლოს 2015 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ა-ს ს. ა-ს სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის მ. ე. ა. ოლის რჩენისათვის 2015 წლის 14 მაისიდან ყოველთვიურად დაეკისრა ალიმენტის 108 მანათის გადახდა სრულწლოვანებამდე.

3 განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საალიგენტო მოვალეობაზე

განხილვა

№ა-1824-შ-45-2016

1 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ქლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ხატაინსკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაქმაყოფილდა, მოპასუხე ა. ო-ის 2014 წლის 6 ნოემბრიდან მოსარჩელის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების: ა. ო-ისა (დაბ: 19.05.2... წ.) და ა. კ-ის (08.04.2... წ.) რჩენისათვის ყოველთვიურად დაეკისრა ალიმენტის 110-110 მანათის, სულ – 220 მანათის გადახდა (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს განჩინება).

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ხატაინსკის რაიონულმა სასამართლომ, რომელსაც, თავის მხრივ, შუამდგომლობით მიმართა მოსარჩელემ და მოითხოვა ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. შუამდგომლობაზე თანდართული მასალებით ირკვევა შემდეგი:

2.1. მოპასუხე საქართველოში მცხოვრები პირია;

2.2. საქმეში წარმოდგენილი ცნობის თანახმად, მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე.

2.3. გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შესულია კანონიერ ძალაში, არ აღსრულებულა მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე და ექვემდებარება აღსრულებას.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 მაისის განჩინებით მ. კ-ის შუამ-

დგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად, რის თაობაზეც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ეცნობა მოწინააღმდეგე მხარეს.

4. შუამდგომლობის ავტორის მოწინააღმდეგე მხარემ განცხადებით მომართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის სასამართლომ მისი პოზიცია არ გაიზიარა იმის თაობაზე, რომ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და ეს სტატუსი დადგენილი აქვს უვადოდ, დანიშნული აქვს სახელმწიფო პენსია 70 ლარის ოდენობით, ასევე პენსიონერები არიან მისი მშობლები, არის უკიდურესად გაჭირვებული და არ შეუძლია დაკისრებული ალიმენტის გადახდა. განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლება და განმარტა, რომ პროცესის დანიშვნის შემთხვევაში, მზადაა, გამოცხადდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში. განცხადებას ერთვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობები, რომელთა შესწავლითაც დასტურდება, რომ ჯ. ა-ს 2003 წლის 15 მარტიდან უვადოდ ეძლევა ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის სოციალური პაკეტით გათვალისწინებული თანხა 70 ლარის ოდენობით, ი. ა-ი 1967 წლის 23 ოქტომბრიდან იღებს ასაკის პენსიას 160 ლარის ოდენობით, ხოლო ა. ა-ს 1975 წლის 22 დეკემბრიდან უვადოდ ეძლევა ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის სოციალური პაკეტი, რაც შეადგენს 100 ლარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. კ-ის შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქეთის ხატაინსკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქეთის ხატაინსკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაქმაყოფილდა, მოპასუხე ა. ო-ის 2014 წლის 6 ნოემბრიდან მოსარჩელის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების: ა. ო-ისა (დაბ: 19.05.2...წ.) და ა. კ-ის (08.04.2...წ.) რჩენისათვის ყოველთვიურად დაეკისრა ალიმენტის 110-110 მანათის, სულ – 220 მანათის გადახდა (იხ. პირვე-

ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციის სასამართლოს განჩინება).

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ხატაინსკის რაიონულმა სასამართლომ, რომელსაც, თავის მხრივ, შუამდგომლობით მიმართა მოსარჩელემ და მოითხოვა ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. შუამდგომლობაზე თანდართული მასალებით ირკვევა შემდეგი:

2.1. მოპასუხე საქართველოში მცხოვრები პირია;

2.2. საქმეში წარმოდგენილი ცნობის თანახმად, მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გადაწყვეტილების თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე იგი არ გამოცხადებულა, თუმცა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხისათვის შეტყობინების ჩაბარების შეუძლებლობა საქმის განხილვის დამაპრკოლებელი გარემოება ვერ გახდებოდა. საქმეში წარმოდგენილი აზერბაიჯანის ბაკინსკის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 აპრილის განჩინებით მოპასუხის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. განჩინების თანახმად, სააპელაციო საჩივრის საფუძვლად მხარე ქონებრივ მდგომარებასთან ერთად მიუთითებდა სასამართლო სხდომაზე მის მიუწვევლობას, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლო არა შეზღუდული, არამედ სრული აპელაციის წესით არსებითად იხილავდა საქმეს და ვინაიდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ალიმენტის ოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა, არ არსებობდა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. აღნიშნული გარემოების ანალიზის შედეგად პალატა მიიჩნევს, რომ მხარეს უფლების სასამართლოს წესით დაცვის შესაძლებლობა არ წართმევია. უფრო მეტიც, იგი ამ გარემოებას შუამდგომლობის განხილვის ეტაპზე სადაცოდ არ ხდის;

2.3. გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შესულია კა-

ნონიერ ძალაში, არ აღსრულებულა მისი მიმღები ქვეყნის ტე-
რიტორიაზე და ექვემდებარება აღსრულებას.

3. საკასაციო პალატა არ იზიარებს შუამდგომლობის ავტო-
რის მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას, ქონებრივი მდგომარე-
ობის გათვალისწინებით აღიმენტის გადახდისაგან მისი გათა-
ვისუფლების თაობაზე და განმარტავს, რომ მოქმედი კანონ-
მდებლობის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვე-
ტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების სა-
კითხის განხილვისას საკასაციო პალატა არკვევს აღსასრულე-
ბელი გადაწყვეტილების კანონის იმპრეტიულ დანაწესებთან
ფორმალურ შესაბამისობას (რის თაობაზეც ქვემოთ იმსჯელებს
სასამართლო) და არ არის უფლებამოსილი, გადაწყვიტოს ფაქ-
ტების სისწორის საკითხი, მით უფრო, შუამდგომლობის ავტო-
რის მოწინააღმდეგე მხარის შედავების ფარგლებში მიიღოს ახა-
ლი გადაწყვეტილება პირის აღიმენტის გადახდისაგან გათავი-
სუფლების თაობაზე. ამ თვალსაზრისით, მართალია, საქმეში
წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება მოწინააღმდე-
გე მხარის შესაძლებლობის შეზღუდვის ფაქტი, თუმცა იგი სა-
კასაციო სასამართლოს მხრიდან ვერ გახდება პირის აღიმენ-
ტის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი. იმ შემთხვე-
ვაშიც კი, თუ მხარე დაამტკიცებს, რომ არსებობს მისი აღიმენ-
ტის გადახდისაგან გათავისუფლების/ოდენობის შემცირების
წინაპირობა, მან ამ საფუძვლით უნდა მიმართოს გადაწყვეტი-
ლების გამომტან სასამართლოს და მოთხოვნის დაქმაყოფილე-
ბის შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორის მსგავსად, უნდა
მოითხოვოს მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს ტე-
რიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა.

4. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართვე-
ლოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყ-
ნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს
საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი
პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კა-
ნონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარ-
და იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2,
მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია,
რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითი-
თებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შე-
ეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტო-
რიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნა-

წილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიმჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ხატაინსკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. კ-ის შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ხატაინსკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ხატაინსკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ო-ის 2014 წლის 6 ნოემბრიდან მოსარჩელის სასარგებლოდ არასრულნლოვანი შვილების: ა. ო-ისა (დაბ: 19.05.2...წ.) და ა. კ-ის (08.04.2...წ.) რჩენისათვის ყოველთვიურად დაეკისრა ალიმენტის 110-110 მანათის, სულ – 220 მანათის გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მეურვეობა და მზრუნველობა

განხილვა

№ა-4262-შ-87-2015

18 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის

შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მეურვეობის დადგენა

აღნერილობითი ნაწილი:

1. ა. დ-ი და ლ. ი-ი დაქორნინდნენ 2003 წლის 19 ივნისს სა-
ქართველოში, თბილისში. წყვილს ჰყავს ორი შვილი: 2... წლის ..
მაისს დაბადებული გ. და 2... წლის .. ივნისს დაბადებული ნ...

2. 2011 წლის აპრილში ბავშვების მამა – ლ. ი-ი დეპორტირე-
ბული იქნა საქართველოში.

3. ამის შემდეგ, ბავშვების დედამ – ა. დ-მა განცხადებით
მოითხოვა, მას გადასცემოდა ბავშვებზე მეურვეობა. ამ საკით-
ხე ა. დ-მა 2013 წლის 21 იანვარს მიიღო კონსულტაცია. ასევე,
ბავშვების მამის – ლ. ი-ის პირადი მოსმენით, სასამართლომ და-
ანესა დროის გარკვეული ინტერვალი, რადგან იგი დეპორტი-
რებული იყო და გერმანიაში ვედარ გაჩერდებოდა. მეურვეობის
მოთხოვნით, მეუღლის მიერ წარდგენილ განცხადებაზე, აზრის
წერილობით გამოთქმის შესაძლებლობის თაობაზე, ლ. ი-ს ეც-
ნობა 2012 წლის 26 ივლისს, რაც დადასტურებულია წერილო-
ბით. ბავშვების მამას მეუღლის განცხადების საწინააღმდეგო
მოსაზრება გერმანიის სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

4. ბავშვების დედის განცხადება მეურვეობაზე დაკარგი-
ფილდა, მან მიიღო გერმანიაში ცხოვრების ნებართვა და ცხოვ-
რობს კიდევ იქ ბავშვებთან ერთად. დედას მოეთხოვება ბავ-
შვებზე მარტოხელა მეურვეობა, მამა არ ზრუნავს გერმანიაში
ბავშვების საქმეებზე (მათთვის ვიზების გაცემისათვის, ბავშვე-
ბის სკოლაში, კლუბებში აღრიცხვის თაობაზე ხელშეწყობაზე).
მამამ განმარტა, რომ იგი არ არის მზად, საამისოდ რაიმე გააკე-
თოს. ასეთ ვითარებაში, ბავშვების საკეთილდღეოდ, ხდება სა-
ერთო მეურვეობის გაუქმება და მისი გადატანა ბავშვების დე-

დაზე.

5. გერმანიის, ვეზელის საოლქო სასამართლოს 2013 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებაში № 33F110/12 მითითებულია, რომ მხარეებსა და მათ შეიღებს აქვთ საქართველოს მოქალაქეობა და ასეთ დროს გამოიყენება გერმანიის სამოქალაქო კოდექსში შესავალი აქტის 21-ე მუხლი, ვინაიდან ბავშვებს აქვთ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი გერმანიაში.

6. 2015 წლის 10 ნოემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლომით მომართა ა. დ-მა და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოითხოვა წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტში მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

7. შუამდგომლობის ავტორი აღნიშნავს, რომ გერმანიის სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულებულია გერმანიაში და იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელს ბავშვებთან ერთად ხშირად უწევს საზღვარგარეთ მოგზაურობა, არასრულნლოვანი შეიღების თავისიუფლად გადაადგილების მიზნით, ესაჭიროება უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 20 ივნისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ა. დ-ის შუამდგომლობა.

9. მე-8 პუნქტში მითითებული განჩინება თანდართული მასალებით, 2015 წლის 26 ნოემბერს გაეგზავნა მონინაალმდეგი მხარეს – ლ. ი-ს, რომელსაც გზავნილი ჩაპხარდა ამავე წლის 30 ნოემბერს (იხ. შესაბამისი აქტი საქმის მასალებში).

სამოტივაციო ნაწილი:

10. საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობისა და თანდართული მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების მოთხოვნებს, კერძოდ, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს; უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

11. ამ განჩინების მე-10 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2,

მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი და არც შუამდგომლობაში მითითებულ მოწინააღმდეგებ მხარეს – ლ. ი-ს წარმოუდგენისა რამე მტკიცებულება ან მოსაზრება უზენაესი სასამართლოს მიერ გაგზავნილი განჩინებისა და თანდართული მასალების მიღების შემდეგ (იხ. ამ განჩინების მე-9 პუნქტი).

12. განსახილველ შემთხვევაში, შუამდგომლობას ერთვის გერმანიის, ვეზელის საოლქო სასამართლოს 2013 წლის 25 იანვრის №33F110/12 გადაწყვეტილების სრული ტექსტი, რომლის ორიგინალი დამოწმებულია აპოსტილით, ხოლო საქართველოს სახელმწიფო ენაზე თარგმნილი ტექსტი დამოწმებულია საწოტარო წესით.

13. მე-12 პუნქტში მითითებული, ვეზელის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებულია მისი კანონიერ ძალაში შესვლა 2013 წლის 17 სექტემბრიდან.

14. შუამდგომლობის ავტორი ადასტურებს, რომ მე-12 პუნქტში მითითებული გადაწყვეტილება აღსრულებულია გერმანიაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. დ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს გერმანიის, ვეზელის საოლქო სასამართლოს 2013 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება № 33F110/12, რომლითაც ბავშვებზე – გ. ი-ზე, დაბ. 02.05.2... ნ. და ნ. ი-ზე, დაბ. 21.06.2... ნ. – მეურვეობა გადაეცა დედას;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მეურვეობა და მზრუნველობა

განჩინება

№ა-4077-შ-83-2015

6 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მშობელთა მზრუნველობა

აღნერილობითი ნაწილი:

1. 2005 წელს ჰაილბრონის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეების გადაწყვეტილებით (შემდეგში ჰაილბრონის საოჯახო სასამართლოს გადაწყვეტილება) შეწყდა რეგისტრირებული ქორწინება ი. ო-სა (შემდეგში ბავშვების დედა ან შუამდგომლობის ავტორი) და ი. ო-ს (შემდეგში ბავშვების მამა ან მოწინააღმდეგე მხარე) შორის.

2. განქორწინებული მეუღლეები საქართველოს მოქალაქეები არიან, მათ გერმანიაში შეეძინათ ორი ქალიშვილი – 2... წლის ... მარტს დაბადებული თ. და 2... წლის ... ოქტომბერს დაბადებული მ-ი. ბავშვები არასრულწლოვნები არიან და სკოლაში სწავლობენ.

3. განქორწინების შემდეგ ბავშვები ცხოვრობენ დედასთან გერმანიაში.

4. საოჯახო დავაზე გერმანიის სასამართლოში მხარეებს წარმოადგენდნენ ადვოკატები.

5. ჰაილბრონის საოჯახო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორივე არასრულწლოვნა ბავშვზე, მზრუნველობა იკისრა დედამ. საპროცესო ხარჯებმა შეადგინა 3 000 (სამი ათასი) ევრო, რაც მხარეებს შორის თანაბრად გადანაწილდა.

6. ბავშვების დედამ 2015 წლის 30 ოქტომბერს შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის თანახმად, მოითხოვა ნინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

7. ჰაილბრონის საოჯახო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 17 ნოემბერს, შუამდგომლობის ავტორის განცხადებით, იგი აღსრულებულია გერმანიაში.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 დეკემბრის განჩინებით ი. ო-ის შუამდგომლობა მიღებულია წარმოებაში. ამავე განჩინებით, შუამდგომლობა თანდართული მასალებით გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს, მოსაზრების გამოთქმისა და საქმის ზეპირი განხილვით მოსმენის შესაძლებლობის თაობაზე შეტყობინების მიზნით.

9. ი. ო-ს გზავნილი ჩაპბარდა 2015 წლის 7 დეკემბერს, მას რაიმე წერილობითი მისაზრება სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია, ასევე, „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის თანახმად, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი მოსმენა.

სამოტივაციო ნანილი:

10. საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობისა და თანდართული მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების მოთხოვნებს, კერძოდ, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს; უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

11. წინამდებარე განჩინების მე-10 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი და არც შუამდგომლობაში მითითებულ მოწინააღმდეგე მხარეს – ი. ო-ს წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება ან მოსაზრება უზენაესი სასამართლოს მიერ გაგზავნილი განჩინებისა და თანდართული მასალების მიღების შემდეგ (იხ. ამ განჩინების მე-9 პუნქტი).

12. განსახილველ შემთხვევაში, შუამდგომლობას ერთვის ჰაილბრონის საოჯახო სასამართლოს გადაწყვეტილების სრული

ტექსტი, რომლის ორიგინალი დამოწმებულია აპოსტოლით, ხოლო საქართველოს სახელმწიფო ენაზე თარგმნილი ტექსტი დამოწმებულია სანოტარო წესით.

13. მე-12 პუნქტში მითითებული გადაწყვეტილებით დადასტურებულია მისი კანონიერ ძალაში შესვლა 2015 წლის 3 აგვისტოს.

14. შუამდგომლობის ავტორი ადასტურებს, რომ მე-12 პუნქტში მითითებული გადაწყვეტილება აღსრულებულია გერმანიაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ო-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს გერმანიის, ჰაიდერბერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2015 წლის 14 ივლისის №5F1402/15 გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ო-ს დაეკისრა ერთპიროვნული მეურვეობა არასრულწლოვან შვილებზე – 2... წლის .. მარტს დაბადებულ თ. ო-სა და 2... წლის .. ოქტომბერს დაბადებულ მ. ო-ზე;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მეურვეობა და მზრუნველობა

განჩინება

№ა-384-შ-6-2016

7 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: მეურვის დანიშვნა

აღნერილობითი ნაწილი:

1. თურქეთის რესპუბლიკის ქ. იზმირის მე-2 საოჯახო სასა-
მართლოს 2009 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქ-
მის №2009/685; გადაწყვეტილების №2009/665) დადგინდა შემ-
დეგი:

– იზმირის ილის, მენდერესის ილჩეს, ქ. კვარტალში მცხოვ-
რებ, ...-ე ტომში, ...-ე სახლის BSN №...-ში რეგისტრირებულ ზ-სა
და გ-ს შვილზე – თ.რ. პირადი ნომერი: ..., 2008 წლის 7 ივლისს
დაბადებულ ლ. ჰ. ბ-აზე მეურვეობა ჩამოერთვა ამავე მისამარ-
თზე რეგისტრირებულ დედას – 1986 წლის 27 დეკემბერს დაბა-
დებულ, მ-სა და ა-ს ასულ გ. ი-ს და გადაეცა მამამისს – საქარ-
თველოს მოქალაქეს, 1978 წლის 23 სექტემბერს დაბადებულ ზ.
ბ-ას.

2. ზ. ბ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს
სასამართლოს და მოითხოვა სასამართლოს ზემომითითებულ ნა-
წილში გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

სამოტივაციო ნაწილი:

3. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მი-
იჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ
გარემოებათა გამო:

4. დადგენილია, რომ თურქეთის რესპუბლიკის ქ. იზმირის
მე-2 საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 14 სექტემბრის გადაწ-
ყვეტილებით (საქმის №2009/685; გადაწყვეტილების №2009/
665) დადგინდა შემდეგი:

– იზმირის ილის, მენდერესის ილჩეს, ქ. კვარტალში მცხოვ-

რებ, 22-ე ტომში, ...-ე სახლის BSN №...-ში რეგისტრირებულ ზ.სა და გ.ს შვილზე – თ.რ. პირადი ნომერი: ..., 2008 წლის 7 ივლისა დაბადებულ ლ. ჰ. ბ-აზე მეურვეობა ჩამოერთვა ამავე მისამართზე რეგისტრირებულ დედას – 1986 წლის 27 დეკემბერს დაბადებულ, მურათისა და აილას ასულ გ. ი-ს და გადაეცა მამამისს – საქართველოს მოქალაქეს, 1978 წლის 23 სექტემბერს დაბადებულ ზ. ბ-ას.

5. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

6. ამდენად, თურქეთის რესპუბლიკის ქ. იზმირის მე-2 საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმის №2009/685; გადაწყვეტილების №2009/665) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

7. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დადგინდება:

1. ზ. ბ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას თურქეთის რესპუბლიკის ქ. იზმირის მე-2 საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმის №2009/685; გადაწყვეტილების №2009/665), რომლითაც დადგინდა შემდეგი:
 - იზმირის ილის, მენდერესის ილჩეს, ქ. კვარტალში მცხოვრებ, ...-ე ტომში, ...-ე სახლის BSN №-ში რეგისტრირებულ ზ.სა

და გ.ს შვილზე – თ.რ. პირადი ნომერი: ..., 2008 წლის 7 ივლისს დაბადებულ ლ. ჰ. ბ-აზე მეურვეობა ჩამოერთვა ამავე მისამართზე რეგისტრირებულ დედას – 1986 წლის 27 დეკემბერს დაბადებულ, მურათისა და აილას ასულ გ. ი-ს და გადაეცა მამამისს – საქართველოს მოქალაქეს, 1978 წლის 23 სექტემბერს დაბადებულ ზ. ბ-ას.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მეურვეობა და მზრუნველობა

განეხივა

№ა-2435-შ-61-2016

1 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: არასრულწლოვან შვილზე მეურვეობის დადგენა

აღნერილობითი ნაწილი:

1. ავსტრიის რესპუბლიკის, ურფარის სამხარეო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის №21PS 286/13f-4 გადაწყვეტილებით, ს. ი-ს (შემდეგში ბავშვის ან არასრულწლოვანის მამა) ჩამოერთვა შვილზე – მ-ზე (დაბადებული 2... წ.) მეურვეობა და არასრულწლოვანზე ერთპიროვნული მეურვეობა გადაეცა, დედას, შ. ფ-ს (შემდეგში: შუამდგომლობის ავტორი ან არასრულწლოვანის დედა).

2. არასრულწლოვანის დედამ, წარმომადგენლის – გ. ა-ის მეშვეობით, 2016 წლის 1 ივლისს, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში ავსტრიის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული 2013 წლის 19 ივლისიდან.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 ივნისის განჩინებით არასრულწლოვანის დედის შუამდგომლობა, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ არასრულწლოვანის დედის შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

4. ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული ავსტრიის სასამართლოს გადაწყვეტილებით უდავოდაა დადგენილი, რომ არასრულწლოვანზე ერთპიროვნული მეურვეობა გადაეცა ბავშვის დედას.

5. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მამამ თანხმობა გამოთქვა არასრულწლოვანზე ერთპიროვნული მეურვეობის უფლების დედისათვის გადაცემის შესახებ. ამასთან, ბავშვის მამას 2016 წლის 28 ივლისს გაეგზავნა საკასაციო სასამართლოს განჩინება (იხ. მე-3 პუნქტი), წარმოდგენილ შუამდგომლობასთან და თანდართულ მასალებთან ერთად, რომელიც ადრესატს ჩაბარდა ამავე წლის 1-ელ აგვისტოს. ამ უკანასკნელს რაიმე მოსაზრება ან შუამდგომლობა არ წარმოუდგენია საკასაციო სასამართლოსთვის განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

6. გადაწყვეტილების გამოტანისას ავსტრიის სამხარეო სასამართლო დაეყრდნო ეროვნული კანონის გ 17 და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 1197-ე, 1198-ე, 1202-ე და 1206-ე მუხლებს (მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით – სსკ-ის 1198-ე მუხლი).

7. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის

სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს სა-ქართველოს უზენაესი სასამართლო.

8. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ მო-ცემულ შემთხვევაში როგორც, მეურვე, ასევე პირი, რომელსაც მეურვეობა ესაჭიროება საქართველოს მოქალაქეები არიან. „სა-ერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-16 მუხ-ლის შესაბამისად, „მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეებ-ზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენ-ცია აქვთ, თუ მეურვე, მზრუნველი ან პირი, რომელსაც მეურ-ვეობა ან მზრუნველობა ესაჭიროება, საქართველოს მოქალა-ქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს“. ამდენად, სპეციალური კანონის წინაპირობების არსებობა და-დასტურებულია.

9. ამ განჩინების მე-7 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის სა-ფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს, წარმოდგენილი შუამდგომლობისა და თანდართული მასალების შესწავლის შედეგად, მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გა-რემოვებები არ არის საქმეში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შ. ფ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს ავსტრიის რესპუბლიკის, ურფარის სამხარეო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის №21PS 286/13f-4 გადაწყვეტილება, რომლითაც არას-რულწლოვან მ-ზე (3/6 ...) ერთპიროვნული მეურვეობა აიღო დე-დამ, შ. ფ-მა (3/6 ...);
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპირებელი

1. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცესუალური საკითხები	
სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია	3
უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები	22; 34; 43
უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება	49
2. ვალდებულებითი სამართლი	
თანხის დაკისრება	54; 57; 62; 66; 71; 75; 79; 82
ნასყიდობა	84; 89; 94
სესხი	97; 104
3. საოფახო სამართალი	
ქორწინების შეწყვეტა	108; 110; 114; 116; 118; 120
არასრულწლოვნ შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა	124
შვილად აყვანა	134; 137; 140
მამობის ჩანაწერის ბათილად ცნობა	142
საალიმენტო მოვალეობანი	145; 148; 152; 155
მეურვეობა და მზრუნველობა	160; 163; 166; 168

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 2982103
www.supremecourt.ge